

ကျမားမြောင်း 1.2019



ISSN 2346-8416

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

1

ივნისი

თბილისი

2019

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს

მაგალითობურას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანცაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე

## **„არმალანის“ 2019 წლის პირველი ნომერი აღექსანდრე გვახარიას ნათელ სერვის ეძღვნება**

### **რედაქციისგან**

2019 წლის 30 ივლისს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება დიდ ქართველ მეცნიერს ალექსანდრე გვახარიას.

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ბატონი ალექსანდრე მთარგმნელობით საქმიანობასაც მისდევდა და მისი გემოვნებიანი და დახვენილი პოეტური თუ პროზაული თარგმანები სპარსული ენიდან არაერთ კრებულში იძეჭდებოდა.

მისმა მოწაფეებმა გადავწყვიტეთ, თავი მოგვეყარა ამ დიდი პიროვნებისა და ყველასთვის უსაყვარლესი მასწავლებლის ცალკეულ გამოცემებში გაპნეული თარგმანებისთვის და ერთ წიგნად შეგვეკრა. ასეთ წიგნად, არცთუ შემთხვევით, აღმოსავლური ჟურნალი „არმალანი“ იქცა: გასულ საუკუნეში მაგალი თოდუას თაოსნობით გამოსულ „არმალანის“ კრებულებში, რომლებიც იმხანად წიგნად გამოიცემოდა, ალ. გვახარიას არაერთი თარგმანი დაიბეჭდა.

\*\*\*

კრებულში მასალა დაყოფილია ფოლკლორულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებად, რომლებიც, თავის მხრივ, პოეტურ და პროზაულ თარგმანებადაა დანაწილებული.

თითოეული დანაყოფის შიგნით დაცულია, ასევე, ქრონოლოგიური პრინციპი.

ჟურნალში გაერთიანებულ თარგმანებს სქოლიოს სახით (ტაჯიკური ზღაპრების შემთხვევაში კი ციკლის ბოლოს საერთო განმარტებების ფორმით) ახლავს კომენტარები, რომლებიც თავად მთარგმნელს ეკუთვნის და რომლებიც უცვლელად გადმოვიტანეთ თხზულებების ტექსტებთან ერთად. ასევე, უცვლელად მოგვაქვს ინფორმაცია ავტორების შესახებ.

თავის მხრივ, რედაქცია ყოველი ტექსტის დასაწყისში სქოლიოს სახით განუმარტავს მკითხველს, რომელი გამოცემიდანაა აღებული ესა თუ ის თარგმანი.

ჟურნალის მე-6 გვერდზე მოტანილი ხელნაწერი სათაური აღებულია ალ. გვახარიას თარგმანის დედნიდან.

Yijngymn unifrom  
nsgen for begin beta  
 $(\bar{X} - \bar{X}_1 \text{ etc.})$

mindest 3 on average  
aokj760 of 3 below

მხატვრული ლიტერატურა

ახალი სპარსული ანუ კლასიკური პოეზია

ირანული ნაციონალური ეპოსი<sup>1</sup>

**ფირდოსი  
(X-XI სს)  
(როსთამის შვიდი თავგადასავალი)**

ოდეს გავიდა ერთი კვირა, ირანელებმა  
თავი ანებეს ხოცვა-ულეტას, მობეზრდათ ძარცვა.

მაზანდარანის მეფეთ-მეფეს ესმა ამბავი,  
გული ეტკინა დარდისაგან, თავი ჩაჰავდა.

დევთაგან ერთი ახლდა მეფეს, სახელად სანჯე,  
სული და გული დაუტანჯეს მას ამ სიტყვებმა.  
უბრძანა მეფე: – „გაეშურე თეთრი დევისკენ,  
ვით ეშურება მზე ცარგვალზე დასავლეთისკენ.

შეატყობინე, მოვიდა-თქო მაზანდარანის  
ასაოხრებლად ირანელთა მძიმე ლაშქარი.

მაზანდარანის ქალაქები სულ გადაბუგეს,  
ძარცვით და გლეჯით გააჩაღეს მტრობის ხანძარი.

წინ მოუძღვება ქვეყნის მყრობი ქაიქავუსი,  
დარაზმული ჰყავს მებრძოლები ახალთახალი.

თუ არ ისმინე ჩვენი თხოვნა, არ მოგვეშველე,  
მაზანდარანში ვერ იხილავ ცოცხალს ვერავის!“

რა მოისმინა სანჯემ მეფის დანაბარები,  
ცხენის ჭენებით დაემართა თეთრი დევისკენ.

<sup>1</sup> ალექსანდრე გვახარიას არქივში აღმოჩნდა ფირდოსის „შაპნამეს“ ფრაგმენტის პოეტური თარგმანის ნაბეჭდი ტექსტი, რომელსაც მთარგმნელი, როგორც ჩანს, გამოსაქვეყნებლად ამზადებდა. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანს აშკარად აკლია დასაწყისი და ბოლო გვერდები, საჭიროდ ჩავთვალეთ მკითხველისთვის მისი წარდგენა. იმედს ვიტოვებთ, რომ მეცნიერის არქივის დამუშავების პროცესში ნაკლული გვერდები აღმოჩნდება და თარგმანიც დასრულებულ სახეს შეიძენს. ფრაგმენტი (ბეითები 187-210) თარგმნილია „შაპნამეს“ მითოლოგიური ნაწილის ერთ-ერთი ნაკვეთიდან – „ქეიქაუსის მეფობა და მაზანდარანში წასვლა“. პოემის ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ „შაპნამეს“ მთავარი გმირის – როსთამის მეშვიდე თავგადასავალს – თეთრ დევთან შერკინების ამბავს მოგვითხრობს (რედ. შენიშვნა).

რა მიეახლა დევს დიდებულს, ცამდე აზიდულს,  
უამბო წვრილად, მეფისაგან რაც მოისმინა.

ასეთი იყო თეთრი დევის დინჯი პასუხი,  
არ ეგებისო ამა სოფლად უიმედობა.

ახლავე დავძრავ მძიმე ლაშქარს დასახმარებლად,  
მაზანდარანის მტრებს დავაფრთხობ, ფეხს ამოვუკვეთ.

წარმოსთქვა ესე და მთასავით წამოიმართა,  
თავით სწვდებოდა ჭეშმარიტად მპრუნავს ზეცის ჩარხს.

შავი ღრუბელი სპასა ზედა წამოიგრავნა,  
ზანგის პირივით დღე დაბნელდა, თითქოს შეღამდა.

კუპრის ზღვასავით გადაბნელდა მთელი ქვეყანა,  
სინათლის ერთი წერტილიც კი აღარსად ჩანდა.

კვამლის კარავი დასცა თითქოს ლაშქარსა ზედა,  
თვალთ დაუბნელდათ მოლაშქრეებს ზარდაცემულებს.

ზეციდან უხვად დააწვიმა ქვა და ლოდები,  
ველად გაფანტა უგზო-უკვლიდ ირანელები

დიდმა ნაწილმა თავს უშველა, მიმართა ირანს,  
გული მოუკლა მათ ქავუსის ნამოქმედარმა.

წყვდიადმა იკლო, მოახლოვდა ოდეს რიურაჟი,  
მაგრამ შაჰინშაჰს მზერა დარჩა ბნელით მოცული.

ორ მესამედზე მეტ მოლაშქრეს მზე დაუბნელდა,  
დანარჩენები მასზე იყვნენ განრისხებულნი.

განებნა განძი, სპა-ლაშქარი ტყვედ ჩაუცვივდა,  
გაჭალარავდა შაჰინშაჰის ჭაბუკი ბედი.  
ბოლომდე უნდა მოისმინო ამბავი ესე –  
საკვირველება დაემატა საკვირველებას.

სპასპეტმა მეფემ სინანულით ასე წარმოსთქვა:  
„ოქროს გერჩიოს ფხიზელი და ბრძენი მრჩეველი.

ვაგლახ, ზაალის დარიგება არ შევისმინე,  
ო, რა საზარელ ბოროტებას გადავეყარე!“

ტანჯვა-წამებით გაათრიეს ოდეს შვიდი დღე,  
ირანელთაგან არვის შერჩა თვალის სინათლე.

მერვე დღეს თეთრმა დევმა ზარით დაიღრიალა:  
„ჰე, ტირიფივით უნაყოფო ბედერულო შაპო!

შენ აღზევება მოინდომე ყველაზე მაღლა,  
მაზანდარანის საძოვრებიც მოისურვილე,

მაშინ, როდესაც მთვარლი სპილო, უსაზარლესი,  
ვერას დააკლებს ამ ქვეყანას და ვერ აიკლებს.

ქართველი  
(X ს.)

ვარდი განძია, სამოთხიდან მოვლინებული,  
სიკეთეს ჰმატებს ადამიანს სურნელი სული,  
ვარდს ვერცხლზე რომ ცვლი, გამყიდველო, ერთი მითხარი,  
ვარდზე უკეთესს რას შეიძენ ვარდების ფულით.

## აბუ ალი იბნ-სინა (ავიცენა)<sup>2</sup> (XI ს.)

ვირებში თუ ხარ, შენაც უნდა ტლინკები ჰყარო,  
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო!  
ვირებში თუმცა მუდალ ვირად მომქონდა თავი,  
მაინც გამიგეს, არაბული ტაიჭი ხარო!

<sup>1</sup> კრებულიდან „ირანული პოეზია“, შეადგინა ვ. კოტეტიშვილმა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977 (რედ. შენიშვნა).

<sup>2</sup> ନୀତି (ରୂପ. ଶେବିଷ୍ଵନା).

**609ამი**  
(1141-1203)

**ყაზალი**

ხარაბათისკენ გავწიე წუხელ, გზა ავი იყო,  
მოვთქვამდი ზარით და გამგონი არავინ იყო.  
ლვინოგადაკრულ მასპინძლებს თუ ეძინათ მშვიდად,  
ანდა მე ვიყავ გალეშილი და შეეშინდათ.  
უხმოდ ჩამოწვა შუალამე, ირგვლივ ბნელოდა,  
გადმოიხედა ერთმა რინდმა, არ მომელოდა.  
ვთხოვე: – გამიღე! მიპასუხა: – იყავი გარეთ!  
შუალამისას როდის იყო, ალებდნენ კარებს?!  
აქ მეჩეთი ხომ არ გგონია, დღედალამ ღია?  
წინ რომ დადგები, თუნდ მოხვიდე ყველაზე გვიან...  
ეს არის მთვრალთა ხარაბადი, არ ვუშვებთ არცერთს.  
მხოლოდ ლვინოა, სილამაზე და კვნესა თარზე.  
თუ გსურს, რომ მათთან მიაღწიო სასურველ ტრფობას,  
ფეხთა მტვრად უნდა ექცე ყველას, იწამო გმობა.  
ყოველი მხრიდან მოდიან აქ ღამის მთეველნი –  
მაჰმადიანნი, ქრისტიანნი, იუდეველნი...  
მითხარ, ნიზამი, რას აწყდები დღედალამ კარებს,  
შენ კოცონისგან მხოლოდ კვამლი გერგება მწარე.

## აფზალ ედ-დინ ხაყანი<sup>1</sup>

(1120-1199)

აფზალ ედ-დინ ხაყანი შარვანშაპთა სამეფო კარის პოეტი იყო. ცნობილია ტექნიკურად ურთულესი ყასიდებით. მას ეკუთვნის პოემა „ორი ერაყის საჩუქარი“. წერდა რობაიებსაც. მე-12 საუკუნის საქართველოსთან შარვანის გეოგრაფიული და პოლიტიკური სიახლოვით აიხსნება ხაყანის კარგი ნაცნობობა ჩვენს ქვეყანასთან: ფიქრობენ, რომ ის ფლობდა ქართულ ენას. მის ყასიდებში უხვად გვაქვს ქრისტიანული ყოფის ამსახველი რეალიები. ხშირად იხსენიება აბხაზეთი (რაც იმ ხანებში მთელ საქართველოს ნიშნავდა), ვხვდებით ქართულ სიტყვებსა თუ სახელებს (ბაგრატიონი, ნაჯარმაგი-ნაჭარმაგევი, მუხრანი, მოლოზონი და სხვ.).

### როპაიები

\*

დარდი ვიტვირთე მძიმე ლოდად – მდინარესავით,  
მხოლოდ ეკალი მიმყვებოდა – მდინარესავით,  
ვერ შემოვიქეც ჩემს მხარეში, ვერ გავიხარე,  
გადავიკარგე სამშობლოდან – მდინარესავით.

\*

შაჰმა ბრძანა სვიანმა და ხელგაშლილმა ცამდის:  
– მე ხაყანის გულის ნების შესრულება ძალმიძს!  
– ჰე, მეუფევ, რა წადილის ასრულებას ბრძანებ?  
მოდი, ყრმობა დამიბრუნე თუნდაც ერთი წამით!

\*

თმადაწნული სატრფოს ეშით ვდნები.  
წავალ, აბხაზეთში დავსახლდები.  
ტკბილქართულით ვუხმობ: – მოი, მოი!<sup>2</sup>  
იმდენგზის, რომ ენად მექცეს თმები. <sup>3</sup>

<sup>1</sup>, არმალანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, შეადგინა მ. თოდუამ, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1965 (რედაქციის შენიშვნა).

<sup>2</sup> „მოი“ სპარსულად ნიშნავს თმას. ზმაა ორიგინალში, დაფუძნებული ქართული მოის (მოდი) და სპარსული მნიშვნელობის ბერით დამთხვევაზე.

<sup>3</sup> კრებულში „სპარსული ლირიკა“ (შემდგ. ნ. ბართაია, თბილისი, „არტანუჯი“, 2005) შეტანილია ამავე რობაის თარგმანის სხვა ვერსია:

ქრისტიანი ქალის ეშით ვდნები,  
წავალ, აფხაზეთში დავსახლდები.  
მას ქართულად ვუხმობ: მოი, მოი!  
იმდენჯერ, რომ ენად მექცეს თმები  
(რედ. შენიშვნა).

\*

სად არის შხამი, მეგობრობა ჩვენი ვუწოდო,<sup>1</sup>  
 სად არის ხმალი, უკვდავება ჩვენი ვუწოდო,  
 სად არის დარტყმა, ცის წყალობა უნდა ვუწოდო,  
 სად არს სიკვდილი, საიქიოს ძლვენი ვუწოდო.

\*

ძონძებში დავალთ, ფარჩა ვეღარ შეგვიკერია,  
 ნარ-ეკალსა ვჭამთ, სუფრაზედაც ვერ გვიმღერია.  
 სადლაა სატრუოს ლალის ბაგე, ყანდივით ტკბილი,  
 ლაწვები ღვინის ფერით ვეღარ შეგვიფერია.

\*

დღეს რომ სევდისგან იდაგება – ჩემი გულია,  
 ვშიშობ, ხვალამდე ვერ დადგება – ჩემი გულია,  
 ერთი ბეწვიც კი არ აშორებს ჩემს გულს და სიკვდილს,  
 ჩემთა ხელთაგან იკარგება – ჩემი გულია.

## ჯელალ ედ-დინ რუმი (XIII ს.)<sup>2</sup>

შენ, ჩემო ღმერთო, ქვეყნად ვერვინ შეგედარება,  
 ასე გულგრილად რად შეჰერებ ჩემს მწუხარებას?!

შენთა ხელთაა ჩემი გული, კალმად ქცეული,  
 შენ განმიწესე ტკივილები და ნეტარება.

რასაც მომივლენ, ოდენ იმას უნდა ვუმზირო,  
 და რაიც შენ გსურს, ჩემს სულს მხოლოდ ის ენატრება.

ზოგჯერ ვკრეფ ეკალს, ზოგჯერ მათრობს ვარდის სურნელი,  
 ვარდი იყავი, ახლა ვიქეც ეკალ-ბარდებად.

უძირო ქვევრში ფერს რომ უცვლი გულებს, უფალო,  
 ეს ჩემი გულიც, როგორც შენ გსურს, შეფერადდება.

<sup>1</sup> აღნიშნული და მომდევნო ორი რობაის თარგმანი მოგვაქვს კრებულიდან „სპარსული ლირიკა“, 2005 (რედ. შენიშვნა).

<sup>2</sup> კრებულიდან „ირანული პოეზია“ (რედ. შენიშვნა).

დასაბამს უდებ ყოველივეს და აღასრულებ,  
შენ შემეწიე, აღსასრულის დღე რომ დადგება.

თუ მიმეფარვი, უსჯულო ვარ და გიაური,  
ოდეს გიხილავ, გული რწმენით გამინათდება.

რაც შენ მიბოძე, იმის გარდა რა მაბადია,  
სხვას ან რას ვპოვებ, ანდა რაღა დამეკარგება?!

### საადი <sup>1</sup> (XIII ს.)

#### ლირიკა

შენ ასეთი ტურფა და საროსაცით მავალი,  
რად ხარ ასე გულქვა და ასე ამპარტავანი?!

მირჩევნიხარ ქვეყანას, მთელი გულით მოგენდე,  
შენ კი როგორ მიმტყუნე, ამირიე გზა-კვალი.

განშორების წყვდიადი მაშინ გაიფანტება,  
როცა ბნელს განანათებს ეგ სახე – ჩირალდანი!

მოვიკვეთე თავი და ხელის გულზე დავიდე,  
ფეხქეშ რომ გაგიშალო, ფიანდაზი მზად არი.

შენ ასეთი კეკლუცი, ნაზი და გულწარმტაცი,  
სიყვარულში ყოფილხარ უგულო და მზაკვარი.

გულო, თუ მიჯნური ხარ, ესეც უნდა უწყოდე,  
რომ ამ გზაზე მოგელის ჭირ-ვარამი მრავალი.

და თუ არ შეგიძლია მიჯნურის სამსახური,  
ჰე, საადი, რა არი შენი გულის წამალი?!

---

<sup>1</sup> კრებულიდან „ირანული პოეზია“ (რედ. შენიშვნა).

## სადრიდინ აინი<sup>1</sup>

(1878-1956)

\*

ამ შენობისთვის მე ვიხმარე ძველი აგური  
ლხინი მოვუწყვე გარდაცვლილებს მამაპაპური,  
მინდა, რომ ჩვენი დროის ხალხსაც გავუზიარო,  
როგორ ვიდოდა ეს ცხოვრება ყმაწვილკაცური.

<sup>1</sup> სადრიდინ აინი, ბუხარა (მოგონებანი), თბილისი, 1956, თარგმნა (რუსულიდან) ქეთევან ნადირაძემ.  
ალ. გვახარიას (ტაჯიკურიდან) უთარგმნია ცალკეული ფრაგმენტები ცნობილი ირანელი და ტაჯიკი ავ-ტორების ლექსებიდან, რომლებიც სადრიდინ აინის აქვს ჩართული მოგონებების წიგნში. ჩვენ მათ მეოთხველს არ ვთავაზობთ, რადგან ლექსების ფრაგმენტები კონტექსტის გარეშე, შესაძლოა, ძნელი აღსაქმელი იყოს. გამონაკლისის სახით წარმოვადგენთ ერთ წიგნშს, რომელიც ეპიგრაფად უძლვის ამ წიგნს (რედ. შენიშვნა).



ଲୋକପାତ୍ରଶବ୍ଦି ଅନ୍ଧା



**მანი  
(217-244)**

მანი – მანიქეური რელიგიური მოძღვრების მამამთავარი. დაიბადა დაახლოებით 217 წელს სამხრეთ ბაბილონში, ინდოეთში დააარსა პირველი მანიქეური ოემი, შემდეგ კი მოღვაწეობდა ირანში. მისი მოძღვრება დუალისტურია და სამყაროს მიიჩნევს ორი, კეთილი და ბოროტი, საწყისის ბრძოლის ასპარეზიად. სიკვდილით დასაჯეს 244 წელს. შემორჩენილია ფრაგმენტები მანიქეველთა გალობების ციკლიდან, რომლის ავტორი თვით მანი იყო. წინამდებარე თარგმანი ერთ-ერთი მათგანია.

**ხვასთუვანივთი<sup>1</sup>  
(გალობანი სინანულისანი“)**

გალობა მეექვსე:

უფალო ჩვენო, რა ცოდვილნი ვართ ზრახვით, სიტყვით და საქმით! ათგზის შევ-ცოდეთ, ოდეს ღალატიანად მოვიქეცით, ყალბად დავიფიცეთ, სიცრუეს ვემოწმეთ. ასეა ეს! რამდენ უცოდველს ვდევნიდით, მართალს ცილს ვწამებდით, ჭორს ვავრცელებდით... ხიბლით და თილისმით წარვინებიდეთ გრძნობა და გონება! მსაჯულო ჩვენო, შეისმინე ვედრება ჩვენი, შეიწყალენ ცოდვანი ჩვენნი!

გალობა მეთხუთმეტე:

ო, რაოდენი ბოროტი ზრახვა გვიტრიალებს გულში ყოველდღე, რაოდენი უხამსი სიტყვა წამოგვცება, რაოდენ ულირს საქმეს ჩავდივართ... უფალო ჩვენო, უძლები და უსირცხვილო შურის ეშმისა გამო რა ბოროტნი ვართ, რა აუგიანი, რა ცოდვილნი ზრახვით, სიტყვით და საქმით! ასეა ეს! თვალნი, რომელნი ხედვენ, ყურნი, რომელნი შეისმენენ, ხელნი, რომელნი ელაციცებიან, ფერხნი, რომელნი ვლენან... მარადის, უსასრულოდ ვიტანჯო უნდა, ასეა! რა აუგიანი ვართ, რა ცოდვილნი! მსაჯულო ჩვენო, შეისმინე ვედრება ჩვენი, შეიწყალენ ცოდვანი ჩვენნი!

<sup>1</sup> არმალანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, შეადგინა მ. თოდუამ, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977 (რედ. შენიშვნა).

მარზებან-ნამე<sup>1</sup>

## პრიუ მეომთხე

### არაკი ხოსროვისა და ბოზორჯვეშეპრისა

ვეზირმა ბრძანა: გამიგონია, ბოზორჯმეპრი დილაუთენია გაეშურებოდა ხოლმე სასახლეში და ხოსროვ მეფეს ამ სიტყვებით აფხიზლებდა: უთენია უნდა ადგე, თუ გსურს, საწადელს ეწიო!

ნადიმებთან ღამენათევი და მუტრიბებთან ნამთვრალევი ხოსროვი მზის ამოს-  
ვლამდე პირმთვარეთა გვერდით განცხომის ბალიშებზე განისვენებდა. ბოზორჯმეპ-  
რის შეძახილი საყვედურივით ჩაესმოდა და გული რისხვით ევსებოდა. ერთ დღეს ხოს-  
როვმა მსახურთ უბრძანა: განთიადისას, ბინდბუნდისა და რიურაჟის გასაყარზე, ოდეს  
ბოზორჯმეპრი სამსახურად სასახლეში გამოემართება, იდუმალ თავს დაესხით და ისე,  
არაფერი რომ არ ეტკინოს, ტანისამოსი წაჰვარეთ!

მონებმა ნაბრძანები ყურად იღეს, სიბნელის ფარდა იფარეს და ყოველივე აღას-რულეს. გაძარცული ბოზორჯმეპრი შინ მიბრუნდა, სამოსი გამოიცვალა და სასახლე-ში რომ გამოცხადდა, ჩვეულებრივზე გვიანი იყო. ხოსროვმა ნიშნი მოუგო: შენ არ იყა-ვი, ყოველდღე რომ მარიგებდი, უთენია უნდა ადგე, თუ გსურს, საწადელს ეწიო. ახლა ხომ ხედავ, უთენია ადგომამ რა უბედურებას გადაგყარაო! ბოზორჯმეპრმა უმალ უპა-სუხა: ჩემზე ადრე, უთენია, ქურდები ამდგარან და თავის საწადელსაც მიაღწიესო!

მოულოდნელმა და სამართლიანმა პასუხმა ხოსროვი დაარცხვინა და დიდ გასა-ჭირში ჩააგდო.

<sup>1</sup> X საუკუნის დასასარულს ტაბარისტანულ ენაზე დაინტერა დიდაქტიკური ჟანრის თხზულება, რომელიც მიენერებოდა მაზანდარანელ უფლისწულს მარზბან ბენ-როსტომს. ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. XIII ს-ის დასაწყისში ახალ სპარსულ ენაზე შემუშავდა „მარზბან-ნამეს“ ვერსია, რომლის ავტორია საად ედ-დინ ალ-ვარავინი. „მარზბან-ნამეს“ აღნიშნული თარგმანი შესულია კრებულში „არმალანი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977 (რედ. შენიშვნა).

## სადეպ ჰედაიათი

(1903-1951)

სადეპ ჰედაიათი, უდიდესი ირანელი მეცნიერი და მწერალი, დაიბადა თეირანში, უმაღლესი განათლება ბელგიასა და საფრანგეთში მიიღო. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რომანს „ბრმა ბუ“, რომელიც თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში პირველ მოდერნისტულ რომანადაა მიჩნეული. 1951 წ. ჰედაიათმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

## დაშ-აქოლი

შირაზში ყველამ იცოდა: დაშ-აქოლ-<sup>1</sup> და ძმაბიჭ-როსტომს საშინლად სძაგ-დათ ერთმანეთი. ერთი მზად იყო, გაექრო მეორის ლანდიც კი. ერთხელ დაშ-აქოლი ფეხმორთხმული იჯდა და განისვენებდა ჩაიხანაში „ორი მორი“. აქ მას დიდი ხანია, შინაურ კაცად თვლიდნენ. გვერდით მო-ედგა გალია, შიგ მწყერი ჰყავდა და ზემო-დან წითელი ნაჭერი ეფარა. თვითონ კი თითს ურევდა წყლით სავსე ფიალაში, რომელშიც ყინულის ნატეხი ეგდო. უცებ ჩაიხანის კარებში დოინჯშემოყრილი ძმა-ბიჭი-როსტომი შემოიმართა, დაშ-აქოლს ზიზლით გადახედა და მის პირდაპირ ქვის სკამზე ჩამოჯდა. შემდეგ მოსამსახურე ბიჭს მოუბრუნდა და გადასძახა:

– აბა, ბიჭო, მოიტა ჩ-ჩ-ჩა!

დაშ-აქოლმა ისეთი თვალით გადახე-და ბიჭს, რომ საბრალო ადგილზე გაქვავ-და და, თითქოს როსტომის ნათქვამი არ გაუგონია, თავისი საქმე განაგრძო; აუჩ-ქარებლად იღებდა ლანგრიდან ფიალებს, ცხელ წყალში ავლებდა და ფრთხილად ამშრალებდა. მინა ლრჭიალებდა გამშრა-ლებისას.

უყურადღებობით განრისხებულმა როსტომმა ახლა კი დაიღრიალა:

– შ-შ-შენ რ-რ-რა მოგივიდა, დაყ-რუვდი თუ? შ-შ-შენ გეუბნები!

ბიჭმა გაუბედავად გაიღიმა და აქოლს შეხედა. გულმოსული როსტომი ახლა აქოლს მიუბრუნდა:

– წადი, რაღა, სადმე სხვაგან იდიდ-გულე. ნამდვილი ვაჟუაცი რომ იყო, ა-ამალამ შემხვდებოდი და რა ლონეც შე-შეგწევს, გამოჩნდებოდა.

დაშ-აქოლი კვლავ მშვიდად ურევდა თითს ფიალაში და ცალი თვალით სეირს უყურებდა. როსტომის სიტყვებზე მხო-ლოდ გამომწვევად გაიღიმა, თეთრმა და მაგარმა კბილებმა იელვეს ინით შეღებილ ულვაშებში.

ლაჩრებს ქადაგება დაუწყიათ! ძა-ლიან კარგი: თეთრი და შავი აბანოში გა-მოჩნდებაო, – თქვა მან ბოლოს.

დამსწრები ახორხოცდნენ. მათ იმ-დენად როსტომის ენაბლუობა არ ახალი-სებდათ, – ისედაც დიდი ხანია იცოდნენ, ენა მას მაინცდამაინც არ ემორჩილებო-და, – რამდენადაც მისი შეტაკება სახელ-

<sup>1</sup> არმალანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, კრებული შეადგინა მ. თოდუამ, თბ., „საბჭოთა საქართველო, 1965; აღნიშნული ნოველის პირველი თარგმანი სათაურით „ძმაკაცი აქოლი“ 1958 წელს დაიბეჭდა კრებულში „სპარსული მოთხოვები“, თბ., „საბჭოთა მწერალი“ (რედაქციის შენიშვნა) დაშ-ძმაკაცი.

განთქმულ დაშ-აქოლთან. ქალაქში არ დარჩენილა არც ერთი მანანნალა, რომ მისი მუშტი არ ეგემოს. საღამო ხანს, მოლა ისპაკის სახლში ცოტა არაყს გადაკრავდა აქოლი და შემდეგ დაბორიალობდა „ქურდპაცაცას თავის“ შესასვლელთან. როსტომს ან თუნდა რომელიმე მის წინაპარს რომ შემთხვევით იქ გამოევლო, აქოლის დანახვაზე მაშინვე იქაურობას გაცელებოდა. როსტომმა, რომელიც ორჯერ დაჭრა დაშ-აქოლმა და რომელსაც სამჯერ თუ ოთხჯერ ეგემნა მისი მძლავრი მუხლის სიმძიმე, კარგად იცოდა, რომ აქოლს დაამარცხებდა კი არა, მასთან შებრძოლებასაც კი ვერ გაბედავდა. რამდენიმე დღის წინ, როდესაც შავბედად ატეხილი როსტომი ფათერაკის ძიებაში ხან ერთსა და ხან მეორეს აწყდებოდა, დაშ-აქოლი სიკვდილის ანგელოზივით გამოეცხადა. როსტომის დაცინვითა და მასხარად აგდებით რომ გული იჯერა, აქოლმა უთხრა:

— როგორცა ვხედავ, ჩემო ძმაო, შენი მზრუნველი შინ არა ყოფილა, რომ გამოსაძრომი დრო გიხელთია. მეტისმეტად გათამამებულხარ, ზედმეტი თრიაქი ხომ არ მოწიე? იცი, რა გითხრა? გეყო ამდენი წუნუნი და თავის მოკატუნება. არა გრცხვენია, ლაჩარივით რომ იქცევი? რაო, ახლა მათხოვრობის ახალი ხერხიც გამონახე, ყოველ ღამე რომ პატიოსან ხალხს აეკიდები? ვფიცავ ალის შთამომავლობას, თუ არ მოგისვენია, ადგილს მიგიჩენ: აი, ამ ხანჯლით ორად გაგაპობ და მორჩა.

როსტომი იძულებული გახდა, მე-ეთმინა შეურაცხყოფა. მაგრამ მისი სიძულვილი ამით ოდნავადაც არ შემცირებულა, მარჯვე დროს უცდიდა მხოლოდ, რათა აქოლზე შური ეძია.

უნდა ითქვას, რომ შირაზის მცხოვრები დაშ-აქოლს დიდ პატივს სცემდნენ. თუმც „ქურდპაცაცას თავის“

უბანში არავის ინდობდა და არც არავის ერიდებოდა, მაგრამ რაც მართალია, მართალია — ქალებს და ბავშვებს თითს არ აკარებდა. პირიქით, თავაზიანადაც კი ექცეოდა და, თუ ვინმე ქალისა და ბავშვის შეურაცხყოფას გაბედავდა, თავბედს აწყევლინებდა. ხშირად უნახავთ, როგორ ეხმარებოდა აქოლი სხვებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ბარგს სახლამდეც კი მიუტანდა. ერთი ეგ იყო — ვერ იტანდა, როცა ვინმე ყოყლოჩინობდა და ზემოდან უცექერდა. განსაკუთრებით სძულდა ძმაბიჭი-როსტომი, რომელიც, როგორც კი სამიოდე მისხალი თრიაქით გამობრუუდებოდა, უზომო ტრაბახს მოჰყვებოდა.

შეურაცხყოფილი და დამცირებული როსტომი გაქვავებულიყო. ცალ ულვაშს უხმოდ ღეჭავდა. დანა რომ დაგერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ხარხარი მიწყდა და ყველანი დაწყნარდნენ. ვერ მოისვენა მხოლოდ სატინისშარვლიანმა ბიჭმა, რომელსაც მუცელი ხელით ეჭირა და, სიცილისგან გასავათებული, ფეხზე ძლივს იდგა. მისი გულწრფელი მხიარულება კიდევ უფრო ართობდა დამსწრეთ.

ძმაბიჭი-როსტომს მოთმინების ფიალა აევსო. ხელი დასტაცა ბროლის საშაქრეს და ბიჭს ესროლა. საშაქრე მოხვდა სამოვარს, სამოვარი მასზე შემოდგმულ ჩაიდნიანად ძირს დაგორდა და მთელი ჭიქები მიღენ-მოლენა. სიბრაზისაგან სახეალენილი ძმაბიჭი-როსტომი გარეთ გავარდა. ჩაიხანის პატრონი სამოვარს მივარდა, შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:

— როსტომი მდიდარია, მე კი ამ გაბზარული სამოვრის მეტი არაფერი გამაჩნია.

ეს ისეთი გულმოკლული, საცოდავი ხმით იყო ნათქვამი, რომ ხალხი კვლავ აროხროხდა. განრისხებული პატრონი ჯავრის ამოსაყრელად ბიჭს გამოუდგა. მაშინ აქოლმა ღიმილით გაივლო ჯიბეზე

ხელი, ქისა ამოილო და შუა დარბაზში გა-  
დაისროლა. პატრონმა საჩქაროდ დასტა-  
ცა ხელი ქისას, მოსინჯა და გაილიმა. ამ  
დროს ჩაიხანაში ვიღაც ხავერდისხალა-  
თიანი კაცი შემოვიდა, მას ფართო შარვა-  
ლი ეცვა და ბრტყელი ნაბდის ქუდი ეხუ-  
რა. კაცმა ირგვლივ მიმოიხედა, დაშ-  
აქოლს მიუახლოვდა, თავი მდაბლად და-  
უკრა და მოახსენა:

- ჰავი სამადი გარდაიცვალა.
- დაშ-აქოლმა თავი ასწია და წარმოთ-  
ქვა:
- ღმერთმა შეუნდოს ცოდვები!
- თქვენ განა არ იცით, თავის ან-  
დერძში რა დაიბარა?
- ვაჲ, საიდან უნდა ვიცოდე,  
მკვდრები ნაკლებად მაინჭერესებს. წადი,  
ამ ამბით სხვა გაახარე.
- კი მაგრამ, მან თქვენ დაგნიშნათ  
ანდერძის აღმსრულებლად.

ამ სიტყვებზე დაშ-აქოლი ერთბაშად  
დაცხრა. მოსული თავით ფეხამდე შეათ-  
ვალიერა. კვერცხისებური ქუდი კეფაზე  
გადაიწია, მოიწმინდა სანახევროდ თეთრი  
(სადაც ქუდი ფარავდა), სანახევროდ  
ბრინჯაოსფერი შუბლი და თქვა:

- მიიღოს უფალმა ჰავის სული.  
რაც მოხდა, მოხდა. ოღონდ რად დასჭირ-  
და ამ ხათაბალაში ჩემი გარევა. კარგი,  
წადი, ახლავე მოვალ.

ამბის მომტანი ჰავი სამადის მოუ-  
რავი იყო. მან დარბაზი სწრაფად გადაჭ-  
რა და ჩაიხანიდან გავიდა.

დაშ-აქოლმა შუბლი შეიჭმუხნა. ყა-  
ლიონი ნელა გააბოლა. ჩაიხანა თითქოს  
შთაინთქა სქელ ნისლში. დაშ-აქოლმა ჩი-  
ბუხიდან ფერფლი გამობერტყა, წამოდგა,  
თავისი გალია ბიჭს მიაბარა და გარეთ გა-  
ვიდა.

როდესაც დაშ-აქოლმა ჰავი სამადის  
სახლს მიაწია, სამგლოვიარო ადათი უკ-  
ვე აესრულებინათ. დარჩენილიყო მხო-  
ლოდ ყურანის რამდენიმე მკითხველი.

წვრილფეხა მსახურები გასამრჯელოზე  
დავობდნენ. აქოლს სთხოვეს, რამდენიმე  
წუთს ეზოში, აუზთან მოეცადა; შემდეგ  
შეიყვანეს დიდ ოთახში, რომლის ფან-  
ჯრები ბირუნის გადაჰყურებდა. ფარდის  
იქიდან ქვრივი გამოჩნდა. მისალმების  
შემდეგ დაშ-აქოლი ბალიშზე წამოჯდა და  
თქვა:

- დღეგრძელი და მუდამ ჯანმრთე-  
ლი ბრძანდებოდეთ, ხანუმ. ღმერთი იყოს  
თქვენი შვილების მფარველი.

ქვრივმა ყრუ, გაბზარული ხმით უპა-  
სუხა:

- იმ საღამოს, როცა ჰავი სამადი  
ცუდად შეიქნა, მოიყვანეს იმამი. ყველას  
თანდასწრებით ჰავიმ თქვენ დაგასახე-  
ლათ ანდერძის აღმსრულებლად. ალბათ,  
კარგა ხნის ნაცნობები ხართ?

- ერთმანეთი ჩვენ ამ ხუთი წლის  
წინათ, გზაში გავიცანით.

- ჰავი, ღმერთმა შეუნდოს ცოდვე-  
ბი, ხშირად მეუბნებოდა: თუ ქვეყნად არ-  
სებობს ნამდვილი ადამიანი, ეს დაშ-აქო-  
ლიაო.

- ქალბატონო, მე თავისუფლება  
მიყვარს, მაგრამ ახლა, რადგან უკანას-  
კრელად ასე ინება განსვენებულმა, მზის  
ამ სხივს გეფიცებით: თუ ცოცხალი დავ-  
რჩი, ვაჩვენებ იმ ჩალმოსნებს, როგორ  
უნდა საქმის წარმართვა.

ის იყო, აქოლი შებრუნდა წასასვლე-  
ლად, რომ ფარდებს შორის გაიელვა  
ახალგაზრდა გოგონას სახემ. აქოლმა  
თვალი მოჰკრა მის ვარდისფერ ლოყებსა  
და პატარა, შუქმფინარ თვალებს. ერთ  
წუთს უმზერდნენ ისინი ერთმანეთს.  
უეცრად დარცხვენილმა გოგონამ ფარდა  
ჩამოუშვა და მიიმალა. ლამაზი იყო? შეი-  
ლება. ყოველ შემთხვევაში, მისმა წაპერ-  
წკლიანმა თვალებმა თავისი გაიტანეს და  
დაშ-აქოლს გული აუთრთოლეს. მან თავი  
დახარა და გაწითლდა.

ეს გოგონა მარჯანი იყო, ჰავი სამა-

დის ქალი; ის ცნობისმოყვარეობამ დაძლია და მოირბინა, რათა თავისი თვალით ენახა სახელგანთქმული აქოლი, რომელ-საც მთელი ქალაქი იცნობდა და რომელიც დღეიდან მისი მფარველი ხდებოდა.

დაშ-აქოლი მეორე დღიდანვე შეუდგა ჰაჯი სამადის საქმეთა მოგვარებას. ერთი მოხერხებული მეწვრილმანის, ორი გაურკვეველი საქმიანობის პირისა და გადამნერის მეოხებით დაწვრილებით აღწერა მთელი მისი ქონება. რაც ზედმეტი იყო, სარდაფში დააწყო და დალუქა, ხოლო გასაყიდი გაყიდა. შემდეგ გაეცნო ყველა ხელშეკრულებასა თუ ქალალდს, მთელი სახსრები მოაგროვა და ვალები გაისტუმრა. ასე და ამრიგად, ორი დღე-ლამის განმავლობაში მთელი საქმეები მოაგვარა.

მესამე დღეს, გვიან ღამით, დალლილ-დაქანცული დაშ-აქოლი შინ ბრუნდებოდა. გზაჯვარედინზე, „სეიდ ჰაჯი ყარიბის“ სამიკიტნოსთან შემოხვდა იმამ ყოლი და გააფრთხილა:

— უკვე ორი ღამეა, ძმაბიჭი-როსტომი გიდარაჯებთ. წუხელ ასე მითხრა: ალბათ, აქოლს დაავინყდა დაპირება, ანდა კოხტად გაგვაცურა, ანგარიშის გასწორება რომ გადადოო.

დაშ-აქოლმა ულვაშებზე ხელი გადაისვა და თქვა:

— შენ დარდი ნუ გექნება!

მას კარგად ახსოვდა, სამი დღის წინათ „ორი მორის“ ჩაიხანაში როსტომი მისი მისამართით რისხვას რომ აფრქვევდა. მაგრამ რადგანაც თავის მეტოქეს კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ როსტომმა და იმამ ყოლიმ მოილაპარაკეს ის წონას-წორობიდან გამოეყვანათ, იმამის სიტყვები უყურადღებოდ დატოვა, გაბრუნდა და ფართო ნაბიჯით შინისკენ გასწია. გზაში მისი ფიქრები მარჯანს დასტრიალებდა. და რაც უფრო ცდილობდა ნაკლებად ეფიქრა მასზე, მარჯანის სახე ოცნებაში

უფრო მკაფიოდ ეხატებოდა...

დაშ-აქოლი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. გარეგნობით ვერ მოგხიბლავ-დათ მაინცდამაინც. ყოველ შემთხვევაში, პირველი ნახვისას ნაკლებად მიგიზიდავ-დათ. მაგრამ საკმარისი იყო მასთან გესაუბრათ, ან მოგესმინათ მისი ერთ-ერთი თავგადასავალი, რომ ამ პიროვნების შინაგანი სითბო ერთბაშად მოგნუსხავდათ. კეთილშობილი სახე ხანჯლის ნაკვალევს დაესერა. ცხვრის თვალები ჰქონდა, წარბები — ხშირი და შავი, ყბები — ფართო. ცხვირი — თხელი, წვერ-ულვაში — ყორნის ფრთის ფერი. ჭრილობები მაინც ძალიან ამახინჯებდა. შუბლსა და ლოყებს წურბელებივით გასდევდა პრიალა, წითელი ზოლები და, რაც მთავარია, ერთ-ერთ დარტყმას მარცხენა თვალის ქუთუთოც დაეზიანებინა, ძირს ჩამოეზიდა.

აქოლის მამა მსხვილ მიწათმფლობელად ითვლებოდა ფარსის ოლქში. მისი სიკვდილის შემდეგ მთელი სარჩო-საბადებელი დარჩა მის მემკვიდრეს, „ერთადერთსა და უსაყვარლეს“ ძეს. მაგრამ დაშ-აქოლი ფულის ფლანგვას და ხელგაშლილობას შესჩვეოდა. ფულს არად აგდებდა; ცხოვრობდა ლალად, როგორც სურდა, არავითარ მიზნებს არ ისახავდა და თავის ქონებას ღარიბ-ღატაკთ უხვად აძლევდა. ხშირად თვრებოდა არყით და შემდეგ გზაჯვარედინზე ღრიალებდა, უსაქმურებთან ერთად სუფრას აღარ სცილდებოდა. აი, რა იყო მთელი მისი ნაკლი თუ ღირსება. გასაოცარია, რომ ასეთ დროსტარებაში ერთხელაც არ დაფიქრებულა სიყვარულზე. თუმცა ხშირად იწვევდნენ მეგობრები სამიჯნურო საღამოებზე, მაგრამ ყოველთვის უარობდა და არ მიღიოდა.

იმ დღის შემდეგ კი, რაც ჰაჯი სამადის საქმეები ჩაიბარა და მარჯანი ნახა, სულიერი სიმშვიდე დაკარგა. ერთის

მხრივ, მოვალედ თვლიდა თავს, რაც შეიძლება კარგად აესრულებინა განსვენებულის ნება-სურვილი, მეორეს მხრივ კი თავდავიწყებით შეუყვარდა მარჯანი. ამდენად, ორკეცი იყო მისი ფიქრი და ზრუნვა განსვენებულის ოჯახის მიმართ. ადამიანი, რომელმაც ქარსა და ღვინოს გაატანა მთელი სიმდიდრე, ახლა დღედალამ იმას ფიქრობდა, როგორ და რა გზით გაეზარდა ჰაჯი სამადის მამულების შემოსავალი. მან განსვენებულის ოჯახი მომცრო ბინაში შეასახლა, ხოლო დიდი გააქირავა. პატარა ბავშვებს მასწავლებელი აუყვანა, ზრდიდა და ამრავლებდა ქონებას, დილიდან დაღამებამდე თვალყურს ადევნებდა ჰაჯი სამადის ოჯახის საქმეებს.

ახლა უკვე დაშ-აქოლი გზაჯვარედინებს აღარ ტკეპნიდა, აღარ სტეხდა აყალ-მაყალსა და აურზაურს. ჩამოსცილდა ძველ ძმაბიჭებს და წინანდელი ცხოვრების შფოთი დაივიწყა. მაწანწალები და ძმაბიჭები, რომელთაც უნინ თავი მის მეტოქებად მოჰკონდათ, ჰაჯის სიმდიდრის მომლოდინე მოლების შეგულიანებულები, ათასნაირად ჭორაობდნენ დაშაქოლზე. ამ ჭორებს აზვიადებდნენ და ავრცელებდნენ გზაჯვარედინებსა თუ ჩაიხანებში, ყველგან, სადაც კი ხალხი იკრიბებოდა. ყავახანაში „ჭადრის ქვეშ“ მყოფთა უმრავლესობა მხურვალედ მონაწილეობდა დაშ-აქოლის საქმეების განხილვაში, მასლაათობდნენ:

— რაო? დაშ-აქოლზე ლაპარაკობ? ნამდვილად გადედლდა, ძმაო. გულმშიშარა ლეკვია და მეტი არაფერი. სხვაგან ვეღარსად ნახავ. დაყუდებულა ჰაჯის კარებთან, ოხრავს და კვნესის, თითქოს გემრიელ ლუკმას ელისო, და თუ შემთხვევით გამოჩნდა „ქურდბაცაცას თავის“ უბანში, კუდამოძუებული უხმოდ მიიპარება.

ძმაბიჭი-როსტომი კი, რომლის

გულს ჰავრი ძველებურად ღრღნიდა, ენის ბორძიყით ქადაგებდა:

— მოუნდა, რაღა, ამ სიბერეში არშიყობა და მიჯნურობა. ჰაჯი სამადის ქალიშვილი შეჰყვარებია. ჰოდა, ხმალიც ქარქაშში ჩააგო. ახლა ხალხს თვალები აუბა და ჰაჯის ქონებას მიადგა გასასანიავებლად. აი, ღმერთს რომ ჩემთვის მოეცა ასეთი ხევდრი... ბედი აქვს, რაღა!

თანდათან ქრებოდა დაშ-აქოლის წარსული დიდება და სახელი. აღარავის აინტერესებდა იგი, და თუ ოდესმე სადმე შევიდოდა, დამსწრენი დაუფარავად დასცინოდნენ. დაშ-აქოლს ესმოდა ყოველივე, მაგრამ როდი იმჩნევდა. მარჯანის სიყვარულმა ისე მძლავრად დარია ხელი, რომ სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდა. ღამით დარდისგან არყით თვრებოდა და, სიმარტოვე ისე მწვავედ რომ აღარ ეგრძნო, ერთი თუთიყუში იყიდა. დაუჯდებოდა ხოლმე ჩიტის გალიას და მხოლოდ მას ანდობდა თავის გულის დარდებს.

დაშ-აქოლს რომ მოესურვა მარჯანის ცოლად შერთვა, ქალის დედა სიხარულით დასთანხმდებოდა, მაგრამ ცოლშვილის ტვირთის ზიდვა არ უნდოდა, თავისუფლებას ვერ ელეოდა. გარდა ამისა, მისი აზრით, პატიოსნებაც არ იქნებოდა, შეერთო ქალი, რომლის მზრუნველი და მფარველი იყო. საღამობით კი, როდესაც სარკეში ათვალიერებდა ნაიარევსა და ჩამოშვებულ ქუთუთოს, გულიდან კვნესა აღმოხდებოდა და ნაღვლიანი ხმით ჩურჩულებდა:

— ეგებ სულაც არ ვუყვარვარ? ის უფრო ახალგაზრდა და ლაპაზ კაცს შეხვდება... სადაური სამართალია: ის თოთხმეტი წლის, მე — ორმოცისა... რა ვიღონ, რა? ეს სიყვარული დამღუპავს მე... მარჯან... მარჯან... შენ მომკალი მე. ვის შევჩივლო? მარჯან... შენმა სიყვარულმა მომიღო ბოლო...

თვალზე ცრემლი მოაწვებოდა. არ-

ყით სავსე ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ვიდრე არ მიიძინებდა. მაგრამ შვებას ძილშიც ვერ პოულობდა.

ღამით, როცა ქალაქი შირაზი თავისი მიხვეულ-მოხვეული და ვიწრო ქუჩებით, დიდებული ბაღჩა-ბაღებითა და ძონისფერი ღვინოებით ძილს ეძლეოდა, როცა იდუმალი და გაყინული ვარსკვლავები შავ ცაზე კანკალს იწყებდნენ, როცა ვარდისფერლოყებიან მარჯანს ტკბილად ეძინა და გარდასული დღის ამბებს ხედავდა სიზმრად,.. აი, მაშინ დაშ-აქოლი, – ისეთი, როგორც ბუნებამ შექმნა, – უშიშრად იცილებდა ნაჭუჭს, რომელშიც საზოგადოებრივმა ადათ-წესებმა გაახვია, თავისუფლდებოდა ყოველივესაგან, რასაც ბალლობიდანვე უნერგავდნენ და დაუფიქრებლად ეკვროდა მარჯანს. იგი გრძნობდა მის მგზნებარე, მწველ ტუჩებს, ნაზსურნელოვან ტანს და კოცნიდა მის ვარდისფერ ლოყებს. როდესაც გაიღვიძებდა, კვლავ წყველიდა თავის გაჩენას, გმობდა სიცოცხლეს და, როგორც გიჟი, ოთახში დაბორიალებდა. ჩურჩულით ელაპარაკებოდა საკუთარ თავს და შემდეგ, მთელი დღის მანძილზე, რათა საბოლოოდ დაეთრგუნა თვით ფიქრიც კი სიყვარულისა, გულმოდგინედ არჩევდა განსვენებული ჰაჯის საქმეებს...

ასე განვლო შვიდმა წელმა. დაშ-აქოლი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა დაეცვა ჰაჯის ცოლ-შვილი, მათვის ყოველგვარი პირობა შეექმნა. თუ ჰაჯის რომელიმე შვილი ავად გახდებოდა, მოსიყვარულე დედასავით მთელ ღამეებს მის სასთუმალთან ათენებდა. ის გულწრფელად შეეთვისა ამ ოჯახს, მაგრამ მისი დამოკიდებულება მარჯანთან სულ სხვაგვარი იყო; ალბათ, მისმა სიყვარულმა გადააქცია ის ასეთ გულდინჯ, დარბაისელ ადამიანად.

ამასობაში ჰაჯი სამადის შვილები

ნამოიზარდნენ.

და აი, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ოჯახი მნიშვნელოვანმა მოვლენამ ააფორიაქა. მარჯანს გამოუჩინდა საქმრო, და მერე როგორი! კიდევ უფრო გონჯი და ხნიერი, ვიდრე აქოლი იყო. მაგრამ ამან წონასწორობიდან როდი გამოიყვანა. პირიქით, მისთვის ჩვეული სიდინჯით შეუდგა მზითევის სამზადისს და ნიშნობის დღეს დიდებული ლხინიც გადაიხადა. ჰაჯის ცოლ-შვილი ისევ დიდ სახლში გადაიყვანა და მამაკაცთა სასტუმროდ ამოარჩია ფართო ფანჯრებიანი ვრცელი დარბაზი. შირაზში მყოფი ყველა ჯიბესქელი დიდვაჭარი თუ დიდებული ამა ქვეყნისა მოწვეული ჰყავდა ნადიმზე.

იმ დღეს, საღამოს ხუთ საათზე, როცა მოწვეულნი კედლის გაყოლებით ძვირფას ნოხებსა და ხალიჩებზე განლაგდნენ და სანოვაგითა და ხილით დატვირთული ლანგრები ჩამოარიგეს, დაშ-აქოლი ძველებურად, დარდიმანდულად შემოვიდა ოთახში. თმები უკან გადაევარცხნა, ნაბდის ახალი ქუდი შვენოდა, მოესხა ზოლებიანი მოსასხამი და აბრეშუმის შავი შარვალი ჩაეცვა. წელზე მჭიდროდ შემოეკრა შალი, რომელშიც ხანჯალი გაერქო. ფეხზე ეცვა აბადეპური ცხვირაპრეხილი ქოშები. აქოლს თან მოსდევდა სამი მამაკაცი, რომელთაც საანგარიშო წიგნები ეკავათ ხელში. სტუმრები გაოცებით შეჰყურებდნენ დაშ-აქოლს, რომელიც ფართო ნაბიჯით უახლოვდებოდა იმამს:

– ბატონო, – დაიწყო მან, – ჰაჯიმ, ღმერთმა შეუნდოს ცოდვები, ანდერძი დატოვა და აი, უკვე შვიდი წელია ვწვალობთ და ამ დომხალს ვარჩევთ. მისი უმცროსი ვაჟიშვილი, რომელიც მაშინ ხუთი წლისა იყო, ახლა თორმეტისაა. აი, ანგარიშის ქალალდები და წიგნები, რომელშიც აღვრიცხავდით ჰაჯის ქონებას, – მან მიუთითა მის უკან მდგარ სამ კაცზე, რო-

მელთაც ეს წიგნები ეჭირათ, – ყველაფერი, რაც დღემდე გადაიხარჯა, აგრეთვე ამ საღამოს ხარჯებიც, ჩემი ფულით გადავიხადე. დღეიდან კი ყველამ თავის საქმეს მიხედოს: ჩვენ – ჩვენსას, მათ – თავისას.

აქოლს მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა. აღარ უთქვას შემდგომ ამისა არც ერთი სიტყვა, არც პასუხისათვის დაუცდია, ჩაქინდრა თავი და გარეთ გავიდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ქუჩაში კვლავ თავისუფლება იგრძნო, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი მხრებიდან მოეხსნა. მაგრამ გული მძიმედ ჰქონდა დაჭრილი და გაბზარული. ფართო ნაბიჯებით დაეხეტებოდა ქუჩებში, ხან მარჯვნივ შეუხვევდა, ხან – მარცხნივ. უეცრად ღვინით მოვაჭრის, მოლა ისპაკის სახლი შენიშნა. დაუყოვნებლივ ჩაჰყვანესტიან აგურის კიბეს და გაჭვარტლული კედლებით შემოზღუდულ ძველ ეზოში ალმოჩნდა. ეზოს გარშემო ჩარიგებულიყო პატარა უსუფთაო ოთახები, ეზოს შუაგულში აუზი იყო, სადაც დამყაყებული წყალი იდგა.

ჰერმი მქისე სუნი ტრიალებდა – ძველი სარდაფისა და ხორბლეულის სუნი. გამხდარი, თხასავით წვერებულცარა და თვალხარბი მოლა ისპაკი ნაძალადევი ლიმილით შეეგება მას.

მოწყურებული კაცივით შეუძახა დაშ-აქოლმა:

– ერთი ბოთლი კარგი ღვინო მოგვიტანე, გრძელწვერავ, ყელი ჩავისველოთ.

მოლა ისპაკმა თავი დააქნია, სარდაფში ჩავიდა და ჩქარა დაბრუნდა. ხელში ღვინით სავსე ბოთლი ეჭირა. დაშ-აქოლმა ბოთლი გამოსტაცა, ჭურჭლის ყელი კედელს მიახალა და მიამტვრია. შემდეგ ნახევარი გამოცალა, თვალებზე ცრემლი მოაწვა, ყელში მობჯენილი ხველება დაიოკა და ხელის ზურგით პირი მო-

იწმინდა. მოლა ისპაკის სუსტი, ბინძური, მუცელგაბერილი და ცხვირწვინტლიანი ბიჭუნა პირდაღებული იდგა და აქოლს შეჰერებდა. მან კი კარადაზე დადგმულ სამარილეში თითო ჩააწო და გაილოკა.

მოლა ისპაკი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

– ნამდვილი ვაჟუაცი ხარ! შეგერგოს!

შემდეგ ხელი წაავლო მოსასხამის საყელოში და შეეკითხა:

– ეს როგორ გამოწყობილხარ? ახლა აღარავინ ატარებს ასეთ გრძელსახელოებიან ახალუხს. თუ როდისმე მოგაფიქრდეს მისი გაყიდვა, მითხარი, კარგ ფასს მოგცემ.

დაშ-აქოლმა პასუხად მხოლოდ სევდიანად გაიღიმა. ფული ამოიღო, სამიკიტნოს მეპატრონეს ხელისგულზე დაუდო და გარეთ გავიდა. ბინდდებოდა, საშინლად ცხელოდა. აქოლს აზრები ერთმანეთში ერეოდა და თავი სტკიოდა. ნაწვიმარი ქუჩები ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და ჰერში სველი მიწისა და თურინჯის სუნი ტრიალებდა. დაშ-აქოლს უცებ მარჯანის სახე წარმოუდგა თვალწინ – მისი ვარდისფერი ლოყები, შავი, ციმციმა თვალები, ხშირი, გრძელი წამწამები, შუბლზე ჩამოცვენილი დალალები. მოაგონდა მთელი თავისი წარსული ცხოვრება, მეგობრებთან ერთად საადისა და ბაბა ქუჰის საფლავების სანახავად გასეირნება: ხან იღიმებოდა, ხან წარბს შეჰერავდა. მისთვის ცხადი იყო ერთი რამ: შინ წასვლისა ეშინოდა. ასეთი ცხოვრება მისთვის აუტანელი შეიქნა, თითქოს გული ამოჰგლიჯეს მკერდიდან. უნდოდა, წასულიყო სადმე შორს, ძალიან შორს. უცებ გაიფიქრა, რომ უმჯობესია, კიდევ შესვას არაყი. შემდეგ კი მთელი თავისი გულის ვარამი თუთიყუშს გაუზიაროს. მთელი ცხოვრება რაღაც უმიზნოდ და არარაობად ეჩვენებოდა. მოაგონდა ერთი

ლექსი და დაუფიქრებლად წაიღილინა:  
პატიმართა დროსტარება მენატ-  
რება,  
ბორკილები არის მათი ტკბილეუ-  
ლი.

ანლა სხვა ჰახები გაახსეხდა და უფრო ხმალლა შემოსძახა:

ჩემო გულო, აღარ მემორჩილები...  
ბრძენო, ჩქარა მოიტა ბორკილები

გიუისათვის სხვა წამალი არ არი...  
მღეროდა მწუხარედ, ნაღვლიანად  
და გულსაკლავად. შემდეგ მობეზრდა თუ  
ფიქრი სხვაზე გადაიტანა, მღერა შეწყვი-  
ტა.

დაღამდა, როდესაც დაშ-აქოლი „ქურდბაცაცას თავის“ უბანს მიუახლოვ-და. სამიკიტნო ისევ იმ ადგილას იდგა, სა-დაც წინათ, აქოლი რომ ყველას შიშის ზარსა სცემდა და მასთან ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. რომელიღაც სახლის ზღურბლზე უხალისოდ ჩამოჯდა, ყალიონი ამოილო, გატენა და გააბოლა. ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი გაუარესდა. მის თვალში ახლა ადამიანებმაც იცვალეს ფერი, ისევე, როგორც თვითონ გამოიცვალა: რაღაცნაირად თითქოს დაიმტვრა და მოითენთა. თვალებში ვეღარ იყურებოდა, ტკივილისაგან თავი უსკედებოდა.

უცებ შენიშა შავი ლანდი. ლანდი  
სწრაფად უახლოვდებოდა; როდესაც ახ-  
ლოს მოვიდა, გაისმა ვიღაცის ხმა: „მხო-  
ლოდ ლა-ლა-ლამით შეიძლება შეგხვდეს  
ნა-ნა-ნამდვილი ვაჟკაცი“.

დაშ-აქოლმა იცნო dმაბიჭი-როსტო-  
მი, წამოინია, ცალი ხელით დოინჯი შემო-  
იყარა, გადააფურთხა და მიუგო:

— იმ შენი მხდალი მამის სულს გე-  
ფიცები, როგორც ჩანს, მართლაცდა თა-  
ვი ნამდვილ ვაჟაცად მოგაქვს, მაგრამ,  
ალბათ, აუცახცახებლად ვერც კი მოშარ-  
დავ.

როსტომმა ზიზლით გადაიხარხა,

უფრო ახლოს მივიდა და უთხრა:

- რაღაც დიდხანს არ ჩ-ჩ-ჩანდი ამ მიდამოებში, დღეს ხომ ნიშნობაა ჰაჯის სახლში. შენ რატომ იქ ა-ა-არ...

დაშ-აქოლმა სიტყვა შუაზე გააწყვეტინა:

— ღმერთმა კარგად განსაჯა, რომ  
მხოლოდ ნახევარი ენა მოგცა. იმასაც ამ  
სალაშოს ამოგაცლი.

ხელი გაიკრა და ხანჯალი იშიშვლა.  
როსტომმა, აბანოს კედლებზე გამოხა-  
ტულ აჩრდილს რომ ჩამოჰყავდა, დანა  
იძრო. დაშ-აქოლმა თავისი ხანჯალი წვე-  
რით მიწაში ჩაასო, ხელები გულზე დაიკ-  
რიფა და თქვა:

- ნეტავ მანახა ვაჟუაცი, რომელიც  
ამ ხანჯლის წვერს მიწითან ამოიღობს!

როსტომი ერთი ნახტომით ეცა მას, მაგრამ დაშ-აქოლმა მაჯა ისე მძლავრად დაუჭირა, რომ როსტომს დანა ხელიდან გაუვარდა. ქუჩაში ატეხილმა აურზაურმა გამვლელი ხალხი მიიზიდა, მაგრამ ვერა-ვინ ბედავდა მათთან მიახლოებასა და გაშველებას.

დაშ-აქოლმა დაცინვით უთხრა:

— აპა, აპა, აიღე, მოდი, მაგრამ მაგრა დაიჭი, გესმის, დღეს მინდა ყველა წერილმანი ანგარიში გაგისწორო.

მუშტშემართული როსტომი მოწინა-  
ალმდეგისაკენ გაექანა და სამკვდრო-სა-  
სიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთმანეთს. მთე-  
ლი ნახევარი საათი გორავდნენ მიწაზე,  
ოფლად გაიღვარნენ, მაგრამ ვერც ერთმა  
ვერ სძლია. დაშ-აქოლმა ისე მაგრად და-  
ხეთქა თავი ქვაფენილს, კინაღამ გრძნობა  
დაკარგა. თუმცა ძალიან კარგად იცოდა,  
რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო  
იყო, როსტომი თანდათან ღონეს კარგავ-  
და და აქოლს ვეღარ უმკლავდებოდა.  
სწორედ ამ დროს შენიშნა მან აქოლის  
ხანჯალი, აქვე, სულ ახლოს, იმდენად ახ-  
ლოს, რომ სულ ადვილად მისწვდებოდა.  
უანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხანჯა-

ლი მიწიდან ამოაძრო და მეტოქეს ფერ-დში გაუყარა. ერთხანს არც ერთი მათგა-ნი არ განძრეულა. ხალხი მივარდა დაშ-აქოლს წამოსაყენებლად. ფერდიდან სის-ხლი გადმოსდიოდა და მიწას ეწვეთებო-და. მან ჭრილობასთან ხელი მიიტანა და კედლის გაყოლებით რამდენიმე ნაბიჯზე წაბარბაცდა. კვლავ დაეცა, ხელახლა წა-მოაყენეს და ხელში აყვანილი მიიტანეს შინ.

მეორე დილას, როდესაც დაშ-აქო-ლის დაჭრის ამბავმა ჰაჯი სამადის ოჯა-ხამდეც მიაღწია, უფროსი ვაჟიშვილი ვა-ლიხანი წამოვიდა მის სანახავად. სასიკ-ვდილოდ ფერწასული აქოლი ლოგინში იწვა – პირზე სისხლიანი დუში მოსდგო-მოდა. უტყვი, გაშტერებული, უმოძრაო გამოხედვა ჰქონდა, მძიმედ სუნთქავდა და, თუმცა სული ყელში მობჯენოდა, ვა-ლიხანი მაინც იცნო და ძლივს გასაგონი მთრთოლვარე ხმით უთხრა:

– მთელ ქვეყანაზე ... მხოლოდ ერ-

თი... ეს თუთიყუში გამაჩნია... გაფიცებთ თქვენს სიცოცხლეს... ამ თუთიყუშის სი-ცოცხლეს... გადაეცით ის...

ხმა გაუწყდა. ვალიხანმა აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მო-იწმინდა. ერთი საათის შემდეგ დაშ-აქო-ლი გარდაიცვალა ისე, რომ გონის არ მო-სულა.

მთელი შირაზის მოქალაქენი დასტი-როდნენ მას.

იმავე სალამოს ვალიხანმა გალია ჩი-ტიანად შინ გადაიტანა. მარჯანს გალია წინ დაედგა, ტკბებოდა ჭრელფრთიანი ჩიტის სილამაზით, ათვალიერებდა მის მოკაუჭებულ ნისკარტს, უაზრო, მრგვალ თავლებს. უცებ თუთიყუშმა ძველი დარ-დიმანდის ხრიანწიანი ხმით წაილაპარაკა:

– მარჯან... მარჯან... შენ მომკალი მე... ვის შევჩივლო? მარჯან... შენმა სიყ-ვარულმა მომიღო ბოლო...

და მარჯანის თვალთაგან ცრემლმა იწვიმა.



ირანული ფოლკლორი



## სპარსული ხალხური პოეზიიდან<sup>1</sup>

### დუბეითები<sup>2</sup>

\*

განთიადისას ტოტზე ბულბულს მოვკარი თვალი,  
სატრფოს ეკვროდა, უგალობდა მას ეშით მთვრალი.  
შემშურდა მათი, ჩემთვის ჩუმად ჩავიჩურჩულე:  
ვისაც არა ჰყავს მეგობარი, ვა, მისი ბრალი!

\*

მთვარიანი ღამეა და ეფარება ღრუბლებს მთვარე,  
კერპებს ზურგი შეაქციე, ღმერთი ერთი აღიარე!  
თუკი იცი, რომ მიჯნური ისრით უნდა განიგმიროს,  
ჰე, ურჯულოვ, რაღას მარგებს მოთმინება, მომკალ ბარემ!

\*

ჩრდილი არა ჩანს, საშინლად ცხელა,  
არსაიდან ხმა, გამწყდარა ყველა.  
მხოლოდ ხანდახან ქოშის პაკუნი  
მაგონებს სატრფოს და გული ღელავს.

\*

წუხელის დიდი მოვიდა წვიმა,  
ჩემი მიჯნური ბანზე წევს, სცივა.  
მივედი, ბაგეს ნაზად შევეხე,  
სისხლის ცრემლები სცვივა და სცვივა.

<sup>1</sup> არმალანი, აღმოსავლეური მწერლობის ნიმუშები, შეადგინა მ. თოდუამ, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982 (რედ. შენიშვნა).

<sup>2</sup> დუბეითი (ზოგან მას „სარბანი-მექარავნული“ ეწოდება, ზოგან – „ჩარბეითი“ ან, უბრალოდ, „ბეითი“, „შაირი“) ოთხსტრიქონიანი ლექსია. როგორც წესი, გარითმულია პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები. ზოგჯერ – ოთხივე. რითმა მარტივია, ხშირად რედიფით დამშვენებული.

\*

ახლა შევყურებ სხვა მთას და სხვა წყალს,  
შორს დამრჩა სახლი ყარიბს და საწყალს.  
არ მინდა მოვკვდე აქ უთვისტომოდ,  
სატრფო მოვა და ვერ იცნობს საფლავს.

\*

ჩემი ძვლისგან გავთლი კალამს,  
შევამზადებ სისხლით მელანს,  
გულის ფიცარს ფურცლად ვიხმარ  
და შევუთვლი სატრფოს სალამს.

\*

განთიადისას მთვრალი და ხელი  
სატრფოს ნაწნავებს შევეხე ხელით,  
მეორედ მოსვლის დღემდე შერჩება  
ჩემს ხელებს მისი თმების სურნელი.

\*

ღამეა და შენ კი სად ხარ, ნუ მანამებ.  
მოდი ჩემთან, მიმკურნალე ამ გრძელ ღამეს.  
ავადმყოფმა იცის მხოლოდ ღამის სიგრძე,  
ავადა ვარ, მინახულე, მითხარ რამე.

\*

მე აქა ვარ და ჩემი სატრფო – ველად გაჭრილი,  
თვალები ცრემლით სავსე მაქვს და გული – დაჭრილი,  
ო, ნეტავ ციდან ნამოვიდეს თქეში და ღვარი,  
რომ წაიშალოს ამა ქვეყნად ჩემი აჩრდილი!

\*

გაზაფხული არად მინდა ღვინით თრობის გარეშე,  
მე სიცოცხლე არად მინდა შენი ტრფობის გარეშე.  
მიკვირს, როცა ღმერთს შესთხოვენ – მოგვცენ დღენი ხანგრძლივი!  
დღეც არ მინდა მარტოდმარტო მეგობრების გარეშე.

## პერმუხა, ბრძოლების მნახველი<sup>1</sup>

1. მეგობრებო დროისაო,  
დღეთაგან დღენი,  
დროთაგან დრონი!
2. ყაისის მსგავსად ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული,<sup>2</sup>  
გზად ხეტიალში გადავაწყდი ერთ მძლავრ ბერმუხას.
3. ცად ირმის ნახტომს ეხებოდა კენწერო მისი,  
ხოლო ფესვები დედამიწას გულს უგმირავდა.
4. შორს გაეწვდინა დაფოთლილი მსხვილი შტოები,  
ყრმასა და მოხუცს საჩრდილობელ კარავს უშლიდა.
5. ბერმუხის ჩრდილი იყო ისე ამო და გრილი,  
რომ სხვათა ხეთა, შემყურეთა, სირცხვილი კლავდათ.
6. სამოთხის ხეც<sup>3</sup> კი ინატრებდა მის სურნელებას,  
სავალი გზები თავს იყრიდა იმ მუხის ძირში.
7. ხეს გული ჰქონდა სულ დაჭრილი, სულ დაისრული,  
მშვილდოსანთაგან სახსოვარი დანატოვარი,
8. ვით ბისუთუნის კლდეს აჩნია ფარპადის ჭანგი,<sup>4</sup>  
თან ელვარებდა, ანათებდა თითქოს მზესავით.
9. მივედი ახლოს, მივეფერე ხის დაკოდილ ტანს,  
დარდი მომაწვა, როგორც ნისლი დამავანდის მთას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ენჯავი შირაზის ... მოაქვს ტექსტი მცირე მესნევისა „დარე ჯანგე“ („ბრძოლის ხე“), რომელიც მას ჩაუწერია ლურის დიალექტზე. ავტორი... მიუთითებს ძეგლის არქაულობაზე, ურთავს ლათინურ ტრანსკრიფციასა და ზუსტ შესატყვისს თანამედროვე სპარსულ სალიტერატურო ენაზე. ვფიქრობთ, ამ ხალხური ძეგლის თარგმანი დააინტერესებს ქართველ მკითხველსაც.

<sup>2</sup> ტექსტშია: „ყაისის (იგივე მაჯნუნი) მსგავსად ტანზე მეცვა ცხვრის, გარეული თხის (ქალ) ტყავი“. როგორც ჩანს, არსებობდა „ლეილმაჯნუნიანის“ ისეთი აღმოსავლური ვერსია, საიდანაც ეს დეტალი გავრცელდა. საინტერესოა, რომ იგი გვხვდება „იოსებზილიხანიანის“ ზალისეულ ვერსიაში: „მაჯნუნის მსგავსად დავიწყებ ქარდაკარ დაყუდებასა,,  
და ტანსა ცხვრის ტყავს დავიკრავ, თავსა დავირევამ დედასა“.

<sup>3</sup> ტექსტშია „თოუბა“ (მითოლოგიური სამოთხის ხე).

<sup>4</sup> იგულისხმება შირანის სიყვარულით გახელებული ფარპადის მიერ ბისუთუნის მთაში გვირაბის გაყვანა.

10. ბერმუხას ხელი შემოვხვიე და მივეყრდენი,  
ჩემსავით მარტოს, დაბერებულ ხეს მივეყრდენი.
11. შემდეგ შევსძახე: „მითხარ ერთი, მაღალო ხეო,  
კაცმა თუ იცის ანგარიში შენი წლებისა?
12. ვინ იცის, ხეო, ვინ გინახავს წინაპართაგან,  
ანდა ამ გზებით ვინ მოსულა და სად წასულა?
13. რამდენი წელი შრიალებენ შენი შტოები,  
ვინ გაახარა ამხელა ხე ამ სანახებში?
14. ვინ დაგიკოდა ეგ გულმკერდი ასე საშინლად,  
ვინ იღო კისრად შენი სისხლი ალალ-მართალი?\*
15. უცბად ხმა მესმის, თითქოს მუხამ ენა აიდგა,  
ალაპარაკდა ხე ბებერი, ტანდაკოდილი.
16. ზარით, ქვითინით მიპასუხა: „ჰე, უმეცარო,  
რას ეხეტები უდაბნოში ჩემსავით მარტო?!“
17. რას მეკითხები სულელივით ჩემს ვინაობას,  
რატომ მაგონებ რისხვით სავსე წარსულთა დღეთა?!“
18. რად გინდა, კვალად განმიახლდეს ძველი ჭრილობა,  
შემოვიხიო უნდა ისევ დარდის საყელო!
19. ჩემი ტკივილის ნაწილიც რომ გაგიზიარო,  
თუ რატომ აღწევს ჩემი კვნესა ზეცის თაღამდე,
20. უნდა მისმინო წელიწადი და ნახევარი,  
შენ კი სუსტი ხარ, ვშიშობ, გულმა რომ ვერ გაგიძლოს!
21. მაგრამ რადგანაც თავად მთხოვე, მომაპყარ ყურნი,  
ისმინე ჩემი ავბედითი ეტლის<sup>2</sup> ამბავი.

<sup>1</sup> სიტყვასიტყვით: „ჩემი დარდის კვამლი ამაღლდა დამაგანდის ნისლივით“.

<sup>2</sup> სიტყვასიტყვით: „ფეხმოტეხილი ვარსკვლავი“.

22. უწყოდე, კაცო, რომ ოდესლაც, მრავალ წლის წინათ,  
ქაიუმარსის<sup>1</sup> დროს ვიყავ ნერგი ნორჩი, ახალი.
23. პირველად ვნახე ბრძოლა დევთა და სიამაქის,  
ჰუშანგის რისხვა და ლაშქრობა მისთა ლაშქართა.
24. შემდეგ ვიხილე თაპმურასი, ძე ჰუშანგისა,  
როგორ რაზმავდა ბრძოლის ველზე მებრძოლთა რიგებს.
25. მეფე ჯამშიდის უზრუნველი მინახავს ლხინი,  
ნაზად მღიმარე მომღერლებით გარსშემორტყმული.
26. მეფე ზაპაქის, მარდასბის ძის, ვიყავ მხილველი,  
გერშასბის მკლავი და მახვილი მზერას მტაცებდა.
27. ზაპაქის მხრებზე წყვილი გველის ხილვამ შემზარა,  
უწმიდურ ეშმას ამბორით რომ ამოეზარდა.
28. თავალნათლივ ვნახე ფერიდუნი და ძენი მისნი,  
ამბოხებული მჭედელ ქავას ალმის ფრიალი.
29. სალემი, თური და ირაჯი, მათთან ფაშანგი,  
ბრძოლის ჟამს ვნახე მრისხანება მანუჩარისა.
30. აფრასიაბის მძვინვერების ვიყავ მოწამე,  
ვნახე ფირანი და ჰუმანი ომის მძებნელი.
31. ნავზარ უფლისწულს ვით ელირსა მეფობა, ვნახე,  
ყარანს და ქიშვადს მოვესწარი, ჰადადის ძეთა.
32. ნარიმანის ძე საამ იყო დევთა შემკვრელი,  
საამზე უფრო უმაღლეს კაცს ვისლა ვნახავდი.
33. ვნახე ზაალი მძიმე გურზით დამშვენებული,  
სიმურღზე მისი ამხედრება, მისი მხარ-ბეჭი.

<sup>1</sup> პირველადქმნილი ადამიანი ირანული ეპიკური თქმულებებისა და „შაპნამეს“ მიხედვით. ამის შემდგომ მოხსენიებული გმირებიც „შაპნამედანა“ აღებული, ან, შესაძლოა, ფირდოუსის მიმბაძველთა თხზულებებიდან.

34. ვნახე მეფობა ზავისა და შაჲ გერშასბისა,  
გოსთაჲამი და თუსი, შურისმაძიებელი.

35. ოქროსმფრქვეველი ქაიყობადი ვითარ მეფობდა,  
ან ვით იბრძოდა მძღე როსთამი და მისი რახში.

36. ვიყავ მოწამე ქადექაუსის ავი ზნეობის,  
ზარსაშ თუსის ძის სილამაზის ვიყავ მხილველი.

37. სამოცდათვრამეტ ძეს გუდარზის აქ ჩაუვლია,  
ყოველ მათთაგანს სამარზბანოდ მარზი <sup>1</sup>ელოდა.

38. ვნახე ჯადოსნურ ჯამით ხელში ქახოსროვ შაჲი,  
მურასა თაჯით ოქროს ტახტზე დაბრძანებული.

39. ვნახე ლოპრასბი, ქაფაშინი, მეფე გოშთასბი,  
თვალნათლივ ვნახე ცოდნის სიღრმე, სიბრძნე ჯამასბისა.

40. რვალისტანიან ისფანდიარს ოდეს ვახსენებ,  
გამახსენდება თაპემთანთან შეტაკების დღე.

41. ვნახე ბაჲმანი, წმინდა რჯულის უარმყოფელი,  
ბარზუსთან მისი შეტაკება უსასტიკესი.

42. ჰომა, ასული ბაჲმანისა, დარა დარას ძე,  
ყველამ ჩემ თვალწინ გაიარა გზა უსასრულო.

43. გარდაიარა ჩემს ტოტებზე მრავალმა წელმა,  
ვნახე მეფენი მოზეიმეც, დამარცხებულიც.

44. სპასალარები ვნახე ომში შეჯახებულნი,  
ღმერთს რომ შესთხოვდნენ დახმარებას და შემწეობას.

45. მოციქულები და ელჩები ბჭობდნენ ჩემს ჩრდილში,  
ახალი ბრძოლის ვადებსა და პირობებს დებდნენ.

<sup>1</sup> საშ. სპარს. მარზი ნიშნავს: „საზღვარი, კიდე; ქვეყანა“. მარზბანი – „მესაზღვრე, მემამულე; ქვეყნის, ოლქის განმგებელი“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები-დან, 1, 1966, გვ. 340).

46. კვლავ ჩამესმოდა ულმობელი დოლის ბრაგუნი,  
საყვირის ხმები, გაშმაგებულ მხედართ ყიფინა.
47. ხმალამოწვდილი ასკდებოდა ლაშქარი ლაშქარს,  
ცხენთა ფლოქვთაგან მტვერი ცამდე ისვეტებოდა.
48. ზვინი დგებოდა ბრძოლის ველზე დახოცილ გვამთა,  
სისხლის მდინარეს თან მიჰეონდა მუზარადები.
49. მახსოვს მხედარი, თავს დაერქვა მას დევის ქალა,  
და ვეფხვის ტყავი ტანს ემოსა როსთამის მსგავსად.
50. გმირს ამშვენებდა მოოჭვილი ოქროს გვირგვინი,  
ოქრომკედითვე კაბა იყო მკერდმოქარგული.
51. ამხედრებული ცხენის ზურგზე, როგორც საამი,  
ქეიანთა მოდგმის, არდაშირი ერქვა სახელად.
52. მას მოპაექრედ მოევლინა სარდალი ვინმე,  
მძლავრი, ეშმაკი, ღონეს ხერხს რომ ამჯობინებდა.
53. შეღადის მსგავსად, როსთამის მკლავს რომ გაურბოდა,  
ფარად იფარა იმ სარდალმა ჩემი სხეული.
54. მოზიდა მშვილდი არდაშირმა და განუწონა,  
ისარი გრძელი, არწივის ფრთით დამშვენებული.
55. სამწვერა ისრის ამაზრზენი მესმა ზუზუნი,  
ვიხილე ელვა, არწივის ფრთით დამშვენებული.
56. ისარმა ტანში გამიარა, მტერიც განგმირა,  
არწივის ფრთამდე სველ მიწაში დაერჭო მკვიდრად.
57. მტერი დაეცა, მე კი დავრჩი კვლავ ზეზეულად,  
მას შემდეგ დამრჩა საშინელი ჭრილობა გულზე.
58. ტყიდან და მთიდან გამოვიდა მხეცების გუნდი,  
ლეშის მჭამელნი ძირს დაცემულს გარს შემოერტყნენ.

59. მძიმედ დაიძრა ციდან სვავი გაუმაძლარი,  
ჩემს კენწეროზე სასეიროდ ზანტად შემოჯდა.
60. ზოგჯერ ზემოდან დახედავდა ლეშს და უდაბნოს,  
ზოგერ ნისკარტით იწინკნიდა ფრთებსა და ბუმბულს.
61. მოლაშქრეებმა მიაშურეს თავ-თავის სადგომს,  
მე კი უფეხო დავრჩი ისევ ზეზე უძრავი.
62. სხვა ვნახე კიდევ, არდაშირმა, სასანის ძემან,  
ვით შეურყია შაჳ არდავანს სამეფო ტახტი.
63. შემდეგ შაფურმა შაფურანმა ვით სძლია დუშმანს,  
ჰორმოზ ჰორმოზან, მაჩინი და თალპანიც ვნახე.
64. ყობადიც ვნახე ყობადინი, სხვანი და სხვანი,  
ბაჳრამი, მუშტით კანჯარს სულს რომ აფრთხობინებდა.
65. ბაჳრამ ჩუბინის დარაზმული ლაშქარი ვნახე,  
აღჭურვილიყვნენ გურზით, შუბით, მძიმე კომბლებით.
66. ანუშირვანი ვნახე დიდი, სამართლიანი,  
და ბოზორჯმეჳრი, უბედური ვაზირი მისი.
67. ხოსროვ ფარვიზის ხელმწიფობის ვიყავ მოწამე,  
როგორ ეტრფოდა კეკლუც შირინს, შაბდიზის მხედარს.
68. გული მატკინა როსთამის და სოპრაბის რკენამ,  
ვით შეეჯახნენ მამა-შვილის საბრძოლო ცხენი.
69. გივი, ზავარე, ფარიბორზი აქ იყვნენ ჩემთან,  
ცვლიდნენ ერთმანეთს ბაჳრამი და გორგინ მრისხანე.
70. ვიდრე არ დადგა მამისმკვლელი შირუიეს უამი,  
ბოროტმა ძალით ხელში იგდო ტახტი მამისა.
71. მეფობა მისი ორ კვირას არ გაგრძელებულა,  
უპატრონო ტახტს მიეძალა ყველა ქედხოდა.

72. ყველა მდაბიო დიდებულის სახელს ეძებდა,  
და აირია ეს ქვეყანა თავით ბოლომდე.
73. აურზაური, შფოთი, ბრძოლა, ვით განკითხვის დღეს,  
სიმშვიდე გაქრა, ყველგან სევდამ დაისადგურა.
74. მრავალმა შაპმა ჩაიქროლა კვლავ ჩემ წინაშე,  
ტომი ტომს ცვლიდა, გვარი – გვარს და სახელი – სახელს.
75. ბოლოს დაუდგა დრო დიდ სეფის საგვარეულოს,  
ფრთხილად და ზრდილად ჩამიარეს ავაზას მსგავსად.
76. ახლა კი მეფობს ნადირ-შაჰი, ქვეყნის სულთანი,  
ნადირის შიშით ბოროტება არსად ჭაჭანებს.
77. გაიქცა მტერი, ასპარეზი დაუვინწროვდა,  
შაჰ-სეფის მოდგმის ბედ-ილბალი კოჭლი აღმოჩნდა.
78. ახლა ისმინე შეგონება: იმხიარულე!  
თორემ სოფელი როდის იყო, ლეშით გამძლარა.
79. უმჯობესია, რომ ჩაიცვა, ჭამო, დალიო,  
თორემ დარჩება ეს ქონება სულ სხვა ვიღაცას.
80. წარმავალია ეს ქვეყანა, მსგავსია ქარის,  
ვინც მას შეჰერის, გონწართმეულ კაცად ჩათვალე.
81. ბევრი უნახავს სალემ-თური ამ ძველ ქვეყანას,  
მაგრამ სიმდიდრე სამარეში ვის წაულია?!
82. შიში მაქვს მხოლოდ, ვინმემ ცეცხლი არ გამიჩინოს  
და ჩემი ფერფლი ქარმა ველად არ მიმოფანტოს.
83. მაშინ გაქრება ჩემი კვალი პირისგან მიწის,  
აფეთქებულ ნერგს არვინ დარგავს ჩემს ნატერფალზე.

## ხალხური პროგა

### ტაჯიკური ზღაპრები<sup>1</sup>

#### წინასიტყვაობა<sup>2</sup>

ტაჯიკები უდიდესი ირანული მოდგმის ერია მსოფლიოში. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს დღევანდელი შუა აზის ტერიტორიაზე... შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ ირანელებსა (ტაჯიკები) და დასავლეთ ირანელებს (სპარსელები) ისტორიული და კულტურული განვითარების ერთი გზა ჰქონდათ. ამიტომაა, რომ IX-XV საუკუნეების უმდიდრესი ლიტერატურა დღეს სპარსულ-ტაჯიკურად იწოდება. ასევე ბევრი რამაა საერთო სპარსულ და ტაჯიკურ ფოლკლორს შორის...

ძველი ტაჯიკური ფოლკლორი ოც საუკუნეზე მეტს ითვლის, მისგან კი დღეს თითქმის არაფერი შემოგვრჩა...

ახალი სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის პირველივე ნიმუშები ფარსი-დარი ენაზე მკაფიოდ ავლენენ უმჭიდროეს კავშირს ფოლკლორთან (ხალხურია რიტმი, თემატიკა, პოეტური სახეები). ამ პერიოდშივე ეყრება საფუძველი ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის გართულებულ სახეს: ფოლკლორი – ლიტერატურა – ფოლკლორი...

ეს განსაკუთრებით ითქმის რომანტიკული და საგმირო-საფალავნო უანრის ვრცელი ხალხური რომანების, ე.წ. დასთანების შესახებ. ძალზე ხშირად უძველესი ხალხური ვერსია საფუძვლად ედებოდა რომელიმე ლიტერატურულ ძეგლს, ეს უკანასკნელი კი გადამუშავებული სახით კვლავ ხალხს უპრუნდებოდა („ისქანდერ-ნამე“, „ბახთიარ-ნამე“, „ბაჰრამი და გულან-დამი“ და სხვ.). ხშირი იყო პოეტური ძეგლების პროზაულად გადაეკეთება („ფარპატი და შირინი“, „რუსთამ-ნამე“, „იოსები და ზილიხა“ და სხვ.), რაც იწვევდა პროზაში ლექსების უხვად ჩართვას.

ამ ხალხურ პროზას ბევრი აქვს საერთო ზღაპართან (განსაკუთრებით, ჯადოსნურ ზღაპართან): გმირის ხიფათიანი თავგადასავალი, ჯადოსნური თილისმები, გრძნეული სიტყვა, კუდიანი დედაბრები, ცხრა მთის გადავლა, მსხმოაიარე ბალები, უდაბნოები და ოაზისები (მშობლიური ბუნების ანარეკლი), ავი სულებით დასახლებული კუნძულები, დევები და ფერიები, გმირთა სამკუთხედი (მეფე, მისი ასული და ხელისმაძიებელი), საპატარძლო – გამომცდელი (ძნელი გამოცანა და დავალება) და ა.შ.

ზღაპრული პროზა შესანიშნავად ასახავდა ხალხის სულიერ მოთხოვნილებებსა და სწრაფვას თავისუფლებისადმი, ძველი დიდების აღდგენისადმი, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირისადმი. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამ პროზის საუკეთესო ნიმუშები და მრავალმა მათგანმა მოაღწია ჩვენამდე ზეპირი თუ ხელნაწერი გზით...

<sup>1</sup> ტაჯიკური ზღაპრები (ციკლიდან „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“), თბილისი, გამომც. „ნაკადული“, 1972, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ.გვახარიაშ (რედ. შენიშვნა).

<sup>2</sup> კრებულზე დართული წინასიტყვაობა მოგვაქვს შემოკლებით, ამონარიდების სახით, გამოტოვებული ადგილები აღნიშნულია მრავალწერტილით (რედ. შენიშვნა).

ზღაპრები, ვ. მილერისეული ტრადიციის მიხედვით, ჩვეულებრივ, იყოფა ჯადოსნურ, სა- ყოფაცხოვრებო და ცხოველთა ეპოსად.

ასევეა დაყოფილი ტაჯიკური ზღაპრები...

ზღაპრებს დავურთეთ ანეკდოტები (ლათიფა), რომლებიც ისე პოპულარულია ტაჯიკეთში, რომ თითქმის ყველა კრებულშია შესული, როგორც ხალხური იუმორის ნიმუში.

ჯადოსნური ზღაპრები მკითხველის ყურადღებას მიიპყრობენ უსაზღვრო ფანტაზიით, გმირის ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლით, რომლის დასასრულს, როგორც წესი, სიკეთე ძლევს ბოროტებას...

საყოფაცხოვრებო ზღაპრებში აისახა სოციალური პროტესტი, რომელიც შედარებით გვიან ჩნდება. გონიერი ლარიბი მოჯამაგირე უპირისპირდება ბრიყვასა და ხარბ მებატონეს, ზოგჯერ – თვით მეფეს. ზღაპრებში გამათრახებულია სასულიერო პირნი: მოლები, მექრთამე მოსამართლეები („სიკეთის მაძიებელი“, „ორი შეიხი და დეპუანი“, „ავი ბატონი და ჭკვიანი ქა- ჩალი“...).

კრებულში შევიტანეთ დასთანის ტიპის რამდენიმე ზღაპარი („დევონაჰუსაინი“, „მეპრუ- ბონუ“), სადაც რეალისტურად არის აღწერილი უბრალო ადამიანების სულიერი განცდები. და- მახასიათებელია ზოგ ზღაპარში ლექსების ჩართვა, რაც ჩვეული ხერხია კლასიკური ტაჯიკუ- რი პროზისათვის...

არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც ტაჯიკური ზღაპრები მიიქცევენ ქართველი მკითხველის ყურადღებას. მრავალ საუკუნეს ითვლის ქართულ-სპარსულ-ტაჯიკუ- რი ლიტერატურული ურთიერთობა. ქართველები ძველთაგანვე იცნობდნენ და თარგმნიდნენ „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანს“, „იოსებზილიხანიანსა“ და სხვა ძეგლებს. მაგრამ ასევე კარგად იც- ნობდნენ და დროულად გადმოჰქონდათ მათ ხალხური დასთანები თუ ზღაპრების კრებულები („ბახთიარ-ნამე“, „ჩარდარვიშიანი“, „მირიანი“ და სხვა). ხელნაწერთსაცავებში ინახება რიგი ქართული კრებულებისა, რომელთაც ატყვიათ ტაჯიკური ფოლკლორის ნაცნობობის კვალი. ეს ძეგლები საგანგებოდაა შესასწავლი ქართულ-სპარსულ-ტაჯიკური ფოლკლორული ურთი- ერთობის თვალსაზრისით.

ამ კრებულის ზოგი ზღაპრის პარალელი სახელდახელოდ შეიძლება დაიძებნოს როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხების ზღაპრებს შორის. მაგალითად, იუმორისტული „ლაქი და ფაქი“ ეხმიანება ქართულ „ტყუილ ტირილს“, თუმცა მათ შორის ძალიან საინტერესო და დამახასია- თებელი განსხვავებაცაა (ქართულში მამა ჭკუას ასწავლის ბრიყვ ცოლ-შვილს).

ასევე, ზოგი დეტალი საერთო აქვთ ტაჯიკურ „შვიდ ძმასა“ და ქართულ „ცხრა ძმას“, ტა- ჯიკურ „ავ ბატონსა და ჭკვიან ქაჩალს“ და ქართულ „ორ ძმასა და მატყუარა ბატონს“, ტაჯი- კურ „ორ შეიხსა და დეპუანს“ და ქართულ „სამ მატყუარას“. ცხადია, რაიმე უშუალო კავშირზე აქ ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ტიპოლოგიური დამთხვევის თვალსაზრისით ისინი უთუოდ საინტერესოა.

მარტინ ლინგ

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, სახელად ლაქი და ფაქი. ცოლ-ქმარს ერთი გოგო ჰყავდა, მეტი არავინ. გავიდა წლები, გოგო გაიზარდა, დამშვენდა, გალამაზდა, მაგრამ ჭკუა არ მომატებია. მეზობლებმა მისი მშვენიერების ამბავი ქვეყანას მოსდეს და მალე მთხოვნელებიც გამოჩნდნენ.

— შვილო, მაშველები მოვიდნენ, აბა, დატრიალდი, ჩაი აგვიდულე, სტუმრებს თავი მოაწონეო! — უთხრა შვილს ლაქმა.

ქალმაც ჩაიდანს ხელი სტაცა და  
წყლის მოსატანად აუზისკენ გაქანდა.  
აავსო ჩაიდანი და უცებ ჩაფიქრდა: კარ-  
გი, ვთქვათ და მაშველებს მოვენონე, გაი-  
მართება ქორწილი, მერე ვაჟი შემეძინე-  
ბა, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მშობლებს  
ვესტუმრები და დედაჩემი ჩემს შვილს  
ეტყვის: ბებია გენაცვალოს, უკვე დიდი  
ბიჭი ხარ, გაიქეცი, წყალი მომიტანე, ჩაისა  
ავადულებო. მოირბენს ჩემი შვილიც, მე-  
რე ერთიც ვნახოთ და ფეხი დაუცდა, ხომ  
აუზში ჩავარდა და დაიხრჩო, მაშინ რაღა  
ვქნა მე უბედურმა, რა პასუხი გავცე მამა-  
მისს? ვაი ჩემს თავს, რატომ არ დავ-  
ბრმავდებიო! – და ქალი აღრიალდა, თავ-  
ლთაგან სულ ცრემლის ნიაღვარი გადმო-  
აფრქვია.

მშობლები კი შინა წუხან:

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— ჩვენი ქალი რა ხანია, წყალზე წავიდა, აქამდე სად არის, რატომ არ დაბრუნდა!

କାନ୍ତିଲା ଫର୍ମ.

- ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ!

– ჩვენი გოგო არ დაბრუნებულაო?

— არა, არა ჩანსო!

— წალი ერთი, ამბავი გაიგონ!

ნავიდა ლაქი და რას ხედავს: მისი  
ქალი წყლის პირას ჩამჯდარა და მწარედ  
მოთქვამს.

— ვაიმე, შვილო! — შესძახა ლაქმა. — რა მოგივიდა, რა გატირებსო?

— ნუ მკითხავ, დედი, — მიუგო ქალ-  
მა, — ვზივარ და ვფიქრობ, როგორ მოვე-  
წონები მაშვლებს, როგორ გაიმართება  
ქორწილი, შემეძინება ვაჟი, მერე თქვენ  
გესტუმრებით, თქვენ კი, აქაოდა შვილიშ-  
ვილი მოგვესწროო, წყალზე გამოგზავ-  
ნით, ჩემი ბიჭიც გამოიქცევა წყლის წასა-  
ღებად. ერთიც ვნახოთ და ფეხი დაუცდა,  
ჩავარდა წყალში და დამეხრჩო. მერე რა  
ვქნა მე უბედურმა, მამამისს რა პასუხი  
გავცე? ვაი ჩემს თავს, რატომ არ დავ-  
ბრმავდებიო!..

— შენს ჭკუას კი ენაცვალოს დედა-  
შენი, შვილო, ეს რა მყავხარო! — წამოიძა-  
ხა ლაქმა, მერე გვერდით მიუჯდა და  
თვითონაკა აღრიალდა.

ზის ფაქტი და ელის კოლ-შვილს.

გავიდა დრო.

ნეტავი რა შეემთხვათო? – გაიფიქრა  
ლაქმა და აუზისკენ გაემართა. მივიდა და  
რას ხედავს:

დედა-შვილი ჩამჯდარა აუზის პირას  
და ცხარე ცრემლს აფრქვევენ.

— რა მოგსვლიათო? — იკითხა ჭავჭამა.

— ვაი, სულო ჩემო, ფაქ! რომ იცოდე, რა ჭკვიანი შვილი გვყავს, ამას ენაცვალოს დედა! ყველაფერი როგორ წინასწარ განჭვრიტაო.

— რაო, რა განჭვრიტაო?

— რაო და, შინ რომ მივალ, მაშვლებს მოვენონებით, — ამბობს, — გაი-

მართება ქორწილი, მერე ვაჟი შემეძინება, ერთ მშვენიერ დღეს მშობლებს ვესტუმრები. ისინი იტყვიან, შვილიშვილი მოგვსწრებიაო და წყალზე გამოგზავნიან, ჩემი ბიჭი მოირბენს აუზთან, დაუცდება ფეხი, ჩავარდება და დაიხრჩობა, რა ვქნა მერე მე უბედურმა, მამამისს რა პასუხი გავცეო?!

— ვაი, მაგ ჭკუაში გენაცვალოს მამაშენი, შვილო! — წამოიყვირა ფაქმა და ცოლ-შვილს ტირილში მხარი აუბა.

ისხდნენ ლაქი, ფაქი და მათი შვილი აუზის პირას და მნარედ მოთქვამდნენ.

მათი კვნრესა-გოდების ხმამ სტუმრების ყურამდეც მიაღწია.

— ნეტავ რა უნდა მოსვლოდათ, რაზე ტირიანო, — თქვეს და აუზისკენ გაეშურნენ. მივიდნენ და რას ხედავენ, — სამივე თავ-პირში ხელს იცემს და ცრემლად იღვრებიან.

— რა მოხდა, რა დაგემართათო? — შეშფოთდნენ სტუმრები.

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— ერთი ამათაც უთხარი, რა უბედურებაცა გვჭირსო!

— ოჟ, ძვირფასო სტუმრებო! — დაიწყო ლაქმა. — ჩვენმა ჭკვიანმა შვილმა წინასწარ განჭვრიტა, რაც მოხდება. ახლა რომ დავბრუნდები, მაშვლებს მოვეწონებიო, — თქვა, — გაიმართება ქორწილი, მერე ვაჟი შემეძინება, ერთ მშვენიერ დღეს მშობლებს ვესტუმრები, ისინი იტყვიან, შვილიშვილი მოგვსწრებიაო და წყალზე გამოგზავნიან, ჩემი შვილი მოირბენს აუზთან, დაუცდება ფეხი, ჩავარდება წყალში და დაიხრჩობა, მერე რა ვქნა მე უბედურმა, მამამისს რა პასუხი გავცეო!

მაშვლებმა მოუსმინეს ლაქს და ბოლოს დაასკვნეს:

— ამ ქალს სილამაზე და ჭკუა ერ-

თნაირად ამშვენებსო!.. — მაშინვე გამართეს ლხინი და ქალი თან წაიყვანეს.

\*\*\*

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— მოდი, წავიდეთ, ჩვენი შვილის ამბავი შევიტყოთო!

— ძალიან კარგი, ჩემო ფაქ, წადი და ცოტაოდენი ერბო მომიტანე, ღვეზელს გამოვაცხობ და წავუღოთო.

ფაქმა აიღო ერთი ფიალა და ერბოს გამყიდველს მიადგა. მედუქნემ ერთი ჩამჩა ერბო ამოილო და ფაქს ფიალა აუგსო. ცოტაოდენი ერბო ჩამჩაში კიდევ ჩარჩა.

— ამას რაღა ვუყო? — ჰკითხა ფაქს გამყიდველმა.

— მაგას? აი, აქ ჩასხიო! — მიუგო ფაქმა და ფიალა გადმოაპირქვავა. გაოცებულმა მედუქნემ ერბოს ნარჩენი ფიალას ძირზე დაასხა.

დაბრუნდა ფაქი შინ.

— ფაქ, ფაქ!

— რაო, სულო ჩემო, ლაქ?

— ეს რა ცოტა ერბო მოგიტანიაო!

— ცოტა კი არა, მთელი ფიალა სავსეაო, — უპასუხა ფაქმა.

ფაქმა ფიალა ისევ გადმოაბრუნა, ჩავხედავო, და ძირზე დასხმული ერბოს ნარჩენიც დაღვარა.

ითათბირა ცოლ-ქმარმა და ბოლოს გადაწყვიტეს, რაკი ერბო არა გვაქს, ღვეზელის ნაცვლად ხმიადები დავაცხოთო.

— ფაქ, შენ თონე გაახურე, მე კი ცომს მოვზელო, — უთხრა ცოლმა.

ფაქმა შეშა მოზიდა და თონეში ჩაიხდა. ჩამავალი მზის სხივებისაგან თონე წითლად ღუოდა, ამას კი გაუხარდა, — ბიჭოს, თონე თავისით გახურებულაო, — და

არხეინად წავიდა დასაძინებლად.

ამასობაში ლაქმა ცომი ამოაგუნდავა, თონესთან მივიდა, განითლებული რომ ნახა, კარგად გახურებულაო, დაასკვნა და კედლებს გუნდები მიაკრა.

ელოდებიან ლაქი და ფაქი პურის გა-მოცხობას, გავიდა ერთი საათი, ორი, ცო-მი კი ფერსაც არ იცვლის.

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— როდემდე უნდა ვისხდეთ და ვე-ლოდოთ? მოდი, თონე მოვგლიჯოთ, მე მხარზე გავიდებ და წავიდეთ, პური გზაში გამოცხვებაო.

ასეც მოიქცნენ.

გამოვიდნენ სიძის შინაურები გარეთ და ხედავენ, რომ თონეაკიდებული მოყვრები კართან ატუზულან. მაშინვე შეეგებნენ მასპინძლები, თონე ჩამოართვეს და გვერდზე მიდგეს, სტუმრები კი დი-დის პატივით მიიღეს. დადგა ლამე. ლაქსა და ფაქს ცალკე ოთახში გაუშალეს ლოგი-ნი. მიწვნენ ისინი და ოთახს თვალიერება დაუწყეს.

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— შეხედე ერთი ამ ოთახის კედლებს, ადგილ-ადგილ როგორ დამსკდარა!

— მართლაც, ძალიან გამხმარა და იმიტომ! საცოდავი ჩვენი გოგო კი ვერ მოიფიქრებს, რომ ერბო წაუსვასო!

— კარგი იქნება, თუ ერბოს ჩვენ თვითონ წავუსვამთო, — თქვა ფაქმა.

წამოდგა ცოლ-ქმარი, ოთახში ერ-ბოს ქილა მოძებნეს და მთელი კედლები მოსვარეს. ერბო რომ გაუთავდათ, კვლავ დანოლას აპირებდნენ. ამ დროს ფაქმა თვალი მოჰკრა ორ დიდი დოქს.

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ?

— მართლაცდა ჭკვიანია ჩვენი გო-

გო, შეხედე, რა კარგად მოუფიქრებია! — მშობლები შორი გზიდან მოვლენ, მტვრი-ანები იქნებიან და ტანს დაიბანენო, უფიქრია და ეს ორი დოქი წყალი ჩვენ-თვის მოუმზადებიან.

ლაქმა და ფაქმა ბანაობა დაიწყეს.

— ვაჲ, ეს რა ტკბილი წყალიაო! — უცებ წამოიძახა ფაქმა.

— აქაური წყალი ასეთია, ბადაგივით ტკბილიაო, — მიუგო ლაქმა.

სინამდვილეში დოქებში წყალი კი არა, სწორედ ბადაგი იდგა. ასე იბანავეს ლაქმა და ფაქმა ბადაგში და დაიძინეს.

გათენდა მეორე დღე და მზე ამოიწვერა. მასპინძლებმა გაშალეს სუფრა, და-ფინეს ნოხები, აადულეს ჩაი, ლაქისა და ფაქის ადგომას კი არა და არ დადგა საშველი. ბოლოს სხვა გზა არ იყო, შევიდნენ მათ ოთახში და რას ხედავენ: ცოლ-ქმარი ისე გახვეულ-განებილან საბნებში, ველაც კი იძვრიან.

— ეჲ, ჩვენ მხოლოდ ამათი შვილი გვეგონა სულელი, თურმე ესენი უარესები ყოფილანო, — თქვეს მასპინძლებმა.

\*\*\*

ერთხელ ლაქისა და ფაქის შვილი მარტო დარჩა სახლში. მისი ქმარი და შინაურები სხვაგან წავიდნენ სტუმრად. დილით ქალს ხელ-პირის დაბანა დაეზარა და პირდაუბანელმა დაიწყო პურის ჭამა. სწორედ ამ დროს კარებში ხბომ შემოყო თავი და დაიბლავლა.

— ვაი ჩემს შავ ბედს, დამინახა, პირდაუბანელი რომ ვჭამდი პურს! ახლა წავა და ქვეყანაში თავს მომჭრის, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? — ჩავარდა საგონებელში ქალი. ბოლოს ადგა და მშობელებთან გაიქცა.

— ლაქ, ლაქ!

— რაო, სულო ჩემო, ფაქ!

— მართლაცდა თავი მოგვეჭრება.

თუმცა ნუ იდარდებ, შვილო, მაგის წამალიც ვიცი. ახლავე ყველანი ყადისთან\* წავიდეთ და ვთხოვოთ, ხალხს მაგ ამბავზე ლაპარაკი აუკრძალოსო.

სამივე ყადისაკენ გაეშურა.

— მაგ საქმეს მარტო ჩემგან არ მოევლება, — ბრძანა ყადიმ, გულში კი სიცილით კვდებოდა მათ სისულელეზე, — მე მხოლოდ ამ ქალაქის მცხოვრებლებს შემიძლია ავუკრძალო ლაპარაკი, მთელი სამეფო კი, როგორც იცით, ფადიშაპს\*

ემორჩილება და თქვენც იმას უნდა მიმართოთ.

ლაქი, ფაქი და მათი შვილი ახლა სასახლისაკენ გაეშურნენ.

ფადიშაპმა მათი არზა შეიწყნარა და ფირმანი\* გამოსცა: აიკრძალოს იმაზე მითქმა-მოთქმა, თითქოს ლაქისა და ფაქის შვილს პირდაუბანელს პური ეჭამოსო.

ჯარჩებმა\* მთელ სამეფოს მოპფინეს ეს ფირმანი.

## ხელგამრჩე ცოლი

ერთ დროს ერთ ქალაქში ერთი ბატონი ცხოვრობდა. ამ ბატონს წესად ჰქონდა, ყოველ დილით, კარგად რომ დანაყრდებოდა, ბალში შვიდკეცად დაგებულ ნოხზე გაგორდებოდა, ცოლს მიიხმობდა და მოჰყვებოდა გაუთავებელ ტრაბახსა და თავის ქებას:

— შენ, ეი, ქალ! ჩემი გონებისა და უთვალავი ქონების ჩრდილში ხომ ბედნიერად გრძნობ თავს? ჩემი დიდებისა და პატივის წყალობით მთელი ქალაქის ქალებში ხომ ხარ გამორჩეული? ჩემით ხარ მუცელგამძლარი, ტანშემოსილი და თავ-დახურული. ათასჯერ მადლობა მოახსენე ღმერთს, ასეთი ბრძენი და მდიდარი ქმარი რომ გყავსო.

ქალი კი ყოველ დილას, ჯერ ცისკარს რომ თვალი არ გაეხილა, ფეხზე იდგა: საქონელს საკვებს აძლევდა, ძროხას მოწველიდა, სახლს დაალაგებდა, საუზმეს დაამზადებდა, საღამოს კერძს შეკმაზავდა, რათა მეუღლესა და მის ღიპიან სტუმრებს მუცელი ამოეყორათ, ხოლო თავისუფალ დროს მომცრო ქუდებს ქარგავდა ოქრომკედით. ქუდები ძალზე ლამაზი გამოდიოდა და მსახურები ბაზარში

კარგ ფასად ჰყიდდნენ, ფულს კი ბატონი იჯიბავდა. მიუზედავად ყოველივე ამისა, ცოლი მორჩილად ისმენდა ქმრის საყვედურს. ერთ დღეს კი ქმარს აღარ გაუჩუმდა და პირში მიახალა:

— აქამდე, მართლაც, მეგონა, რომ შენი წყალობით ვიყავი მაძლარი და თავ-დახურული, ახლა კი პირდაპირ გეტყვი, შენი ქონების ნახევარი ჩემი მონაგარია და მაგ საყვედურების ღირსი არა ვარო!

ქმარი არ მოელოდა ასეთ შეპასუხებას, განრისხებული ზეზე წამოიჭრა და იღრიალა:

— რაებსა ბედავ?! შე მართლაცდა თმაგრძელო და ჭუამოკლე დედაკაცო! უჩემოდ გამათხოვრდები, შე უბედურო, სადმე შიმშილით ჩაძალლდები! წადი, დამეკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახომ!

არც ახლა შეშინდა ქალი. ჭარხალივით აწითლებული ქმრის ქონიან სახეს ზიზლით შეხედა და უთხრა:

— ბატონი ბრძანდები, აღარ დაგენახვები, მაგრამ ხათრიჯამად\* იყავი, მათხოვრობას არ დავიწყებ, არც შიმშილით

ამომხდება სული! პირიქით, ყველაზე ღატაკ კაცს გავყვები ცოლად და ბედნიერებას მოვუწან!

ქალმა თავისი ავლა-დიდება ერთ  
ბოხჩაში გამოკრა და წავიდა. გზად რამ-  
დენიმე ჭაბუკი შემოხვდა და ჰკითხა:

– სომ ვერ მეტყვით, ამ ქალაქში ყველაზე ღატაკი კაცი ვინ იქნებაო?

— აი, ამ გზის ბოლოში ცხოვრობს ერთი შეშის მჭრელი, სახელად საიდი ჰევია. იმ კაცს სიცოცხლეში ფქვილის ფაფის მეტი არაფერი უჭამია და ტანთ ძონ-ძების მეტი არაფერი სცმიაო.

ქალმა მალე მოძებნა საიდის ეზო.  
ჭიშკარი მორღვეული ჰქონდა, ეზო ნაგ-  
ვით იყო სავსე. ნახევრად ჩამოქცეულ  
სახლში ერთი დაგლეჯილი საგებელი ნა-  
ხა, ოფლისაგან გაპოხილი ბალიში, ტუჩ-  
მომტვრეული დერგი, გამურული ჩაიდანი  
და გაბზარული ფიალა, დერგის ძირში  
ფაფა ჩამხმარიყო.

ქალი დატრიალდა, წყაროდან წყალი  
მოიტანა, ეზო და სახლი მორწყა, დაგავა,  
საგებელსა და ბალიშს პირი გადააძრო,  
გარეცხა, მერე თავისი ბოხჩიდან საქარგი  
ამოიღო და ქუდების ქარგვას შეუდგა. გა-  
ვიდა ცოტა ხანი და საიდიც გამოჩნდა.  
ზურგზე ორი გუდურა შეშა მოეკიდებინა  
და თავდახრილი ძლივს მოლასლასებდა.  
საიდმა გუდურები ეზოს კუთხეში დაყარა  
და მაშინდა შეამჩნია, რომ მისი კარ-მიდა-  
მო დაგვილ-დან კრიალებული იყო, სა-  
რეცხი - დარეცხილი. გაოცებულმა სა-  
იდმა ოთახში შეიხედა და რას ხედავს, ერ-  
თი ლამაზი ქალი ზის და ქარგავს. საიდი  
სულ მთლად დაიბნა.

— ალბათ, შემეშალა, ეს ჩემი სახლი  
არ უნდა იყოსო, — ჩაილაპარაკა თავის-  
თვის და უკან გაპრუნება დააპირა, მაგ-  
რამ ქალმა შიგნიდან გამოსძახა:

- არ შეგძლია, შენი სახლია, შემო-  
დიო.

საიდი კიდევ ყოველბრძანა, არც

თვალს უჯერებდა, არც ყურს. იდგა ასე  
გამტერებული. მაშინ ქალმა დაყვავებით  
უთხრა:

- ნუ გიკვირს, დღეიდან მე შენი ცოლი ვიქწები და ერთად ვიცხოვრებთ. ახლა ერთი ეს მითხარი, დღეს როგორ ატარებო?

## საიდმა უპასუხა:

— ყოველ დილით ტყეში მივდივარ, ორ გუდურა შეშას ვჭრი და ბაზარში მი-  
მაქვს, ნავაჭრით ფქვილს ვყიდულობ, ფა-  
ფას ვხარშავ, ვჭამ და მეორე დილამდე  
ვიძინებ. ასე გადის ჩემი დღეები.

– თუ ასეა, ახლავე ეს შეშა ბაზარში წაიღე, გაყიდე, ნახევარი ფულით ფქვილი იყიდე, დანარჩენი კი შინ მოიტანე.

ნახევარი ფულით ნაყიდი ფქვილი  
ორ კაცს რას გვეყოფა, თუმცა ამ ქალმა,  
ალბათ, უკეთ იცის. ვნახოთ, რა მოხდე-  
ბაო, გაითიქრა საიდმა, აიღო შეშა და  
ბაზრის გზას გაუდგა. ქალმა ქარგვა გა-  
ნაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ საიდი დაბრუნდა  
და ფული და ფქვილი მოიტანა, ქალმა ფა-  
ფა მოხარშა და ჭამეს, მერე კი საიდს უთ-  
ხრა:

— ახლა თიხა მოამზადე, კედლები  
და ბანი შეღუსევო!

საიდდო ამ დროს ძილს იყო მიჩვეული, ამიტომ უხალისოდ შეუდგა თიხის ზელას, ქალი კი ქარგავთა და ქარგავთა.

მეორე დღეს ქალმა საიდს უბრძანა,  
ორი კი არა, ოთხი გუდურა შემა შეკარი  
და ბაზარში იქიდანვე წაიღე. აპა, აი, ეს  
ქუდიც თან გააყოლე, გაყიდე და ნახევა-  
რი ფული შინ მოიტანე, ნახევრით კი  
ფქვილი, ხახვი, ჭარხალი, ერთი ქვაბი და  
ორი-სამი ჯამი იყიდეო.

საიდმა ყველაფერი შეასრულა. ქალ-მა ახალი ქუდის ქარგვას თავი ანება, ქვაბში ყოთურმა\* მოამზადა, ხახვით შეკაზმა, ახალ ჯამებში ჩაასხა და დასტარ-ხანი\* გაშალა. საიდმა ხახვის შეჭამანდი

და თბილი კვერი რომ მიირთვა, აღტაცებისაგან სულ „იფ, იფს!“ და „ჰაი, ჰაის!“ იძახდა.

— აი, ეს მესმის, ასეთი გემრიელი კერძი ჯერ არ მიჭამია. ქალო, ნეტავ ყოველდღე ასეთი სადილი გვქონდესო!

— არ გაგიგია, ხელი გაანძრიე და ყველაფერი გექნებაო? შენც უფრო მეტს თუ იშრომებ, ამას კი არა, შურბასა\* და ერბოიან ღვეზელებს მოგართმევო, — მიუგო ქალმა.

გახარებულმა საიდმა შესძახა:

— თუ ასეა, მიბრძანე, კიდევ რა გავაკეთოო?

— ხომ ხედავ, ჯერ ისევ დღეა, წადი და ოთხი გუდურა შეშა კიდევ მოიტანეო!

საიდმა სტაცა ხელი თოქსა და ნაჯახს და ტყეს მიაშურა. ასე უმატა მან მუშაობას, დანაზოგი დანაზოგს ემატებოდა და მისი ცხოვრებაც დღითი დღე უმჯობესდებოდა.

ერთ დღეს ქალმა შეშისა და ქუდების საფასურიდან დანაზოგი მისცა ქმარს და უთხრა:

— ამით ერთი კარგი სახედარი იყიდე და შრომა გაგიადვილდებაო.

ამის შემდეგ საიდი დღეში ორ ან ოთხ შეკვრას კი არა, თექვსმეტ-თვრამეტ გუდურა შეშას ეზიდებოდა, ყიდდა, თავი-სუფალ დროს კი სახლ-კარს აწესრიგებდა. ცოლ-ქმარმა მინგრეული ქოხი ფეხზე წამოაყენა, ახალი გალავანი შემოარტყა, ჭიშკარი შეაბა, ეზოში კი ხეხილი და ყვავილები დარგო.

ოჯახი თანდათან სიკეთითა და დოვლათით ივსებოდა. ერთ დღეს ცოლმა საიდს უთხრა: მოდი, ჩვენი ქალაქის ღირსეული და გავლენიანი ხალხი სტუმრად მოვიწვიოთო. სხვებთან ერთად ქალმა თავისი პირველი ქმარიც დაასახელა.

საიდი სტუმრების დასაპატიუებლად წავიდა, ქალმა კი მეზობლების დახმარე-

ბით შესანიშნავი სუფრა გააწყო, ღვეზე-ლებითა და ნაირ-ნაირი კერძებით აავსო, ვარდ-ყვავილებში ჩაფლულ ეზოში რბილი ნოხები გაშალა და ჩაიც მოადულა.

ნელ-ნელა სტუმრებიც მოგროვ-დნენ. შუა ჭამაში ერთ-ერთმა სტუმარმა მასპინძელს ჰკითხა:

— საიდ, ჩვენ უღარიშეს კაცად გიც-ნობდით. მერე შევიტყვეთ, რომ ცხოვრება გამოგიკეთდა, ახლა კი ვხედავთ, გამდიდრებულხარ და არც სახლ-კარით, არც ბალ-ბოსტნითა და პურ-მარილით არ ჩამოგვივარდები. თუ კაცი ხარ, გვითხარი, როგორ მოახერხე ამდენი ქონების შეძენაო?

— ყველაფერი ცოლის შემწეობით შევიძინეო, — უპასუხა საიდმა.

ყველას გაუკვირდა, მხოლოდ ქალის პირველი ქმარი არ გაოცებულა. როგორც კი თავისი გამრჯე და მოსიყვარულე მეუღლე სახლიდან გააძევა, მაშინვე იგრძნო კარგი ცოლის ფასი. მისი წასვლის შემდეგ მრავალი მოსამსახურე გამოიცვალა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეიგუა, საქმეც უკულმა დაუტრიალდა და უწინდებურად ველარ ნებივრობდა. მწარედ ჩაფიქრდა ბატონი და ნანობდა თავის საქციელს.

— კი მაგრამ, ასეთი ხელგამრჯე ცოლი სადღა იშოვეო? — იკითხა მეორე სტუმარმა.

— თვითონ მოვიდა, — მიუგო საიდმა, — ჩემს ცოლს ოქროს ხელი აქვს, ყოველგვარი საქმე ემარჯვება, ქუდებსაც კი ქარგავსო.

ახლა კი მიხვდა ჩვენი ბატონი, რომ მის პირველ ცოლზე იყო საუბარი. მისი სიტყვებიც გაახსენდა: ყველაზე ღატაკ კაცს გავყვები ცოლად და გავაბედნიერებო. მართლაც შეუსრულებია თავისი სიტყვა, — ფიქრობდა ბატონი.

ამ ფიქრებისაგან მთელს სხეულში საოცარი ტკივილი იგრძნო და სიკვდილამდე დარდიც აღარ განელებია.

## სიკეთის მაძიებელი

იყო ერთი კაცი, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში კეთილი საქმე არ გაეკეთებინა. ერთ დღეს იჯდა ეს კაცი ეზოში ფეხმორთხმული და ფიქრობდა: კარგი იქნება, ერთხელ მაინც ვინმეს სიკეთე გავუწიო.

გადაწყვიტა ეს და ეზოდან გამოვიდა. ხედავს, იქვე მინდორში ერთი მოხუცი მოკეცილა და სალოცავად ემზადება, ცხენი კი საბალახოდ გაუშვია.

სიკეთის მაძიებელმა კაცმა გულში გაივლო: ამ საწყალ მოხუცს ცხენი უპატრონოდ გაუშვია, ხომ შეიძლება, რომ გაექცეს?! მივალ, ცხენს დავუკავებ და სიკეთე იქნებაო.

სიკეთის მაძიებელი ცხენთან მივიდა და ლაგამს წაეპოტინა, მაგრამ ცხენი დაფრთხა და გაიქცა. კაცი უკან გამოეკიდა. რაც უფრო სწრაფად მისდევდა, მით უფრო უმატებდა ცხენი ჭენებას. მდევარმა იფიქრა, ასე ვერ დავეწევი, ჯობს, გზა მოვუჭრაო. ცხენს წინიდან დაუარა, თან ქვა ესროლა შესაშინებლად. ქვა ცხენს თვალში მოხვდა და დააბრმავდა.

ამასობაში ცხენის პატრონმაც მოირბინა, დაიჭირა ცხენი და რას ხედავს, თვალი დავსებული აქვს. ცხენის პატრონი სწოდა სიკეთის მაძიებელ კაცს კისერში და დაბრმავებული ცხენის საფასური მოსთხოვა. ამან უთხრა:

– მე ერთი საწყალი კაცი ვარ, რა გამაჩინია, რა უნდა მოგცეო?

– მამ, თუ ასეა, ყადისთან წამობრძანდიო! – შესძახა ცხენის პატრონმა და კაცი სასამართლოში წაათრია.

იარეს, იარეს და გზად ერთ კაცს წააწყდნენ: ვირი ტალახში ჩაფლობოდა და ვერა და ვერ ამოჰყავდა. სიკეთის მაძიებელმა ეს რომ დაინახა, ყველაფერი გადაავინუდა, იფიქრა, დავეხმარებიო.

მიირბინა ვირთან, სწოდა კუდში და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მოსწია. მოსწია კუდი და იმ უბედურს ხელში კი შერჩა.

გაბრაზდა ვირის პატრონი, სწოდა სიკეთის მაძიებელს საყელოში და სამაგიეროს ანაზღაურება მოსთხოვა.

– მე ერთი საწყალი კაცი ვარ, რა გამაჩინია, რა უნდა მოგცეო? – მიუგო სიკეთის მაძიებელმა.

– თუ ასეა, წამობრძანდიო, – და ორმა მომჩივანმა ერთი კაცი სასამართლოში წაათრია, სანამ მივიდოდნენ, დალამდა კიდეც და ყადი ადგილზე აღარ დახვდათ. სასამართლოს ხალხმა დამნაშავე დილეგში ჩასვა, მომჩივნებს კი უბრძანეს, ხვალ დილით მოდითო.

ზის სიკეთის მაძიებელი ციხეში და ფიქრობს: ერთი ცხენის საფასურს მომთხოვს, მეორე – ვირისას. რა უნდა ვქნა? ყველაფერს ის აჯობებს, გავიქცე და თავს ვუშველოო.

გადაწყვიტა თუ არა, მაშინვე აფორთხდა დილეგის ჭერში, სარკმელი გამოტეხა და სახურავზე აძვრა. სიკეთის მაძიებელი ბანიდან ბანზე გადადიოდა და ისე მიიპარებოდა. უეცრად ერთ ეზოში ჩავარდა, სამოცდაათი წლის მოხუცს ზედ დაეცა და მოკლა. გამოვარდა იმ მოხუცის ვაჟი, ჯერ მაგრად მიბეგვა სიკეთის მაძიებელი, შემდეგ შეიპყრო, დილით კი სასამართლოში წაათრია.

სუკეთის მაძიებელმა გზაში ერთი ქვა აიღო და უბეში დამალა. სასამართლოს რომ მიაღწიეს, ორი მომჩივანი უკვე კარებთან იყო ატუზული. ცოტა ხანში ყადიც მოვიდა. სიკეთის მაძიებელმა ყადის გამობერილი უბე დაანახვა. ყადიმ იფიქრა, ქრთამად რაღაც ძვირფასი რამ აქვს მოტანილიო და გადაწყვიტა, მის სასარგებლოდ გაერჩია საქმე.

ჯერ ცხენის პატრონს ჰქითხა:

– ამ კაცს რას ემართლებიო? – მაგან ცხენი დამიბრმავა. ბრძანე, რომ საფასური გადამიხადოსო.

ყადიმ ბრალდებულს ჰქითხა, როგორ იყო. მანაც მოახსენა ყოველივე.

– ჰოო, რაკი ასე ყოფილა საქმე, ცხენი უნდა დაიკლას, ორად გაიჭრას, თითოს თითო ნაწილი ერგოს.

ცხენის პატრონი არ დაეთანხმა ასეთ გადაწყვეტილებას. მაშინ ყადიმ ათი თანგა\* ჯარიმა გადაახდევინა და გააგდო.

მერე მოხუცის ვაჟს ჰქითხა:

– შენ რაღას ემართლებიო? – ეს კაცი ბანიდან ჩამოვარდა, მამაჩემს ზედ დაეცა და მოკლაო.

ყადიმ ახლა ბრალდებულს ჰქითხა, ეგ როგორლა იყო. მანაც მოახსენა ყოველივე.

– ჰოო, რაკი ასე ყოფილა საქმე, ეს კაცი ძირს უნდა დაწვეს და შენ ბანიდან თავზე დაახტეო!

მოხუცის ვაჟი ასეთ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. ყადიმ ისიც ათი

თანგით დააჯარიმა და გააგდო.

ჯერი ვირის პატრონზე მიდგა. ყადიმ ჰქითხა:

– ამ კაცს შენ რაღას ემართლებიო?

ვირის პატრონმა კარგა ხანს იფიქრა და ბოლოს უპასუხა:

– მე არაფერს ვემართლები, ჩემი ვირი უკუდოდ დაიბადაო!

ასე გადარჩა ვირის პატრონი ჯარიმას. ყადიმ ისიც გაუშვა, მერე სიკეთის მაძიებელს მიუბრუნდა და გახარებულმა უთხრა:

– ხომ ხედავ, ყველაფერი შენ სასარგებლოდ გადავწყვიტე, მკაცრ სასჯელს გადაგარჩინე, აბა, მომეცი, რაც გაქვს ჩემთვის მოსართმევიო!

სიკეთის მაძიებელმა უბიდან ქვა ამოილო და უთხრა:

– ერთი ჩემ სასარგებლოდ არ გადაგეწყვიტა საქმე და მერე ნახავდი, ამ ქვით კბილებს როგორ ჩაგიმტვრევდიო.

ყადიმ იფიქრა, ეს კაცი გიჟიაო და გაუშვა.

## დევონაჲუსაინი\*

იყო და არა იყო რა, იყო ორი და. უფროსს ვაჟი ჰყავდა, უმცროსს – ქალი.

ვაჟს ჰუსაინი ერქვა. იგი ძალზე ეშმაკი და მოხერხებული ბიჭი იყო, ათას-გვარ ხრიკს იგონებდა და ამიტომაც შეარქვეს დევონაჲუსაინი.

დევონაჲუსაინის ძალიან უყვარდა თავისი დეიდაშვილი, ლამაზი დავლათხათუნი. ვაჟს თანდათან უძლიერდებოდა სიყვარული, ერთ მშვენიერ დღეს კი დედას გადაუხსნა გული და სთხოვა, დედასთან მაშვლად მიმეგზავნეო.

დევონაჲუსაინის დედა დასთან წავიდა და უთხრა:

– შენ ქალი გყავს, მე – ვაჟი. უკვე დიდები არიან, მოდი, ერთმანეთზე დავაქორწინოთო.

– ძალიან კარგი, მე თანახმა ვარ! შენი ბიჭი მომწონს, თან ჩემს გოგოსაც უყვარს და წინ რაღა დაგვიდგებაო, – მიუგო დამ.

დევონაჲუსაინიმ რომ გაიგო, დედა თანახმააო, ცას ეწია სიხარულით. საცოლეს კაბა და თავშალი უყიდა, მერე დედას უთხრა:

– დედი, საქორწილოდ არაფერი გაგვაჩინია, თავისით კი ეს საქმე არ მოგვარდება. მოდი, წავალ, ვინმეს მოჯამა-

გირედ დავუდგები, რამეს ვიშოვიო.

— კარგი, დედა გენაცვალოს, შვილო, წადი. დეიდამენი სიტყვას არ გატეხს და პირობას არ გადავა, აუცილებლად დაგელოდებაო.

დევონაჰუსაინი ახლა დეიდასთან წავიდა.

— დეიდა, გზა დამილოცე, სამოჯამაგიროდ მივდივარო!

— ბედნიერი იყოს შენი გზა, შვილო, დღეგრძელმა, ტანმრთელმა და გულშეუჭირვებელმა იარე. შენს სიცოცხლეში ცუდს არაფერს გადაყროდეო.

დავლათხათუნმაც სიყვარულით შუქჩამდგარი მზერა გააყოლა საქმროს ნაკვალევს.

ჰუსაინი შინ დაბრუნდა, აცრემლებულ დედას დაემშვიდობა, აიკიდა თავისი ბარგი-ბარხანა და წავიდა. იარა, იარა, ცხრა მთა, უდაბნო და ზღვა გადაიარა, ბოლოს ერთ ქალაქს მიაღწია. ერთ ხანს იმ ქალაქში იხეტიალა, შემდეგ კი ერთ ბატონს მოჯამაგირედ დაუდგა.

იმ ხანად შემოდგომა იდგა. შემოდგომა ზამთარმა შეცვალა, ზამთარი – გაზაფხულმა, დევონა კი შრომობდა და შრომობდა თავაუღებლად.

დავლათხათუნი იჯდა და ელოდა საქმროს. დარდიან გულზე ხანდახან უნებური ოხვრა თუ აღმოხდებოდა, თორემ ისე განშორების ტკივილს სიმღერით იქარვებდა:

გაქრა მიჯნური, დაღონდა გული – დღეს,

დავრჩი მე ხელი, ცრემლი მდის ცხელი – დღეს,

მირჩევენ ასე: დახუჭე თვალი, სიზმრად იხილავ,

სად შემიძლია, რა დროს ძილია – დღეს!

ძილი არ ეკარებოდა დავლათხათუნის ლამაზ თავლებს, მზერას ვერ სწყვეტდა იმ გზას, მისი სატრფო რომ

გაუყვა, და თავისი გულის ჯავრს კვლავ სიმღერით იქარვებდა.

ერთ დღეს დავლათხათუნი ეზოში იჯდა და ქუდს ქარგავდა. უცებ მის წინ განგმირული კაკაბი დაეცა. ეს ყადის ვაჟმა სტყორცნა კაკაბს ისარი. ცოტა ხნის შემდეგ ყადის ვაჟიც შემოვარდა ეზოში. მის დანახვაზე დავლათხათუნი სახლისკენ გაიქცა, მაგრამ ვაჟმა თვალი მოჰკრა ლამაზ ქალს და იმწუთშივე გაუმიჯნურდა. მონადირე თვით იქცა ნანადირევად.

ყადის ვაჟი სასწრაფოდ შინ გაბრუნდა და დედას უთხრა:

— მამაჩემს გადაეცი, თუ უნდა, ცოლი შევირთო, ამა და ამ სახლში ერთი უბადლო სილამაზის ქალი რომ ცხოვრობს, ის მომგვაროს, თუ არადა, სხვა ქალის სახელის ხსენებაც არ მინდაო.

დედამ შვილის ნათქვამი ყადის გადასცა. ყადი გაბრაზდა:

— განა შეეფერება ჩემს ერთადერთ ვაჟს, ვიღაც უბრალო გვარის შვილი შეირთოს? ხალხი არ იტყვის, ყადია და ლირსული რძალი ვერ იშოვა, ოჯახში მათხოვრის გოგო შეიყვანაო?!

მაგრამ ყადის ვაჟი უფრო გაჯიუტდა:

— მამაჩემს რაც უნდა, ის თქვას, მე კი იმ ქალის გარდა სხვა არავინ მინდაო.

რაღას იზამდა ყადი, იძულებული გახდა, ერთ-ერთი დიდგვაროვანი აერჩია და დავლათხათუნის დედასთან მიეგზავნა. დავლათხათუნის დედა ძალზე შეწუხდა:

— რას ამბობთ, ჩემი ქალი უკვე დანიშნულია, ჩემმა დისშვილმა, ჰუსაინიმ, დანიშნაო!

— რა სისულელეს როშავ! ბედი კარს მოგდგომია, ყადის უნდა დაუმოყვრდე, შენ კი უარს ამბობ?! დევონას ადვილად მოევლება, ერთ ღარიბ საცოლეს ჩვენ მოვუძებნითო.

მაშვლები ყოველმხრივ ეცადნენ დედაბრის დაყოლიებას, ის კი ტირილით თავს იკლავდა, არ თანხმდებოდა. რაღას იზამდნენ, წავიდნენ მაშვლები და ეს ამბავი ყადის მოახსენეს.

— მე, ქალაქის ყადის, ვიღაც უგვანი დედაკაცი უარის თქმას როგორ მიპედავს! — განრისხდა ყადი. — ანდა რაში მჭირდება მისი თანხმობა, როგორც მსურს, ისე იქნებაო! — და ნიშნობის სამზადისი ბრძანა.

დახოცეს ცხვრები, გამოაცხვეს პური, მოამზადეს ნაირ-ნაირი კერძი და გაიმართა დიდი ლხინი.

დამწუხებული დავლათხათუნი დეიდასთან წავიდა. მიდიოდა და ფიქრით თავის მიჯნურთან იყო. დროდადრო ქალს ფარული კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე:

შენ კარგად იცი — შვება არა მაქვს,  
რად გინდა ფიცი — შვება არა მაქვს!  
სამოთხის ბაღში რომ შემიყვანონ,  
არ მინდა ისიც — შვება არა მაქვს!

დეიდამ დავლათხათუნის გაფითრებული სახე და აცრემლებული თვალები რომ დაინახა, შესძახა:

— ვაი ჩემს თავს, შვილო, რა მოგივიდა, ფერი რამ დაგიკარგა, ან რა გატირებსო?

დავლათხათუნი მის წინ დაემხო, თავი მუხლებზე დაადო და დიდხანს, დიდხანს მწარედ ტიროდა. მერე, როგორც იყო, თავი ასწია და უთხრა:

— ჩემო დეიდა, ყადის ვაჟზე მნიშნავენო.

დევონაჰუსაინის ერთი ბიძაშვილი ჰყავდა, სახელად სობირი. დევონაჰუსაინის დედა სობირთან გაიქცა და ყოველივე უამბო. სობირმა უთხრა:

— დედი, ნიშნობიდან ერთი-ორი ნაჭერი ხორცი და პური მომიტანე, ჰუსაინის წავულებო.

სობირმა პური და ხორცი ხელსახოცში გამოკრა და გზას გაუდგა. იარა,

იარა, ცხრა მთა, უდაბნო და ზღვა გადაიარა, ვიდრე იმავე ქალაქს არ მიაღწია, სადაც ჰუსაინი ეგულებოდა. გავიდა ქალაქგარეთ და სოფელ-სოფელ დაუწყო ძებნა თავის დაკარგულ ბიძაშვილს. შორს დაინახა, რამდენიმე დეპუანი\* მინას ხნავდა. იქნებ ჩემი ბიძაშვილიც იქ არისო, — გაიფიქრა სობირმა, — ვნახავ, თუ კვალს გაავლებს და თან რაიმე ლექსის იტყვის, ის იქნება, მას ხომ ასეთი ჩვეულება ჰქონდაო.

იდგა სობირი და ელოდა. გავიდა ცოტა ხანი. ერთ-ერთმა დეპუანმა კვალი დაასრულა და ეს რობაი\* წარმოთქვა:

ერთი დღიური მიწა მაქვს, ვერ გავწვდი ნახევარსაც მე,

ხარებს თუმც ერჩით ძალ-ლონე, თვით დავემსგავსე მკვდარსა მე.

ნეტავი როდის გატყდება გუთანი ოხერ-ტიალი, —

მე სატრფოს სახეს ვიხილავ, პატრონს მივუგდებ ხარსა მე.

— ვიპოვე, ნამდვილად ის არის, — შესძახა გახარებულმა სობირმა და ჰუსაინისაკენ გაიქცა.

დევონაჰუსაინიმ დაინახა, რომ მისკენ ვიღაც მორბის. რაღაც ჩემს ბიძაშვილს წააგავს, ნუთუ ის არისო, გაიფიქრა და ხარები შეაჩერა. ბიძაშვილები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ძმაო, დედაჩემი ხომ ჯანმრთელადაა, ხომ არაფერი უჭირსო, — ჰკითხა ჰუსაინიმ.

— დედაშენს არაფერს გავუჭირვებ, მაგრამ შენ რა მოგივიდა, ბიჭო, რომ წამოხვედი და მთელი წელი აღარ გამოჩენილხარ, სულ დაგვივიწყეო.

დევონაჰუსაინიმ სათითაოდ ყველა ნათესავი მოიკითხა და ყველას ამბავი შეიტყო.

სობირმა ამის შემდეგლა ამოალაგა თან წამოლებული პური და ხორცი და ბიძაშვილს წინ დაუწყო, მიირთვიო.

— ოჰო, შემწვარი ხორცი მოგიტა-

ნია? შენ რა, ცხვარი ხომ არ დაკალიო?  
– ჰერთხა ჰერთხაინიმ.

– ჰო, ერთი ბატყანი ვიყიდე. რომ  
დავკალით, შენ გამახსენდი და ლუკმა  
ყელში აღარ გადამივიდა, მეც ავდექი და  
ცოტაოდენი წამოგილეო.

დევონაჰერთხაინიმ ერთი ნაჭერი  
ხორცი პირში ჩაიდო, გალეჭა და საშინ-  
ლად ემწარა:

– ფუი, ეს რა მწარე ყოფილა, არ  
იჭმებაო! – თქვა და ხორცი გადმოა-  
ფურთხა, მწარეაო.

– იქნება ხელი გაქვს ჭუჭყიანი და  
გემო იმიტომ ვერ ჩაატანე, აბა, დანით  
აიღეო!

დევონაჰერთხაინიმ დანით აიღო ხორ-  
ცი, მაგრამ ისევ გადმოაფურთხა, მწარე-  
აო.

მაშინ სობირმა თვალი თვალში გა-  
უყარა და უთხრა:

– ჰეი, შე მართლა სულელო, ეს  
ხორცი შენი საცოლის ნიშნობიდანაა წა-  
მოლებული და მწარე იქნება, აბა რა?!

– ვაიმე, – შეჰერია გაოგნებულმა  
ჰერთხაინიმ, – მაშ, ჩემი საცოლე გაათხო-  
ვეს?!

– დიახ, – მიუგო სობირმა, – ყადის  
შვილს გაატანესო.

გაცეცხლებული დევონაჰერთხაინი  
ფეხზე წამოიჭრა:

– ამ ხარებს ახლავე პატრონს მი-  
უყრი და შინ წავიდეთო!

დევონაჰერთხაინიმ ხარები თავისი ბა-  
ტონის ჭიშკართან მირეკა და ეს რობაი  
წაიმდერა:

ზარი დამეცა, შევიქენი მწირი, ეუ-  
ლი,

დავდივარ მარტო, თვისტომთაგან  
გამოქცეული,

ო, ნეტავ ჩქარა დამაბრუნა ჩემს  
სამშობლოში,

შემასვა ღვინო მეგობრებთან,  
ლალ-ძონეული.

ბატონმა გაიგონა დევონას სიმღერა  
და გარეთ გამოვიდა. ხარები რომ დაი-  
ნახა, გაოცებულმა იყვირა:

– რა ამბავია, რას მოთრეულხარ,  
ან ეს ხარები რისთვის მოგირეკიაო?

– აჲა, შენი ხარ-გუთანი ჩაიბარე  
და ანგარიში გამისწორე, შინ უნდა წავი-  
დეო.

– ვაი, შე სულელო, ნეტა რა ანგა-  
რიშა მთხოვ, როცა ხვნაც არ დაგიმ-  
თავრებია. ჯერ მიწა მოხანი, დათესე,  
მომკე, გაანიავე და საზღაური მერე  
მომთხოვე. გასულ წელს კი რაც გერგო,  
ჭამაში გაგიბარეო.

ჰერთხაინი მიხვდა, ვერაფერს გავაწ-  
ყობო, ხმაც აღარ ამოულია, ისე გამობ-  
რუნდა და სობირს გაჰყვა.

იარეს, იარეს, გადალახეს ბევრი  
მთა და ბარი, ზღვა და მდინარე და ბო-  
ლოს თავის სოფელსაც მიაღწიეს.

ჰერთხაინის დედა ეზოში ჯარას უჯდა  
და თან მწარედ მოთქვამდა.

შვილი რომ დაინახა, ქალი წამოხ-  
ტა, გულში მაგრად ჩაიკრა და უფრო  
ცხარედ აქვითინდა.

– რაო, დედი, ჩემ გამო ტირიო? –  
ჰერთხა ჰერთხაინიმ.

– ჰო, შვილო, ლამის შენმა დარდმა  
გადამიტანოსო.

– დედი, ჩემი საცოლე მართლა გა-  
ათხოვესო?

– ჰორწილი უკვე გადაიხადესო?

– არა, მხოლოდ ნიშნობა იყო.

– წავალ ერთი, ამბავს გავიგებო.

– ოღონდ მაგას ნუ იზამ, შვილო,  
დედა გენაცვალოს, ყადი გიცნობს და  
მოგკლავსო!

– წავალ, ერთხელ კიდევ ვნახავ  
დავლათხათუნს, მერე თუნდ მომკლან,  
არ მენაღვლებაო, – შესძახა ჰერთხაინიმ  
და დეიდის სახლს მიაშურა. დევონამ

შორიდანვე დაინახა, რომ დავლათხათუნი და დედამისი ქარბოსს\* ქსოვდნენ. ვაჟმა ერთხანს შორიდან უყურა ქალებს. უცებ დავლათხათუნს ძაფი გაუწყდა, ქალი დაიხარა, რომ ძაფი გაეკვანდა. ჰუსაინიმ თვალი მოჰკრა მის მშვენიერ სახეს, მღელვარებისაგან გული შეუტოკდა და ეს რობაი აღმოხდა:

დავლათხათუნი ქარბოსსა ქსოვს გაფაციცებით,

ძაფი გაუწყდა და შეეხო ოდეს თითებით,

ძაფი გაუწყდა და შეეხო ოდეს თითებით,

გულის ჭრილობა გადამეხსნა, სისხლით ვიცლები.

დავლათხათუნი სმენად იქცა:

– დედი, რაღაც მომესმა, მგონი, ჰუსაინის ხმას წააგავდაო!

– ეჱ, საცოდავი ჰუსაინი, როგორ დაიკარგა! სად არის ნეტავ, ცოცხალია თუ მკვდარი! რად გამახსენე, შვილო, იარა რად გამიხსენიო, – და ქალმა ცხარე ცრემლი გადმოაფრქვია. მერე ადგა და წავიდა, – ცოტას დავისვენებ, რაღაც ძალზე გადავიღალეო.

დავლათხათუნმა კი ძაფი გაკვანდა და ქსოვა განაგრძო. ჰუსაინი უფრო ახლოს მიდგა და კიდევ ეს რობაი დაამღერა:

დავლათხათუნ, ბაღში ვარდს ედარები,

ქარბოსსა ქსოვ, ძაფივით ვეტარები,

ვთქვი თუ, სატრფოს გული უნდა შევწირო,

მან კი თურმე სხვას გაულო კარები.

დავლათხათუნმა შორს მოისროლა ქარბოსი, წამოხტა და დეიდაშვილს ასე გაეპასუხა:

შორი გზიდან მოდიხარ და მღერი,

ილტვი ჩემკენ, არ გაშინებს მტერი,

შემოგაცვდა ქალამანი ბევრი,

სურმად მიჩანს შენთა ფეხთა მტვე-

რი.

დაბნეული დავლათხათუნი ჯერ ჰუსაინის მიესალმა, მერე კი შეტრიალდა და სახლისკენ გაიქცა. დევონაჰუსაინი უკან გამოეკიდა.

ქალ-ვაჟი შინ შევიდა და დევონამ ჰკიოთა:

– სადაა შენი პირობა, ყადის ვაჟს რატომ მიჰყებიო?

დავლათხათუნმა ტირილით მიუგო: თუ მიჯნური ხარ, უნდა იხსნა შენ სული ჩემი!

ანდა იგლოვე შენ სიცოცხლე ბედკრული ჩემი,

ძალით მივყავარ და სულ სხვაგან უნდა გამყიდონ,

თუ მიჯნური ხარ, უნდა იხსნა შენ სული ჩემი!

– ჩემო კარგო, უთხრა მან ჰუსაინის, როცა მისი ცქერით დატკბა, – რამე იღონე და გადამარჩინეო!

– ჯერ საჭმელი მაჭამე, რამდენიმე დღეა, პირში ლუკმა არ ჩამიდვია, შიმშილით ვკვდებიო.

დავლათხათუნი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ საჭმელი ვერაფერი ნახა.

– რა ვქნა, არათერი მაქვს, გინდა, ხორბალს მოგიშუშავო.

– რაც გინდა, ის მოიტა, ძალიან მშიაო.

დავლათხათუნმა ცეცხლზე ქვაბი შედგა, ხორბალი ჩაყარა და მორევა დაუწყო. სიმხურვალისაგან ქალს სახე აეფაკლა, კიდევ უდფრო დამშვენდა და აელვარდა. დევონამ ვეღარ მოითმინა, უცებ წამოხტა და ქალს აკოცა. დავლათხათუნს გული მოუვიდა და ვაჟს ხელი ჰკრა. დევონამ წაიფორხილა, ქვაბს ფეხი გამოსდო და ხორბალი დაფანტა. გაბრაზებული დავლათხათუნი ჯერ გაიქცა, მერე ჰუსაინი შეეცოდა და მობრუნდა. ქვაბში ხელახლა ჩაყარა ხორბალი და მოშუშა. ჰუსაინი დანაყრდა და მერელა გაახსენდა, მისი იქ დიდხანს

დარჩენა საშიში იყო. ყადის რომ გაეგო, სასტიკად დასჯიდა. სიტყვა არ დაუძრავს, წამოდგა და წავიდა.

გულდანყვეტილმა დავლათხათუნმა ეს რობაი მიაყოლა:

თუ არ მოხვალ, აი, დარდი!  
ბეღურა ხომ ყველგან დახტის,  
ბულბული ვარ ლალად მსტვენი,  
სხვა იქნება ჩემი ვარდი.

დევონაჰუსაინი მიხვდა, რომ გული ატყინა სატრფოს. ბალში შევიდა, წყაროსთან ჩამოჯდა და ხელ-პირი დაიბანა. დავლათხათუნიც ბალში გავიდა და ვარ-დებს კრეფა დაუწყო. დევონამ პირი მისკენ იბრუნა და ბეითი\* უთხრა:

სავარდეში ვარდის ლარი, ვისი არის  
ეს ასული? —

მან შეკონა თაიგული, დაატყვევა  
ჩემი გული.

დავლათხათუნმა შორიახლო ჩაუა-  
რა და გაეხმიანა:

რას კითხულობ, ეს ასული ვისია?  
შენ სხვა ნახე, ის კი უკვე სხვისია!

რა ვქნა, ნუთუ წყენას არ მაპატი-  
ებსო? — ფიქრობდა გულჯავრიანი დე-  
ვონა.

დავლათხათუნმა სასოწარკვეთილ  
დევონაჰუსაინს რომ შეხედა, რისხვა გა-  
უქრა.

ამასობაში ყადის ხალხმა ქორწილის  
სამზადისი გააჩალა. დევონაჰუსაინი შე-  
უმჩნევლად გამოიპარა და შინ დაბრუნ-  
და.

ყადიმ დიდებული ქორწილი გადაი-  
ხადა. სამი დღე და სამი ღამე გაგრძელ-  
და ლხინი.

დევონამ ქალის ტანსაცმელი გადა-  
იცვა და მთელი ეს დრო დავლათხათუ-  
ნის გვერდით გაატარა. მესამე დღეს  
მასპინძლებიან-სტუმრებიანად ყველა  
ისე დაიღალა და გამოთვრა, რომ ძილად  
მიეგდო. ამით ისარგებლა დევონამ, მიე-  
პარა ყადის შვილს, ქუდი მოჰადა და

თავზე ცომი შემოაკრა. მერე ისევ დავ-  
ლათხათუნთან დაბრუნდა. ქალმა შეს-  
ჩივლა:

— ჰოი, ჩემო დეიდაშვილო, რას  
ფიქრობ, როდემდე ვიყოთ ასე გულხელ-  
დაკრეფილი? სადაცაა, ქორწილი დამ-  
თავრდება და მერე ვინდა დამიხსნის ყა-  
დის ვაჟისგანო.

— დავლათხათუნო, ყადის ვაჟი თუ  
გინახავსო? — ჰკითხა დევონამ დავლათ-  
ხათუნს.

— არა და არც მსურს ვნახოო! —  
მიუგო ქალმა.

— არ გინახავს და, ალბათ, არც  
იცი, ქეცი რომ შეჰყურიაო!

— რა გინდა ჩემგან, ჩემო დეიდაშ-  
ვილო! — შეჰყურია მოთმინებადაკარ-  
გულმა დავლათხათუნმა. — რატომ მან-  
ვალებ, რად აჭიანურებ და არ დამიხსნი  
ამ გასაჭირისაგან?!

— ჩემო კარგო, ახლა ქორწილია,  
ყველა შენ შემოგყურებს, რა უნდა გავა-  
ხერხო, რა გიშველოო?

— მაშ, თუ არ დამიხსნი, თავს მო-  
ვიყლავო! — შესძახა გამწარებულმა პა-  
ტარძალმა.

დევონას ბევრი აღარ უფიქრია,  
დასტაცა დავლათხათუნს ხელი და გაიქ-  
ცა, დევონამ ქალი დამალა, მერე ისევ  
დაბრუნდა, ყადის სახლში შეიპარა და  
ყველა ცხენს ფეხებზე ძარღვი გადაუჭ-  
რა. მერე ორივენი მთებში გაიხიზნენ.

დილით ყადიმ გაიღვიძა და პატარ-  
ძალი ვეღარსად ნახა, ყველა ფეხზე დაა-  
ყნენა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ  
პატარძალი ვერსად იპოვეს. ამასობაში  
სიძეც გამოჩნდა, სტუმრებმა თავზე რომ  
შეხედეს, სიცილი წასკდათ.

ყადიმ და მისმა კაცებმა დაასკვნეს,  
რომ ეს დევონაჰუსაინის ოინები უნდა  
ყოფილიყო. ყადიმ ბრძანა, ახლავე მდევა-  
რიო! ეცნენ საჯინიბოს, მაგრამ ცხენები  
ძარღვებგადაჭრილი დახვდათ. კარგა ხანი

გავიდა, ვიდრე სხვა ცხენები მოიყვანეს და მდევარი დევონას კვალს გაუდგა.

დევონამ და დავლათხათუნმა იარეს, იარეს, ცხრა მთა, მინდორი, ზღვა, ქალაქი და სოფელი გადაიარეს და ბოლოს ერთ დიდ კლდეს მიადგნენ. დალლილებს იქვე ჩაეძინათ. ცოტა ხნის შემდეგ დავლათხათუნს გამოელვიდა და დევონას უთხრა:

— ადე ჩქარა, სადაცაა, მდევარი წამოგვეწევა და შეგვიპყრობსო!

მაგრამ დევონამ მხოლოდ გვერდი იცვალა. ბევრს ეცადა დავლათხათუნი, მაგრამ ვაჟი გონიერი ვერ ჩააგდო. გულატკენი ქალი მარტო შეუყვა აღმართს, თან მწარედ მოთქვამდა.

ბოლოს და ბოლოს დევონას შემოესმა ქალის მოთქმა-გოდება, წამოხტა და გამოედევნა. მთის მწვერვალს რომ მიაღწიეს, გადმოიხედეს და მდევართა რაზმი დაინახეს, ყადის მსახურნი ცხენებს მოაჭენებდნენ.

— ჩემო დეიდაშვილო, უნდა დავიმალოთ, თორემ დაგვიჭრებო! — შესძახა დავლათხათუნმა.

დევონამ სიმღერით უპასუხა:

ბრძოლის ხმა მესმის, მე უკან დავდგე?

ლომის ბოკვერი გავიქცე სადმე?

ლომი ხომ იბრძვის თავგამეტებით,

მეც სისიხლით მოვრჩყავ ამ ღრეს და ამ კლდეს!

დევონამ ერთი ხის ტოტი მოტეხა, გაასუფთავა, კომბალი გამოთალა და იქვე ქვას ამოეფარა, მდევრებს ჩაუსაფრდა.

ცოტა ხანში ყადის ხალხიც გამოჩდა. დევონა მოულოდნელად გამოვარდა საფარიდან და თავს დაესხა. თავგანწირვით იბრძოდა ვაჟი. რამდენიმე კაცი დასცა ძირს და დაასახირა, მაგრამ რიცხვმრავალმა მტერმა აჯობა და შეიყრეს.

ეს რომ დავლათხათუნმა დაინახა,

ახლა თვითონ გადაეშვა მდევრების გუნდში, მაგრამ, აბა, რას გააწყობდა! ისიც შეიპყრეს და ორივე წინ გაიგდეს.

იარეს ასე, ვიდრე ერთ ქალაქს არ მიაღწიეს. შუა ქალაქში რომ გაატარეს, ჰუსაინიმ მწარედ ამოიკვნესა.

პასუხად დავლათხათუნის სიმღერა გაისმა:

ჰე, ჩემო, სული შენთვის მსხვერპლად მომირთმევია,  
ეკალს რას უფრთხი, მშვენიერი ვარდი შენია!

ბედნიერია, ვინც სიყვარულს შესწირა თავი,

სახრჩობელაზეც კაცად დარჩე — ის გირჩევინია!

ქალაქელებმა ქალის ნაზი სიმღერა რომ გაიგონეს, გარს შემოეხვივნენ. გაუკირდა ხალხს, რა დააშავა ამ ტურფა ასულმა და ბრგე ვაჟუაცმა, შებოჭილი რომ მიჰყავთო.

— ეს ქალ-ვაჟი რატომ შეგიპყრიათ, სად მიგყავთო? — ჰკიოთხეს მათ ყადის მსახურებს.

ყადის ვაჟმა, რომელიც მდევრებს წინ მიუძღვიდა, დევონასკენ თითო გაიშვირა და მიუგო:

— ამ უნამუსომ ცოლი მომტაცა და შევიპყარიო!

ხალხი დევონას მიუბრუნდა:

— ცოლი რად მოსტაცე, რა დაგიშავა?

დევონამ პასუხად ყველაფერი წვრილად უმბოლოდ უმბოლოდ.

— ეს ჭაბუკი მართალს ამბობსო? — ახლა დავლათხათუნს მიმართა ხალხმა.

— სრულ სიმართლეს ამბობს! — უპასუხა დავლათხათუნმა. — მე მისი დანიშნული ვიყავი, გვიყვარდა ერთმანეთი, ყადის ვაჟმა ძალით მოისურვა ჩემი ცოლად წაყვანა. სხვა გზა არ გვქონდა, გავიქცეთ, ყადის ვაჟმა კი შეგვიპყრო და ასე გვაწამებსო!

აქ კი ვეღარ მოითმინა უსამარ-

თლობით განრიცსხებულმა ხალხმა, შეუტია ყადის ვაჟსა და მის მხლებლებს. შეშინებული მდევრები თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ.

ასე გაითავისუფლეს თავი დევონა-

ჰუსაინიმ და დავლათხათუნმა. მათ გა-  
დაწყვიტეს, იმ ქალაქში დარჩენილიყვნენ  
და იმ კეთილ ხალხთან გაეტარებინათ  
თავისი ცხოვრების დანარჩენი დღეები.

## የጥብ ሂርበዬስ\* ይህ ፊርማዎን

რამაზანის\* თვეში ორი შეიხი მექას\* გაემგზავრა. მზე მაღლა იდგა, აცხუნებდა, შეიხები მაღე დაიღალნენ და სის ძირას ჩამოსხდნენ.

– წინ გრძელი გზა გვიდევს, ბარგი  
მძიმე გვაქვს. ვინმე თუ არ მოგვეხმარა,  
ცუდადაა ჩვენი საქმეო! – თქვა ერთმა  
შეიხმა.

- ასე თუ ვიარეთ, მალე ფეხებს  
გავჭიმავთო! – დაუდასტურა მეორემ.  
ამ საუბარში რომ იყვნენ, ერთმა  
დეპუტანტმა გამოიარა.

— ო, ლვთის მონავ! — შესძახეს შეისტებმა. — ჩვენ აღთქმა გვაქვს დადებული და მექას მივდივართ. გზა გრძელია, ძალზე დაგილალეთ. თუ ბარგის ზიდვაში მოგვეხმარები, ამქვეყნად შვებას ჰპოვებდა საიტიოს სამოთხეში მოხვდებიო!

დეპუანი ღარიბი და პატიოსანი კაცი იყო. ორი შეიხის თეთრ წვერებს პატივი სცა და უარი ვერ უთხრა.

დაიძრა ქარავანი, წინ შეიხები მი-  
დიოდნენ, უკან დაბარგული დეპუანი  
მიჰყვებოდა. ხელცარიელი შეიხები საკ-  
მაოდ სწრაფად მიცუხცუხებდნენ, საწყა-  
ლი დეპუანი კი მშერიც იყო და თანაც  
კარგა მძიმე ტვირთს მიათრევდა.

სამხრობის უამს შეიქებმა ერთი ხის  
ძირას შეისვენეს. ნამაზის\* დრო იყო,  
პირი მექასკენ იბრუნეს და ლოცვა და-  
იწყეს.

— ხომ იცი, ხორაგი არც ისე ბევრი გვაქვს, — ნაუჩურჩულა ერთმა შეიხმა

მეორეს, – ეს დეპუანი კი მადაზე იქნება მოსული. რამე უნდა მოვიფიქროთ, რომ საჭმელი მარტო ჩვენ დაგვრჩეს!

— ჰო, რამე უნდა ვიღონოთო, —  
კვერი დაუკრა მეორემ.

ლოცვის დროს ორივემ ითათბირეს,  
შემდეგ მობრუნდნენ და დეპყანს უთ-  
ხრეს:

- მოდი, ვახშმობამდე წავიძინოთ, ვინც კარგ სიზმარს ნახავს, პური იმან ჭამოს. ასეა ლვთით ნაბრძანები. ვინც ცუდ სიზმარს ნახავს, ან საერთოდ არა-ფერი დაესიზმრება, მან ხორცს პირი არ უნდა დააკაროსო.

– თუ ღვთითაა ნაბრძანები, რა გა-  
ეწყობაო, – დაეთანხმა დეპუანი.

სამივემ დაიძინა. შეიხები ისეთმა ლრმა ძილმა წაიღო, რომ არავითარი სიზმარი არ უნახავთ.

— ჰო-ჰო-ჰო, რა სიზმარი გინახავს,  
რა სიზმარი! — წამოიძახა მეორე შეიხმა  
და წამოდგა. — მე კი დამესიზმრა, ვი-  
თომც ანგელოზები მეშვიდე ციდან თვი-  
თონ დაეშვნენ ძირს, ამიტაცეს, თან წა-  
მიყვანეს და იქ დიდი პურ-მარილი გამი-  
შალესო!

ბოლოს დეპუანმა მოიფშვნიტა თვალები და დაიწყო:

— რასაც თქვენ ჰყვებით, სიზმრად კი არა, ცხადში მოხდა. მე არ მეძინა და ჩემი თვალით დავინახე, შენ ნიშა ცხენმა როგორ გაგაჭენა, შენ კი ანგელოზებმა თავისი ხელით ცაში როგორ აგიტაცესო! მე მარტო დავრჩი, ქვემოდან შემოგყურებდით და ვხედავდი, როგორ გიმასპინძლდებოდნენ ანგელოზები და ფერიები.

რომ ვივარაუდე, ახლა უკვე მაძლარნი იქნებიან-მეთქი, ავდექი, გავხსენი ხურჯინი და ეს ჩემი ცოდვილი მუცელიც ამოვიყორე. ცოტა რომ დავნაყრდი, წავიძინე კიდეც, ოლონდ სიზმარი არ მინახავსო.

შეიხები სასწრაფოდ ეცნენ ხურჯინს, მაგრამ შიგ აღარც საზამთრო დახვდათ, აღარც შემწვარი ხორცი და აღარც ღვეზელი.

## მეპრუბონუ

ძველად, სულ ძველად, ცხოვრობდა ერთი დიდვაჭარი. მას ჰყავდა ერთი ვაჟი და ერთი მშვენიერი ასული. ვაჭარი და იმ ქალაქის ყადი ისეთი თავგადაკლული მეგობრები იყვნენ, რომ ჩაი რა არი, ჩაისაც კი არ სვამდნენ უერთმანეთოდ.

ერთ დღეს დიდვაჭარმა შორ ქვეყნებში გამგზავრება განიზრახა და გადაწყვიტა, თავისი ვაჟიც თან წაეყვანა. წამოვიდეს, ქვეყანა ნახოს და ვაჭრობაში გაიწაფოსო. რაკი წასვლა გადაწყვიტა, ვაჭარმა თავისი მეგობარი ყადი ოჯახში მიიწვია და შეევედრა:

— ჩემი ვაჟი თან მიმყავს, ცოლსა და ქალიშვილს კი შინ მარტო ვტოვებ, აბა, შენ იცი, როგორ უპატრონებ, შენი იმედი მაქსო.

— ხათრიჯამად იყავი, არაფერს დავაკლებო, — დაამშვიდა მეგობარმა და ვაჭარიც გაუდგა გზას.

რამდენიმე დღის შემდეგ ყადიმ ვაჭრის ოჯახი მოინახულა. ვაჭრის ცოლი ღირსეულად დახვდა, როგორც შეეძლო, პატივი სცა და მშვენიერი სუფრა გაუწყო სტუმარს.

შემთხვევით ყადიმ თვალი მოჰკრა ვაჭრის ულამაზეს ასულს. ყადი ქალის ახლო ხილვის სურვილმა შეიპყრო და,

საწადელი რომ შეესრულებინა, ესლა მოიმიზეზა:

— მარტო მე ხომ არ ვჭამ პურს, სუფრასთან თქვენც მობრძანდითო.

ვაჭრის ცოლი ვერაფერს მიუხვდა და შვილს უთხრა:

— მეპრუბონუ, ადე, შვილო, ხელი დაიბანე და ყადისთან სადილად გადიო.

მეპრუბონუ უარზე იყო, ვერ გავალო, მაგრამ დედამ დატუქსა.

რაღას იზამდა მეპრუბონუ, ადგა, ხელი დაიბანა და დასტარხანს\* მიუჯდა. მის შემხედვარე ყადის ლუკმა ყელში გაეჩირა, სული ველარ მოითქვა, იჯდა და თვალგაშტერებული შეჰყურებდა მეპრუბონუს. ბოლოს, როგორც იყო, გონს მოეგო, წელმოწყვეტილივით წამოდგა და ვაჭრის ცოლს უთხრა:

— თუ რამე დაგჭირდეს, მითხარი, არ მოგერიდოსო!

— რა უნდა დამჭირდეს, ბატონო, ყველაფერი გვაქვსო, — მიუგო ქალმა.

ყადი ვაჭრის ცოლს დაემშვიდობა და შინისაკენ გასწია. თავში სულ ვაჭრის ასული უტრიიალებდა. რა ვქნა, ხელში როგორ ჩავიგდო, მისი ცეკერითა და ალერსით როგორ დავტკბეო. ბევრი იფიქრა და ბოლოს ერთი კუდიანი დე-

დაბერი გაახსენდა. მაჭანკლად ის თუ გამომადგებაო, გადაწყვიტა. დედაბერი მაშინვე თავისთან იხმო და დახმარება სთხოვა.

— ადვილ საქმეს არა მთხოვ, მაგრამ შენი ხათრით შეუძლებელს შევძლებო, — უთხრა დედაბერმა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ კი დაურთო, — ერთი ოთახი მომიმზადე, იმ გოგოს როგორმე შიგ შევიტყუებ და მერე შენ იციო!

წავიდა დედაბერი და ვაჭრის ცოლს კარზე მიადგა. დიასახლისი სიხარულით შეეგება სტუმარს:

— მობრძანდი, დაბრძანდი, ჩემო თვალის სინათლევ! როგორ დამივიწყე, რაც ჩემი ქმარი წავიდა, მას მერე აღარ გაგხსენებივარო.

— ეჱ, ჩემო კარგო, რაც მე საქმე მაქვს, თავზე იმდენი თმა არ მექნება. ყოველდღე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას და ვერ მოვახერხე. დღეს კი ყადიმ მთხოვა და ხათრი ველარ გავუტეხე, გამოვეგზავნე. თქვენგან რომ მობრუნებულა, მთელი ჩერენი უბნის ქალიშვილები მოუწვევია და თავის ბალში დიდ ლხინს მართავს. მე აქ გამომგზავნა და დამაბარა, თქვენი ასულიც მივიწვიო. ცოტას გაერთობაო, მითხრა. ხომ იცი ჩემი ხასიათი, მეგობრის სიტყვას ძირს არ დავუშვებ, ავდექი და მაშინვე აქეთ გამოვემურეო.

გახარებული ვაჭრის ცოლი შვილთან გაიქცა:

— მეპრუბონუ, ადე, შვილო, ახალი კაბა ჩაიცვი და ამ კეთილ დეიდას გაჰყევი, ცოტას გაერთობი და გულს გადააყოლებო!

მეპრუბონუს ისევ ახსოვდა ყადის გაუმაძლარი მზერა და დედას უარი უთხრა:

— რაღაც გული არ მიმიწვს, დედი, მოდი, შინ დავრჩებიო.

დედამ შვილი დატუქსა:

— შე სულელო, ჩვენი მეგობარი ყადი შენზე ზრუნავს, მეჯლისს შენი გულისთვის მართავს, შენ კი მისვლაც არ გინდა?! ახლავე ადექი და წადიო!

— კარგი, დედა, წავალ, მაგრამ, თუ რამე მოხდება, შენს თავს დააბრალეო!

— უთხრა მეპრუბონუმ, ახალი ტანისამოსი გადაიცა და დედაბერს გაჰყვა.

დედაბერი წინ-წინ გარბოდა. ყადის ეზოში რომ შევიდნენ, დედაბერმა ქალს დაუყვავა: შენ იმ ოთახში შეისვენე, სული მოითქვი, მე კი ბალში გავალ და მასპინძელს შენს მოსვლას შევატყობინებო.

მეპრუბონუმ ოთახში შესვლაც ვერ მოასწრო, რომ კარს უკან დამალული ყადი ეცა და გულში ჩაიკრა. მეპრუბონუმ ორივე ხელი ჰკრა ყადის, ლიპში წიხლი ჩააზილა და კუთხეში მიაგდო. შემდეგ იქვე, თახჩაში მდგარ შანდალს დაავლო ხელი, ყადის ესროლა და უკანმოუხედავად გამოვარდა ოთახიდან.

შანდალი ყადის შუბლში მოხვდა და დაარეტიანა. გონს რომ მოვიდა, შეეშინდა, ეს ამბავი თუ გახმაურდა, მეგობართანაც შევრცხვები და ხალხშიც თავი მომეჭრება, უნდა დავასწრო და რაიმე ვიღონოო, — ამის გაფიქრება და საწერკალმის მოტანა ერთი იყო.

ყადიმ დიდვაჭარს მისწერა: რაც წახვედი, შენი ასული მეპრუბონუ უღირს ცხოვრებას ეწევა, მსუბუქი ყოფაქცევისა გახდა და გარყვნილების მორევში გადაეშვა. ამით შენც, ჩემო ძირფასო მეგობარო, სახელს გიტეხს და მეც, სამართლის მცველს, შეურაცხყოფას მაყენებს. იმედი მაქვს, ყოველ ღონეს იხმარ და ამ სირცევილისაგან გვიხსნიო!

ვაჭარმა წერილი მიიღო და, რადგან ყადი სულის მეგობრად მიაჩანდა, ყველაფერი ირწმუნა. განრისხებულმა თავისი ვაჟი იხმო და უბრძანა:

— ახლავე შინ გაემგზავრე. მეპრუ-

ბონუ ჩუმად გამოიყვანე სახლიდან, სად-  
მე შორს წაიყვანე ლამე და მოკალი, რომ  
თავისი საქციელით თავი ალარ მოგ-  
ვჭრასო.

რამდენიმე დღე-ლამე იარა ვაჟმა  
და ბოლოს თავის მშობლიურ ქალაქსაც  
მიაღწია. შუალამე გადასული იყო, ალა-  
ჟაფის კარს რომ მიუკაცუნა. ხმაურზე  
მეპრუბონუს გამოეღვიძა, ძმის ფეხის  
ხმა იცნო და გახარებული გავარდა კა-  
რის გასაღებად.

ძმას ხმა არ ამოუღია, ისე შეიგდო  
ქალი ცხენზე და მთებისკენ გააჭენა.  
დიდხანს იარეს ასე, ვიდრე ერთ მიყრუ-  
ებულ ადგილს არ მიაღწიეს. აქ კი ძმამ  
იძრო დანა და დისტვის გულში უნდა ჩა-  
ეცა, მაგრამ ხელი აუკანკალდა. რაც არ  
უნდა იყოს, მაინც და არისო, გაიფიქრა,  
მოდი, აქ დავტოვებ, სულ ერთია, მაინც  
დაიღუპებაო. ძმამ მეპრუბონუ ცხენიდან  
გადმოაგდო, თვითონ კი გაქუსლა.

დილით ვაჭრის ცოლს გამოეღვიძა,  
მაგრამ შვილი ვეღარსად ნახა. დაბნე-  
ულმა არ იცოდა, რა ეღონა. ბოლოს  
ატირებული გაიქცა ყადისთან.

— რა მოგივიდა, ჩემო ძვირფასო  
დაო, რად ტირიო? — ჰკითხა ყადიმ.

— მეპრუბონუ დაიკარგა, რალა  
ვქნა, რა მეშველება, მამამისს რა პასუხი  
გავცე? მიშველე რამე, დავიღუპეო, —  
შესტირა გამნარებულმა დედამ.

ყადიმ ვაჭრის ცოლი დაამშვიდა:

— ნუ წუხხარ, შენი ქალი, ალბათ,  
ვინმეს გაუმიჯნურდა და საყვარელთან  
წავიდა. ქმრისაც ნუ გეშინია, მისი პასუ-  
ხი ჩემს კისერზე იყოსო.

გულდამწვარი დედა შინ დაბრუნდა  
და დღედალამ შვილის დაკარგვას გლო-  
ვობდა.

გავიდა დრო და ვაჭარი და მისი ვა-  
ჟი შორი გზიდან დაბრუნდნენ. დამწუხ-  
რებულ მამა-შვილს დანა პირს არ უხ-  
სნიდა, მაგრამ მეპრუბონუ ერთხელაც  
არ მოუკითხავთ.

მეპრუბონუმ ის ლამე შიშსა და კან-  
კალში გაატარა. მეორე დღეს კარგა  
ხანს იხეტიალა მთებში, შუადღისას კი  
მშიერ-მწყურვალმა ერთ ჭადარს შეაფა-  
რა თავი. იქვე ანკარა წყარო მოჩუხჩუ-  
ხებდა. მეპრუბონუმ წყალი დაალია, პი-  
რი დაიბანა და დაღლილს ჩაეძინა.

მოულოდნელად ვიღაცის ხმამ გა-  
მოაფხიზლა.

— ვინ ხარ, ადამიანის შვილი, მხე-  
ცი, დევი თუ ფერიაო?

მეპრუბონუმ თვალი გაახილა. მის  
წინ ერთი ღარიბად ჩაცმული ჭაბუკი  
იდგა, ზურგზე შეშის გუდურა ჰქონდა  
მოკიდებული. ქალი წამოხტა და უპასუ-  
ხა:

— არც მხეცი ვარ, არც დევი და  
არც ფერია. ერთი უბედური ადამიანის  
შვილი ვარ, სამშობლოსა და დედ-მამას  
მოწყვეტილიო.

— თუ ასეა, წამოდი ჩვენთან, ჩემი  
სახლი შენი სახლი იქნება, დედაჩემი —  
შენი დედა, მამაჩემი კი — შენი მამა!

მეპრუბონუ გაჰყვა აპრორს, იმ ჭა-  
ბუკს ასე ეძახდნენ. აპრორს ღატაკი  
მშობლები ჰყავდა. ცოლ-ქმარმა რომ  
დაინახა, ჩვენს შვილს ვიღაც ლამაზი ქა-  
ლი მოჰყვებაო, ძალიან გაუკვირდათ და  
ჰკითხეს:

— ვინ არის, სად გიპოვიაო?

მეპრუბონუმ მათაც უამბო თავისი  
თავგადასავალი. ამ საცოდავი ქალის ამ-  
ბით გულმოკლულმა აპრორის მშობლებ-  
მა მეპრუბონუს შესთავაზეს, ჩვენთან  
დარჩი და ჭირი და ლხინი ერთად გავი-  
ყოთო. მეპრუბონუ დათანხმდა.

გავიდა დრო. მოხუცებს კიდევ უფ-  
რო შეუყვარდათ ეს პატიოსანი და კეთი-  
ლი ქალიშვილი. ერთ მშვენიერ დღეს კი  
ითაბირეს და გადაწყვიტეს: ამაზე უკე-  
თეს ქალს ვერსად ვნახავთ, მოდი,  
რძლად დავისვათო, და თავიანთი გან-  
ზრახვა მეპრუბონუს გაუმხილეს. მეპ-  
რუბონუს ჩუმ-ჩუმად მოსწონდა აპრორი

– ეს წესიერი და მუყაითი ჭაბუკი, ამიტომ ხალისით დაჰყვა მათ ნებას.

მშობლებმა შვილსაც უთხრეს თავიანთი გადაწყვეტილება. გახარებულმა აპრორმა შესძახა:

– ჩემო ძვირფასო მშობლებო! მეპრუბონუზე უკეთეს ცოლსა და ასეთ ბედნიერებას ვერც კი ვინატრებდიო!

მეტი არც არაფერი იყო საჭირო. მოხუცებმა მოიწვიეს ორი-სამი მათსავით ღარიბი ნათესავი თუ მეზობელი და ვაჟის ქორწილი გადაიხადეს.

გავიდა რამდენიმე წელი და მეპრუბონუს ვაჟი შეეძინა, დედასავით ლამაზი და მამასავით მკლავმაგარი ბიჭი.

აპრორი დღისით მუშაობდა, საღამოებს კი თავის ოჯახობასთან ატარებდა. მხოლოდ ხანდახან თუ გაისეირნებდა ტოლ-მეგობრებში.

აპრორს ერთი მეგობარი ჰყავდა, სახელად აბდული. იგი მდიდარი მებატონის შვილი იყო, მაგრამ ძალიან ცდილობდა აპრორთან დაახლოებას, მისი გულის მოგებას. ბოლო დროს აპრორმა მოუკლო მასთან სიარულს, რის გამოც აბდული სულ საყვედურობდა:

– ნეტავი იმ ნაპოვნ გოგოს ისეთი რა ჯადო აქვს, რომ გვერდიდან აღარ სცილდები! თუ იცი, საიდან არის, ვისი შვილია? მშობლები ცოცხალი თუ ჰყავს, სანახავად რატომ არ მიდისო?

პასუხად აპრორი თავს იმართლებდა:

– თუ დაიჯერებ, მშობლების ამბავს არასოდეს ვეკითხები, მეშინია, გული არ ვატკინოო.

ერთ საღამოს მეპრუბონუ შვილს ეთამაშებოდა და უნებურად ისე ამოიხრა, გეგონებოდათ, გული თან ამოაყოლაო. აპრორმა ჰკითხა:

– რა იყო, რაზე ოხრავ? ხომ არა-ფერი გაწუხებს, ან იქნება ჩვენთან ყოფნა აღარ გინდაო.

– არა, თქვენთან ყოფნა როგორ არ მინდა, მაგრამ მშობლები გამახსენდა და გულს დარდი შემომაწვა. როგორ გაიხარებდნენ, შვილიშვილი რომ ენახათო.

აპრორი ჩააფიქრა ცოლის ნათქვამა. მეორე დღეს კი წავიდა და აბდულის გაანდო თავისი გულის დარდი. აბდულიმ ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

– ნუ ნაღვლობ, ამ საქმეს ადვილად მოევლება. ამ დღეებში სწორედ შენი ცოლის მშობლიურ ქალაქში უნდა გავემგზავრო. შენს ცოლ-შვილს თან წავიყვან. მეპრუბონუ თავისიანებს ინახულებს, გაიხარებს და უკანვე დაბრუნდებაო.

აპრორს ძალზე გაუხარდა. ერთ კვირაში აბდულიმ შეატყობინა, სამგზავროდ მზად ვარო.

აპრორი შინ გაიქცა და ცოლს მიახარა:

– ჩემი მეგობარი აბდული მამაშენის ქალაქში მიდის სავაჭროდ. თუ გინდა მშობლების ნახვა, მოემხადე და თან გაჰყევიო!

მაგრამ ნათქვამია, გველნაკენს მათრახის ეშინიაო, მეპრუბონუ უარზე დადგა:

– არა, შენს მეტს არავის გავყვებიო!

აპრორმა დაამშვიდა:

– გულდინჯად იყავ, აბდულო ჩემი უახლოესი მეგობარია და, როგორც ჩემს თავს, ისე ვენდობიო!

– კარგი, სხვა რა გზა მაქვს, წავალ, მაგრამ, თუ რამ უბედურება შემემთხვა, შენს თავს დააბრალეო.

დილით აბდულომ ცხენები მოიყვანა. აპრორმა შესვა ზედ ცოლ-შვილი, სოფლის ბოლომდე გააცილა და დაემშვიდობა. სულ მალე მხედრები თვალს მიეფარნენ.

მგზავრებმა მთელი დღე იარეს და საღამოს ერთ ამწვანებულ ფერდობს მი-

ალწიეს. აბდულო ცხენიდან ჩამოხტა და თქვა:

— ლამეს აქ გავათევთო!

აბდულომ ქალი და ბავშვი ცხენიდან ჩამოსვა, ჩაი მოადუდეს, ივახშმეს და ძილის სამზადისს შეუდგნენ.

მეპრუბონუ ბავშვს აძინებდა, აბდულო კი ბნელ ზრახვებს მიეცა: ახლა კი დაუდგება ჩემს სურვილებს გაზაფხული. მადლობა ღმერთს, ათასი მადლობა, ასეთი გულწარმტაცი ქალი რომ ხელში ჩავიგდეო! მერე მეპრუბონუს ახლოს მიუჩინდა და ხელი წაატანა:

— ო, ჩემი ტანჯული გულის მალა-მოვ! მას შემდეგ, რაც ჩვენს სოფელში გამოჩინდი, შენი მწველი სილამაზის ტყვევარ! ის მათხოვარი აპრორი რა შენი ტოლია, მე ვარ შენი ლირსი და შესაფერი, ბიჭად ბიჭიც კარგი ვარ და ქონებაც მომდევსო.

მეპრუბონუ მახეში გაბმული კაკა-ბივით აფრთხიალდა, აბდულოს თავიდან იშორებდა, ხელს ჰკრავდა, მაგრამ, აბა, ვაჟკაცს როგორ მოერეოდა. რომ ვერა-ფერი გააწყო, ესლა მოახერხა და უთხრა:

— ოლონდ ახლა თავი დამანებე, ბავშვს დავაძინებ და მერე, რაც გინდა, ისა ჰქენიო.

აბდულომ ქალს ხელი უშვა. მეპრუბონუმ ბავშვი გაახვია, მინაზე ფრთხილად დააწვინა და მერე, რაც ძალი და ღაონე ჰქონდა, გაიქცა. აბდულო გამოუდგა. წინ დიდი ჭა იყო. მეპრუბონუ შიგ ჩახტა. აბდულო თავს წაადგა და ჩასძახა:

— ამოდი, გაგეხუმრე, ქალო, აპრორი ჩემი ძმაკაცია, შენ რა უნდა დაგიშავო, ამოდიო!

მეპრუბონუმ ქვემოდან ამოსძახა:

— არაკად თქმულა, ბრმა თავის კვერთხს მხოლოდ ერთხელ კარგავსო! არ ამოვალო!

გაბრაზებულმა აბდულომ ბავშვს

სტაცა ხელი და იყვირა:

— თუ არ ამოხვალ, შვილს მოგიკლავო!

— ასი შვილიც რომ მყავდეს და ყველა მომიკლა, მაინც არ ამოვალო!

გამხეცებულმა აბდულომ აიტაცა ატირებული ბავშვი, მთელი ძალით ეს-როლა მეპრუბონუს და გაშორდა იქაურობას. საცოდავმა დედამ გულში ჩაიხუტა შვილის უსულო სხეული და მთელი ღამე მოთქმა-გოდებაში გაატარა.

მეორე დილით ერთმა მწყემსმა სწორედ იქით ჩაატარა ჯოგი, ქალის ტირილის ხმა რომ შემოესმა, მივიდა და ჭაში ჩაიხედა.

— მანდ ვინ არისო? — იკითხა.

მეპრუბონუ ძლივს გაეპასუხა:

— თუ კაცი ხარ, ადამიანის შვილი, მიშველე რამე, ამომიყვანეო!

მწყემსმა მათრახი ჩააწოდა და ისე ამოიყვანა. გულდამწვარმა მეპრუბონუმ ყველაფერი უამბო, რაც შეემთხვა. ამ ქალის საცოდაობით გულმოკლული მწყემსი ერთ ხანს გაოგნებული იდგა, მერე ბავშვს პატარა საფლავი გაუთხარა. მეპრუბონუ უკანასკნელად ეამბორა თავის ერთადერთ პირმშოს და აცახცახებული ხელებით საფლავში ჩააწვინა. დედამ შვილის სამარეს გაზაფხულის წვიმასავით აფრქვია ცრემლი. ბოლოს, როგორც იყო, წამოდგა და მწყემსს შეეხვენა:

— რაკი ამდენი სიკეთე მიყავი, ერთი თხოვნაც შემისრულე. ჩემი ტანისამოსი წაიღე და სანაცვლოდ მწყემსის ტანსაცმელი მომიტანეო!

მწყემსმა მოუტანა ტანსაცმელი. მეპრუბონუმ თმა აიკეცა და ჩალმით გაიკრა, ტანზე მწყემსის ჯუბა ჩაიცვა, ფეხზე ქალამნები ამოიკრა, თავისი კაბა მწყემსს მისცა და მშობლიური ქალაქის გზას გაუდგა.

იარა, იარა და ბოლოს თავის ქალაქსაც მიაღწია. მეპრუბონუმ პირდა-

პირ მშობლების სახლს მიაშურა და ჭიშკართან გაჩერდა. სწორედ ამ დროს ვაჭარმა გამოიხედა და ჭიშკართან ატუზულ ვიღაც მწყემს ბიჭს კი წააწყდა.

— ვინა ხარ, ან აქ რას აკეთებო? — ჰკითხა ვაჭარმა.

მეპრუბონუმ უპასუხა:

— მე ერთი უთვისტომო ბიჭი ვარ, ამქეყნად არავინ გამაჩნია! აქ კი იმიტომ მოვედი, იქნება ვინმეს მოჯამაგირედ დავუდგე-მეთქი.

დიდვაჭარს მოეწონა ბიჭის სიტყვა-პასუხი და შესთავაზა:

— მოდი, ჩემთან დადექი და გიპატრონებო!

მეპრუბონუ დათანხმდა და მამას დაუდგა მოჯამაგირედ. გავიდა დრო. ვაჭარს, მის ცოლსა და ვაჟს ძალიან შეუყვარდათ მწყემსი ბიჭი, სადილად იწვევდნენ, ხშირად ესაუბრებოდნენ. ისიც ახალისებდა მათ ტკბილი ამბებით, კარგი ქცევითა და ერთგული სამსახურით.

ახლა კი აბდულოსა და აპრორის ამბავი ისმინეთ:

იმ შემთხვევის შემდეგ აბდულო სხვა ქალაქს გაემგზავრა, საქმეები მოაგვარა, დროც გაატარა, ბოლოს შინ დაბრუნდა. აპრორმა მისი მოსვლა შეიტყო თუ არა, მაშინვე ცოლ-შვილის ამბის საკითხავად წავიდა. პასუხად აბდულომ მოახსენა:

— ვაი შენს მშობლებსა და ვუი შენი ცოლის მშობლებს! არ იცოდი, ვის ირთავდი? მის გამო რა ჭირში ჩავვარდი, დღესაც ვერ მოვსულვარ გონს. ვერ გეტყვი, რა იყო ის ქალი, მხეცი, დევი თუ ფერია, მაგრამ თვალსა და ხელს შუა კი გამიქრა. რაც მე ის ვეძებე, რა ალარ ვიღონე, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვეღარ მივაგენი, მხოლოდ საქმეს მოვცდი და ეგ იყოო.

ამ საზარელმა ამბავმა წელი მოსწყვიტა აპრორს. გულდამძიმებული მობ-

რუნდა შინ და მშობლებს ამცნო ყოველივე. მოხუცებმა თავში ხელი იცეს, დიდხანს იგლოვეს საყვარელი რძალი და შვილიშვილი. ბოლოს შვილს ურჩიეს, წადი, იქნება შენი ცოლ-შვილი სადმე მოძებნოო!

აპრორს ჭკუაში დაუჯდა მშობლების რჩევა და იმ წუთშივე გაეშურა აბდულოსთან.

— ჩემი ძმაო, ხომ იცი, ამ სოფელსა და მშობლიურ მთებს იქით არასდროს გამიხედავს. არც გზა ვიცი, არც კვალი, არც მდინარის სათავე, არც შესართავი! შენ მრავალი ქალაქი და ქვეყანა გაქვს მოვლილი, თუ მეგობარი ხარ, დამეხმარე, ცოლეურს გამომყევი, იქნება დედაშვილი იქ ვიპოვოო.

აბდულო ჯერ უარზე იდგა, მერე იფიქრა, მეპრუბონუ და მისი შვილი, ალბათ, უკვე ჩალპნენ იმ ჭაში, ჩემს საიდუმლოს ფარდა მაინც არ აეხდება, მე კი საქმეც მაქვს იმ ქალაქშიო, და დათანხმდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ორივე გზას გაუდგა. გადაიარეს ველი და უდაბნო, ზღვა და მთა და ბოლოს მიადგნენ იმ ქალაქს. კითხვა-კითხვით დიდვაჭარის სახლსაც მიაგნეს.

ვაჭარმა სტუმრები დიდი პატივით მიიღო, წვეულება გაუმართა და თავისი მეგობარი ყადიც დაპატიჟა. დიდხანს ისხდნენ და საუბრობდნენ. შეღამებისას კი ყადიმ ვაჭარს უთხრა:

— ხშირად გითქვამს, ჩემმა ობოლმა მოჯამაგირემ გაუგონარი ამბების მოყოლა იცისო. დაუძახე ერთი, მოგვიყვეს რამე, ყურს დავუგდებთ და ძილის წინ გულს გადავაყოლებთო.

დიდვაჭარმა მეპრუბონუს უხმო:

— იქნება რამე გვიამბო, სტუმრებს ესიამოვნებათ და უკეთ მოისვენებენ!

— მე ერთი საწყალი ბიჭი ვარ, არსად ვყოფილვარ, არაფერი მინახავს და

თქვენი მოსაწონი, აბა, რა უნდა გითხრათო!

— ნუ უარობ, თუ არაფერი იცი, ერთი კარგი ზღაპარი მაინც მოყევიო, — არ მოეშვა ვაჭარი.

— კეთილი, ერთ ზღაპარს მოგიყვებით, მაგრამ ზოგი თქვენგანი გამინანყენდება!

— არავინ განაწყენდება, ოღონდ შენ რამე თქვიო, — ერთხმად შესძახა ყველამ და მეპრუბონუმაც დაიწყო მოყოლა:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდვაჭარი. ეს ვაჭარი და იმ ქალაქის ყადი ისეთი მეგობრები იყვნენ, უერთმანეთოდ ერთ ფიალა ჩაისაც არ სვამდნენ. ერთხელ ვაჭარი და მისი ვაჟი უცხო ქვეყნებში გაემგზავრნენ. წასვლის წინ ვაჭარმა ცოლი და ქალიშვილი ყადის შეავედრა, მიმიხედეო. გავიდა ცოტა ხანი და ყადიმ ინახულა მეგობრის ოჯახობა. აქ თვალი მოჰკრა ვაჭრის ულამაზეს ასულს, გული შეუვარდა და ათასი ხრიკით თავის სახლში შეიტყუა. ქალი მიუხვდა განზრახვას და ყადის შანდალი ესროლა, მერე ხელიდან დაუსხლტა და გაიქცა. ყადიმ ითიქრა, ეს ამბავი რომ გახმაურდეს, ჩემს მეგობართანაც და ხალხშიც თავი მომექრებაო და, თავი რომ დაეზღვია, მეგობარს წერილი მისწერა, ასე და ასე, შენმა ასულმა თავი აიშვა და ულირს საქმეებს სჩადისო...

უეცრად ყადი ფეხზე წამოიჭრა და ბიჭს უყვირა:

— აქედან დაიკარგე, შე მანანალავ, შენა, მეზღაპრეობისა რა იციო!

ბიჭმა წასვლა დააპირა, მაგრამ ვაჭარმა არ გაუშვა:

— დაჯექი და გვითხარი, მერე რა მოხდაო!

— ვაჭარმა მიიღო წერილი და, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გამოეძია სიმართლე, ვაჟიშვილს უბრძანა, შინ მიდი და შენი და მოკალიო. ვაჟი შუალამისას

მიადგა სახლს, და ცხენზე შეიგდო, მიუვალ მთებში წაიყვანა და მოკვლა დაუპირა, მაგრამ გულმა დის მოკვლის ნება არ მისცა. ძმამ იფიქრა, აქ დავტოვებ, ან თვითონ მოკვდება, ან არა და მხეცები დაგლეჯენო და მიატოვა.

მშიერ-მწყურვალი ქალი მთებში დაეხეტებოდა, ვიდრე ერთი დეპუანის ვაჟს არ გადაეყარა. ამ ვაჟმა ქალი ცოლად შეირთო. დეპუანის ვაჟი მეტად კეთილი, წესიერი და ოჯახის მოყვარული კაცი იყო. მალე მათ შვილი შეეძინათ.

ქალი ბედის კმაყოფილი იყო, ოღონდ ეგ იყო, რომ სამშობლოსა და დედ-მამის ნახვის სურვილი ვერ ჩაიკლა გულში. ერთ დღეს თავისი დარდი ქმარს გაანდო. ქმარმა ცოლი სამშობლოს გაისტუმრა, მეგზურად კი ერთი მეგობარი გააყოლა. მეგობარს თურმე ის ქალი მოსწონდა და ბნელ ზრახვებს გულში იმალავდა. დრო რომ იხელთა, სურვილის ასრულება მოიწადინა, მაგრამ ქალი გაექცა დ ჭაში ჩახტა. ბევრს ემუდარა და ეფიცა ის სულმდაბალი კაცი, ამოდი, არას გავნებ, გაეხურეო, მაგრამ ქალი ვერ შეაცდინა. მაშინ იმ გამხეცებულმა პირუტყვმა ანგელოზივით ბავშვს სტაცა ხელი და მთელი ძალით დედას ესროლა. ბავშვმა იქვე დალია სული...

მოულოდნელად მდიდრის ვაჟი აბდულო ფეხზე წამოიჭრა და იყვირა:

— რაებსა ჩმახავ, შე ცრუპენტელა მეზღაპრევ, აქედან გაეთრიეო! — და საცემად იწია, მაგრამ აპრორმა თავისი მძლავრი მკლავები მოხვია, ადგილზევე დასვა და მწყემსს სთხოვა:

— მერე, მერე, რა მოხდა, თქვიო!

— მეორე დილით ქალის კვნესა ერთმა მწყემსმა გაიგონა და ორმოდან ამოიყვანა, ბავშვი იქვე დაკრძალეს. ქალმა უკანასკნელად დაიტირა შვილი, მერე მწყემსს ტანსაცმელი გაუცვალა და მამის სახლს მიაშურა.

აქ კი წამოხტნენ ყადი და აბდულო:

— იმ სახლში, სადაც სულელ მწყემსს უსმენენ, როგორ გავჩერდებითო! — და წასვლა დაპირეს, მაგრამ დიდვაჭარი, მისი ვაჟი და სიძე ცოცხალი თავით გარეთ არ უშვებდნენ.

ამასობაში მეპრუბონუ სხვა ოთახში შევარდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ქალის კაბაში გამოწყობილი გამოვიდა და განშორების დარდით გატანჯულ დედას გადაეხვია. ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლმა იწვიმა. დიდხანს, დიდ-

ხანს იხუტებდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს.

განრისხებულმა დიდვაჭარმა მთელ ქალაქს მოსდო ყადისა და აბდულოს უგვანო საქციელი და სასტიკად დასაჯა ორივე. მერე სულ ბოდიშები უხადა თავის ასულს და მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა. არც ის მწყემსი დავიწყებია, მეპრუბონუ რომ გადაარჩინა, მოძებნა და უხვად დაასაჩუქრა.

## არა, არა, ჩემი არ არის

ერთ ღამეს მუშფიყი\* ბუხარას ვიწრო ქუჩაბანდებში დაეხეტებოდა. ერთი ქუჩის თავში მთვრალი ნახა გაშოტილი. მუშფიყიმ ჯერ აქედან შემოუარა მთვრალს, მერე იქიდან, კარგად დააც-ქერდა და ქალაქის რაისი\* შეიცნო. მუშ-ფიყიმ ცხვირ-პირში წიხლიც კი უთავაზა, მაგრამ მთვრალი გონს ვერ მოიყვანა. მაშინ მუშფიყიმ ჩალმა მოხადა, ხალათი გააძრო და თან წაიღო.

დილით რაისი გამოფხიზლდა, რაის-ხონას\* მიაშურა და მსახურებს უბრძანა:

— წუხელ სახლი გამიძარცვეს, ჩალმა და ხალათი მომპარეს. გადით ქუჩებსა და ბაზრებში, თუ ვინმეს ჩემი ნივთები დაუნახეთ, დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო!

რაისის მსახურები გარეთ გაცვივ-დნენ და ხალხს დაუწყეს თვალიერება. უცებ რაისის ჩალმა-ხალათში გამოწყო-

ბილ მუშფიყის მოპერეს თვალი, სტაცეს ხელი და რაისს მიჰვარეს. განრისხებულმა რაისმა მუშფიყის უყვირა: ჩემი ჩალმა და ხალათი შენთან საიდან გაჩნდაო?

მუშფიყიმ მშვიდად მიუგო:

— ამბობენ, ჯერ გამოიკითხე, მერე დასაჯეო! წუხელ ღამით ქუჩაში ერთ გამომტყვრალ კაცს წავაწყდი, უგრძნობლად ეგდო მტვერსა და ტალახში. სამიოთხი წიხლიც ჩავაზილე, მაინც ვერ გამოვაფხიზლე. წამოვილე მისი ჩალმა და ხალათი და წამოვედი. თუ ის ლოთი თქვენ იყავით, ინებეთ, ჩემო ბატონოო!

მიხვდა რაისი, ცუდად იყო საქმე. ჩალმასა და ხალათს თუ დაიჩემებდა, საქვეყნოდ თავი მოეჭრებოდა და სასწრაფოდ შესძახა:

— არა, არა, ეს ჩალმა და ხალათი ჩემი არ არის, წადი, შენს საქმეს მიხედეო!

## წადი და შენც ხოჯა აპრორისა\* იყავიო!

ერთხელ მაშრაბ-დევონა ნამანგანელი\* ერთ დაფეხვილ ვირზე ამხედრდა და გზას გაუდგა. ხუჯანდი\* რომ გაიარა, მდინარის პირას ცხვრის ფარა და ნახირი დაინახა.

— ეს ფარა და ნახირი ვისიაო, — ჰკითხა დევონამ მწყემსებს.

— დიდებული ხოჯა აპრორისააო, — მიუგეს.

მაშრაბ-დევონამ გზა განაგრძო. ჯიზახს\* რომ მიაღწია, თვალწინ ვრცელი ყანები გადაეშალა.

— ეს მამულები ვისიაო? — ჰკითხა დევონამ დეპყანებს.

— დიდებული ხოჯა აპრორისაა.

მაშრაბ-დევონა სამარყანდში ჩავიდა, იხილა მისი დიდებული სასახლეები, აბანოები, დუქნები, ამწვანებული ბაღჩა-ბაღები, ხეივნები, მოჩუხჩუხე მდინარეები, წისქვილები და გამვლელს ჰკითხა:

— ეს ტაძრები, ბაღები და შენობები ვისიაო?

— ყველაფერი დიდებულ ხოჯა აპრორის ეკუთვნისო, — მიუგო გამვლელმა. მაშრაბ-დევონამ გზა განაგრძო.

ვიდრე თერმეზს\* ჩააღწევდა, რაზეც არ უნდა ეკითხა, ვისიაო, პასუხი ერთი იყო — დიდებული ხოჯა აპრორისაო.

მაშრაბ-დევონა ბოლოს ამუს\* ნაპირზე გამწკრივებულ მდიდარ ქარავანს წაადგა და იკითხა:

— ეს ვიღასიაო?

— დიდებული ხოჯა აპრორისაო!

გამწარდა მაშრაბ-დევონა, ამქვეყნად ყველაფერი ხოჯა აპრორისა ყოფილაო. ჩამოხტა ძირს, თავის საცოდავ ვირს ერთი მაგარი წიხლი უთავაზა და მიაყოლა:

— წადი და შენც ხოჯა აპრორისა იყავიო!

## ერთ ქვაბში ორნაირი კერძი როგორ მოიხარშება?

ერთხელ ერთმა კაცმა მოლა მუშფიყი დაპატიჟა. სტუმარი რომ მივიდა, მას-პინძელმა ჰკითხა:

— რა დაგიმზადოთ, ფლავი თუ შურბაო?<sup>\*</sup>

— კი მაგრამ, ერთ ქვაბში ორნაირი კერძი როგორ მოიხარშებაო? — მიუგო მუშფიყი.

რაღას იზამდა მასპინძელი, იძულებული გახდა, ფლავიც დაემზადებინა და შურბაც

სადილის შემდეგ წყურვილის მოსაკლავად მასპინძელმა მხოლოდ მწვანე ჩაი მოიტანა. მუშფიყი მიხვდა, მეტს აღარაფერს მოიტანენ და სხვათაშორის იკითხა:

— ძმობილო, ნესვსა და საზამთროს რომ შევექცევით, მერე სად უნდა მოვისვენოთო?

სხვა რა ჩარა ჰქონდა მასპინძელს, ნესვი და საზამთროც მოატანინა, მაგრამ დაიფიცა, დღეის იქით მოლა ჩემს სახლში ფეხს ვეღარ დადგამსო.

## შეიცვალები ტაქიპური ზღაპრეპისტვის

**ამჟ** – მდინარე ამჟ-დარია.

**ბეითი** – სალექსო ტაეპი აღმოსავლურ ლექსწყობაში, ორსტრიქონედი.

**დასტარხანი** – მცირე ზომის სახელდახელო ტკბილი სუფრა.

**დევონაჰუსაინი** – დევონა ნიშნავს „გიუს“, „ხელს“, ე.ი. „გიუს ჰუსაინი“, თუმცა აქ უფრო სა-ვარაუდებელია ლიტერატურული წყაროს გავლენა, სადაც ეს სახელი გმირს „მიჯნუ-რის“ გაგებით უნდა რქმეოდა.

**დეპუანი** – მიწის მუშა, გლეხი.

**თანგა** – ვერცხლის წვრილი ფული.

**თერმეზი** – ქალაქი შუა აზიაში.

**მექა** – ქალაქი საუდის არაბეთში, სადაც აღმართულია მუსლიმთა მთავარი სალოცავი – ქაა-ბა.

**მუშფიყი** – XVI ს-ის პოეტი. მის სახელს დაუკავშირდა მრავალი ხალხური ანეკდოტი.

**ნამაზი** – მუსლიმთა სალოცავი წესი, სრულდება დღეში ხუთჯერ.

**ნამანგანი** – ქალაქი შუა აზიაში.

**რაისი** – ქალაქის თავი, წესრიგის დამცველი.

**რაისხონა** – სამმართველო.

**რამაზანი** – მუსლიმური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე. ამ თვეში იცავენ მარხვას.

**რობაი** – სალექსო ფორმა აღმოსავლურ პოეზიაში, ოთხსტრიქონედი.

**ფადიშაპი** – მეფეთ მეფე აღმოსავლეთში.

**ფერი, ფერია** – ზღაპრული არსება, უმთავრესად ლამაზი ქალის სახით მოვლინებული.

**ფირმანი** – უზენაესი ბრძანების ქალალდი.

**ქარბოსი** – უხეში მიტკალი.

**ყადი** – მუსლიმთა მსაჯული, მოსამართლე.

**ყოთურმა** – ქვაბში ჩამცხვარი რბილი პური.

**შეიხი** – სარწმუნოების პირი, ორდენის წინამძღოლი, პატივსაცემი მოხუცი.

**შურბა** – ხორცის წვნიანი კერძი.

**ხათრიჭამად** – მშვიდად, დარწმუნებულად, იმედიანად.

**ხოჯა აპრორი** – მე-15 ს-ის ისტორიული პირი, მსხვილი მიწათმფლობელი და შეიხი.

**ხუჯანდი** – ქალაქი შუა აზიაში.

**ჯარჩი** – მუნადი, მაცნე.

**ჯიზახი** – ქალაქი შუა აზიაში..

## ხალხური დასთანი

### ბახტიარ-ნამე<sup>1</sup>

კარი პირველი  
ამბავი ბახტიარისა

გადმოგვცემენ, რომ ძველად, სულ ძველად, დიდი ხნის წინათ აჯამთა სამეფოში იყო მდიდარი და ძლევამოსილი ხელმწიფე, სახელად აზადბახთი. მას ჰყავდა ათი ვეზირი და ერთი სპასალარი. ამ სპასალარს ერთი ასული ესვა, მზისა და მთვარის დამწუნებელი. მამა მას გვერდიდან არ იცილებდა.

მოხდა ისე, რომ სპასალარი გაემგზავრა შორეული ოლქების შემოსავლელად, რათა ქვეშევრდომნი უსამართლოდ არავის დაეჩაგრა. სამართალი კი აღადგინა, მაგრამ ასულის დარდმა გულის საყელო გაუგლიჯა. ველარ გაუძლო, შიკრიკი აფრინა და ქალიშვილი თავისთან გამოითხოვა. ქარის უსწრაფესად ეახლა მალემსრბოლი ასულს და მამის დანაბარები გადასცა. გახარებული ასული თავისი ამალით უმალ განემზადა და გზას გაუდგა.

სწორედ ამ დროს იქვე ახლოს დიდებული ხელმწიფე ნადირობდა. ის იყო მეფემ ტყისკენ აფრინა შევარდენი, რომ უცებ თვალი მოჰკრა მდიდრულად მორთულ ტახტრევანს, მხევალნი და ხადუმნი რომ მოარწევდნენ. მეფემ მონა გაგზავნა ამბის გასაგებად. შეატყობინეს: სპასალარის ასულია, მამის სანახავად მიეშურებაო. ხელმწიფე დაუახლოვდა ასულის ქარავანს, სპასალართან რაღაცის დაბარება სურდა. ანაზდად ქარმა დაპერა, ტახტრევანს კალთა აუფრია-

ლა და ხელმწიფემ ასულს მოჰკრა თვალი. ეს იყო და ეს: გული განუგმირა სიყვარულის ისარმა, სანადიროდ გამოსული ნანადირევად იქცა.

რა მეფე გონს მოეგო, ქალის მსახურთ მიუბრუნდა:

— გული დავკარგე, სიყვარული ტვინში გამიჯდა. ახლავე კაცი გაუგზნეთ სპასალარს, ხელმწიფემ შენი ასული ისურვა და ცოლად ნაიყვანა-თქმ.

ერთმა მათგანმა მოკრძალებით შეჰკადრა:

— ეს ბედნიერება სპასალარს სიზმრად რომ ენახა, სიხარულისაგან გული გაუსკდებოდა, მაგრამ ყოველ საქმეს თავისი წესი და რიგი აქვს. თქვენ რომ ეს ასული ახლა ქალაქს ნაიყვანოთ, მჭვრეტელნი იფიქრებენ, ძალით მიჰყავსო, მითქმა-მოთქმა ატყდება. ის აჯობებს, ნება დაგვრთო, ქალი მამას მივგვაროთ, ეს ამბავი შევატყობინოთ, რათა სპასალარმა ამ უზენაესი წყალობით გაიხაროს და საკადრისი კრძალვითა და შესაფერი მზითევით ასული მეფეთ მეფეს მიჰყავოს.

როდესაც მსახურმა სიტყვა დაასრულა, შეპასუხებით განრისხებულმა მეფემ მისი დასჯა განიზრახა, მაგრამ შემდეგ გაითიქრა: ღმერთმა ნუ ჰყოს, ამით ქალიშვილი განვარისხო. ბრძანა, რომ ტახტრევანი მოებრუნებინათ და ყველამ სატახტო ქალაქს მიაშურა.

<sup>1</sup> ხალხური დასთანის (მოთხრობის) „ბახტიარ-ნამეს“ თარგმანი აღებულია კრებულიდან „ბალდადელი თვალთმაქცი“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1967 (რედ. შენიშვნა).

ოდეს მზის სხივებმა განგმირეს ზე-ცის შავი მოსასხამი და განაპრწყინეს იგი აღმოსავლეთით დასავლეთამდე, მგზავრებმა ქალაქს მიაღწიეს. მეორე დღეს მოიწვიეს მსაჯულნი და შარიათის კანონების მიხედვით ქალიშვილსა და მე-ფეს ჯვარი დასწერეს. სამეფოს დიდებულებმა სპასალარს მისალოცი უსტრები მისწერეს, მაგრამ ვაი, რომ უბედურ მამას ამის გაგონებაზე თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა!

თუმცა ხელმწიფეს ქორწინების წე-სი და რიგი სრულად დაეცვა, მაინც მის-მა თვითნებობამ და მსახურთა მითქმა-მოთქმამ სპასალარს გული ბოლმით აუვ-სო. მაგრამ არ შეიმჩნია და მადლობის წერილები დაგზავნა, ეს რა ბედი შემეყა-რაო. მეფესაც შეუთვალა: ენამ ვით აღ-წეროს ჩემი სიხარული, თავზე გვირგვი-ნი რომ დამადგი, დღეიდან უფრო ერ-თგულად მიმსახურეო. ეს კი დაწერა, მაგრამ მტრობა და შულლი გულში ჰქონდა ჩამარხული.

ფადიშაპი აზადბახთი ასულთან ტრფობის მორევში იყო ჩაძირული დღი-სით და ღამით. გავიდა ერთი თვე. ერთ დღეს სპასალარმა იხმო დიდებულნი, ვე-ზირნი და უთხრა:

– ერთი საიდუმლო უნდა გაგან-დოთ, ოღონდ, სულს გაფიცებთ, არავის-თან წამოგცდეთო.

მათ მოახსენეს:

– ბატონი ბრძანდებით, ჩენი თავი და უფროსი თქვენა ხართ, ეს სამეფო სულ თქვენ გემორჩილებათო.

სპასალარმა განაგრძო:

– ყველამ იცით, ცდა და ღონე არ დამიკლია სამეფო სამსახურში, სანაც-ვლოდ კი ფადიშაპისგან რა მივიღე? გზიდან ქალი მომტაცა, კაცობის კალთა ნაჯომარდობის ლაფით დამისვარა!

ამ სიტყვებზე სპასალარს სიმწრის ცრემლი გადმოსცვივდა. დიდებულებმა

ერთხმად შესძახეს:

– კარგა ხანია, ჩენიც ეს გვაწუ-ხებს. დადგა უამი, მეფე უნდა გავაძევო-თო!

სპასალარმა სალაროს კარი გააღო, ურიცხვი იქრო გასცა და დიდალი ლაშქარი შეკრიბა. აჯანყებულნი მეფის-კენ დაიძრნენ და ალყა შემოარტყეს. განსაცდელისაგან თავზარდაცემული ფადიშაპი ცოლს მიუბრუნდა:

– ეს ამბოხი ჩენი სიყვარულის გა-მოა, რამე უნდა ვიღონოთ, თორემ ვერც ეს ლამე გაგვითენდება და ვერც ეს ლაშქარი მოისვენებს. უმჯობესი იქნება, თუ აქედან გავიქცევით და თავს შევა-ფარებთ ქერმანის გულკეთილ შაპსო.

აზადაბახთის სასახლეს იდუმალი კარი ჰქონდა დატანებული. მეფემ სწრა-ფად აისხა იარალი, ცოტაოდენი განძი წამოილო და ცოლთან ერთად გამოვლო საიდუმლო კარი. გარეთ ისინი ამხედ-რდნენ წინასწარ გამზადებულ ცხენებზე და უდაბნოს გზას გაუდგნენ. ბედად ქა-ლის მშობიარობის დრო იყო. რამდენიმე დღე რომ იარეს, ერთ ჭას მიადგნენ. ჭა-ში მწარე წყალი ჩამდგარიყო, ირგვლივ ბალახიც კი გაემწარებინა. დედოფალს მუცელი ასტკივდა. უსაშველოდ ცხელო-და. წყურვილისაგან ცოლ-ქმარს პირი გაუშრა, სიცოცხლის იმედი გარდაუწყდა ორივეს.

ბოლოს დედოფალმა უთხრა:

– ჩემო საყვარელო! ტკივილისაგან ვეღარ დავდივარ. შენ თავს უშველე და სული გადაირჩინეო!

ფადიშაპმა მიუგო:

– სულზე უტკბესო, სამეფო შეიძ-ლება გასწირო, სიყვარული კი არ გაიწი-რებისო.

ამ ბჭობაში რომ იყვნენ, დედო-ფალს ვაჟი შეეძინა მზესავით ელვარე, და მთელი უდაბნო გაასხივოსნა. დედამ შვილი გულში ჩაიკრა, ძუძუ აწოვა, მა-

მამ კი დაასკვნა: ახლა შვილის დრო არ არის. უმჯობესია, ვაჟი აქ დავტოვოთ ღვთის ანაბარა. ღვთის წყალობა ხომ უნაპიროა და ბავშვს არ დაკარგავს.

ფადიშაპმა ბავშვი თავის ოქრომკედით ნაქარგ კაბაში შეახვია, მარგალიტის მძივი მკლავზე შეაბა და იქ დატოვა. უბედური მშობლები გზას გაუდგნენ და ათი დღის შემდეგ ქერმანს მიაღწიეს.

დღიდის პატივით მიიღო ისინი ქერმანის შაპმა, მეფური სადგომი მოუკაზმა, შემდეგ შვილი გაუგზავნა და მეჯლისზე მოიწია. უკრავდნენ მუტრიბნი, თან ცეკვავდნენ და ღვინით სავსე ფიალა ხელიდან ხელში გადადიოდა. როდესაც თასმა აზადბახთს მიაღწია, მას თვალთაგან ცრემლი გადამოსცვივდა. ქერმანის შაპმა შესძახა:

— გამხიარულდი, აქ ლხინის და ნიშატის ადგილიაო!

— ჰე, მეფეო, — მიუგო აზადბახთმა, — ვით ვიმხიარულო სამყოფთაგან მოცილებულმა, როდესაც ჩემს სამეფოსა და დოვლათს დუშმანი დაპატრონებიაო.

შემდეგ მან დაწვრილებით მოუთხრო ყოველივე ქერმანის შაპს. მისი საცოდაობით გულდამწვარმა შაპმა ლხინის დამთავრების შემდეგ იხმო თავისი უზარმაზარი ლაშქარი და აზადბახთს ჩააბარა. შეესია აზადბახთი ამ ლაშქრით თავის სატახტო ქალაქს, სასტიკად დაამარცხა სპასალარი, სხვაბმა კი შენდობა და პატიება ითხოვეს და დამორჩილდნენ. ისევ გამეფდა აზადბახთი და სამართლიან მართვა-გამგებლობას შეუდგა. მან უხვად დააჯილდოვა ქერმანელი მოლაშქრენი და უკან დააბრუნა, თან აურაცხელი საჩუქრები გაატანა ქერმანის შაპთან. დამშვიდდა თითქოს აზადბახთი, მაგრამ შვილის დარდი არ აძლევდა მოსვენებას, ჭის პირას რომ მიატოვა. მშობლები დარწმუნებულები იყვნენ, ბავშვს ან მხეცი შეჭამდა, ან სიცხე მოკლავდა აქამდეო.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ღმერთმა დაიფარა ბავშვი. იმ უდაბნოში ავაზაკთა ერთი ბრბო დაეხეტებოდა და ქარავნებს ძარცვავდა. ბელადად ერთი მამაცი კაცი ჰყავდათ, სახელად ფაროხსავარი. ერთხელ მათმა გზამ სწორედ ჭასთან ჩაიარა და ფაროხსავარმა ბავშვი შენიშნა. იგი სწრაფად ჩამოქვეებითდა, ბავშვი ხელში აიყვანა და ჩაილაპარაკა: რა ლამაზია, ნამდვილად უფლისწული იქნებაო. მარგალიტის მძივმა კიდევ უფრო განუმტკიცა ეს აზრი. ფაროხსავარმა ბავშვი იშვილა და სახელად ხოდადადი დაარქვა. სამშობლოში დაბრუნებისას მან იგი გააძიძავა. რა მოიზარდა ხოდადადი, ასწავლა მამობილმა წესი და რიგი, სიბრძნე და სიქველე. ისეთი ვაჟკაცი დადგა, ხუთას მეტოქეს ამარცხებდა. ფაროხსავარს ისე შეუყვარდა შვილობილი, წუთსაც ვერ ძლებდა უმისოდ, სულ თან დაჲყავდა სალაშქროდ და ქარავნების საძარცვავად. მაგრამ ხოდადადს ეს საქმე სამარცხვინოდ მიაჩნდა და მოქარავნებიც ძალზე ეცოდებოდა.

ბოლოს იგი მამობილს შეევედრა:

— თქვენ რომ სამეკობროდ წახვალთ, მე აქ დავრჩები, ქონებას და ციხეს ვუპატრონებო!

ფაროხსავარმა მიუგო:

— შვილო, უშენოდ ნათელი დღე მიპირებულდება. თუ ქარავნების ძარცვა არ გსურს, ისე წამოგვყევი, კუთხეში მიდექ სადმე, რათა შენის ხილვით ძალა მომემატოს ხოლმეო.

ერთი სიტყვით, თუმცა ხოდადადი დაჲყებოდა მეკობრეებს, მაგრამ ძარცვაში მონაწილეობას არ იღებდა, ტყვედ თუ ვინმე ჩავარდებოდა, მათაც ათავისუფლებდა.

ერთ დღეს ავაზაკები ისეთ ქარავანს დაესხნენ თავს, რომელთა გამყოლნი მათზე ვაჟკაცნი და მჯობნი აღმოჩნდნენ. ფაროხსავარი დაიჭრა და ის იყო, ტყვედ უნდა ჩავარდნილიყო, რომ ხოდა-

დადს გულმა ველარ გაუძლო, შორიდან ერთი დაიღრიალა და მტრებს დაერია. ჭაბუკმა დიდალი მოქარავნე გაულიტა, მაგრამ უეცრად მის ცხენს ფეხი თაგვის სოროში ჩაუვარდა, ნაიფორხილა და მხედარი ძირს დასცა. მტრებმა დრო იხელთეს და შეკრეს ხოდადადი. მალე ფაროხსავარიც დაატყვევეს. შებოჭილი ყაჩალები ქალაქში ჩაიყვანეს და შაჰ აზადბახთს მიჰვარეს.

აზადბახთმა თვალი მოჰკრა თუ არა ხოდადადს, მისი სიყვარული მყის გულში ჩაუვარდა. უმზერდა ვაუკაცს და ფიქრობდა: ჩემი შვილი ცოცხალი რომ დარჩენილიყო, ახლა ასეთი იქნებოდაო. თვალი რომ ვერ მოსწყვიტა, შაჰმა ხოდადადი გამოიხმო და სახელი იკითხა. ხოდადადიო, – მიუგო. შაჰმა წარბი შეიკრა:

– ასეთი გარეგნობა და სილამაზე მოუცია ღმერთს შენთვის, შენ კი ქურდობა და ძარცვა დაგიწყიაო.

ხოდადადი ატირდა:

– ღმერთმა ხომ უნყის, როგორ მძულდა ეს საქმე და ლუკმა ყელში არ გადამდიოდაო!

ფადიშაჰმა იგრძნო, რომ ჭაბუკი მართალს ამბობდა:

– კარგი, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ, ოღონდ მე უნდა მემსახუროო.

ხოდადადმა მორჩილების ნიშნად მინას აკოცა, მონობის საყურე ყურში გაირჭო და მეფეს ქება-დიდება უძღვნა. შაჰის ბრძანებით მას ხელები შეუხსნეს და მდიდრულად შემოსეს.

– სახელად შენთვის ბახთიარი და-მიდგენიაო, – დასძინა შაჰმა, – დღეის იქით ბედი შენი დაგმოყვრებოდესო!

ბახთიარს ამირახორობა უბოძეს, ხოლო დანარჩენ ქურდებს პირობა ჩამო-ართვეს, რომ აღარ იმეკობრებდნენ და ამ სამეფოში აღარ დარჩებოდნენ.

ერთი სიტყვით, ბახთიარი დღე და ღამეს ასწორებდა შაჰის სამსახურში. სა-

მეფე თავლა მან სანიმუშოდ მოაწესრი-გა, ცხენები დაასუქა და გაამრავლა. როდესაც შაჰმა ეს იხილა, გაიფიქრა, ასეთ კაცს თავლა კი არა, ხაზინა უნდა ჩავაბაროო. მართლაც, მეფემ ბახთიარი სასახლეში დაიბარა, სალაროს გასაღები და ბეჭედი გადასცა და უბრძანა:

– დღეიდან შენთვის ხაზინადარობა მიბოძებიაო!

ბახთიარმა მეფეს ქება-დიდება შეასხა. დღითიდლე უძლიერდებოდა ფადი-შაჰმა მისი სიყვარული, ყოველ წამს თა-ვისთან იბარებდა, მისი რჩევის გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდა, სულში იძვრენდა.

მეფე აზადბახთს ათი ვეზირი ჰყავდა. მათ ეს დაახლოება არაფრად ეჭაშ-ნიკათ, გულში ბახთიარის მტრობა გა-ნიზრახეს და ერთმანეთში მოითაბი-რეს, რამე უნდა ვიღონოთ, რათა ეს ქურდის შვილი მეფეს მოვაცილოთო.

მოხდა ისე, რომ ერთ დღეს ბახთია-რი სალაროში განისვენებდა, ნება-ნება შარაბს შეექცეოდა. უეცრად ძილმა თავი წარსტაცა. ლამის ნამაზის დრო გადავიდა, მეკარებმა სასახლის კარი ჩარაზეს და დაიშალნენ. ბახთიარს რომ გამოეღვიძა, უკიდურესი სიმთვრალისაგან გზა ვერ გა-იგნო, ბარბაცით გაუყვა და საკუთარი ოთახის ნაცვლად სამეფო განსასვენე-ბელში ამოჰყო თავი. სპილოს ძვლის ტახ-ტზე აბრეშუმით განყობილი ლოგინი იყო გაშლილი. გონებანართმეულმა ბახთიარმა ხმალი წინ დაიდო, ამ საწოლში გაიშ-ხლართა და ტკბილად დაიძინა.

რა მეფემ თავის საწოლში ბახთია-რი აღმოაჩინა, გაოცებულმა და განრის-ხებულმა შეუძახა:

– ჰეი, ბედურულო, აქ რას აკეთე-ბო?

ბახთიარი ძლივს წამოდგა, უაზ-როდ ხელი ჰკრა მეფეს, ტახტიდან გად-მოვარდა და კვლავ ძილს მისცა თავი. შაჰმა მსახურთ ბახთიარის გაბანვრა უბ-

რძანა, თვით კი ხმალმოლერებული შევარდა დედოფალთან:

— ახლავე მითხარ, რა უნდოდა შენთან იმ უკეთურს?!?

დედოფალმა გაოცებით მიუგო:

— მეფეთმეფეო, ვინ გაუძლოს ამ შეკითხვის შხამსა და სამსალას? მე მცირედი ბრალიც არ მიმიღვის და, თუ უცოდველს მომკლავ, შენვე ინანებ!

მეფის ბრძანებით იგიც შეჰქრეს.

ფადიშაპმა ლამე თეთრად გაათენა, ალიონზე დივანს მიმართა, ვეზირებიც მსწრაფლ გამოცხადდნენ, ქება მოახსენეს და თაყვანი სცეს. მეფე დუმდა, ჭმუნვის ნაკვალევს სახე დაედალა. პირველმა ვეზირმა, რომელიც მასთან შეთამამებული იყო, მუხლი მოიდრიკა და მეფეს შეჰქადრა: რატომ მოგიწყენია, მიზეზი გვიპრძანეო. რა შეიტყო საქმის ვითარება, ვეზირმა გაიფიქრა: ასი სულიც რომ ჰქონდეს ბახთიარს, ველარცერთი ვერ უნდა გადაურჩესო. შემდეგ მეფეს მიუგო:

— კაცი რომ უდაბნოში გაიზრდება, ქაურდობასა და სისხლის ღვრას მიეჩვევა, მისგან რას უნდა მოელოდე? ადრევე ვგრძნობდი ამას, ოღონდ ვერ შემოგკადრე, ახლა იგი ისეთი წამებით უნდა მოვკლათ, რომ ყველასთვის სამაგალითო იყოსო!

შაპმა ბახთიარის შემოყვანა ბრძანა. შემდეგ ასე მიმართა:

— შე უბედურო და არამზადავ! მე გულით მიგიღე, დაგიახლოვე, შენ კი გულში ღალატი გაივლე, ჩემი ჰარამის ხელყოფა განიზრახე და ხმალამოლებული ჩემს საწოლში მოხვედი!

საცოდავმა ბახთიარმა ეს რომ გაიგონა, ატირდა და მოახსენა:

— არაფერი მახსოვს, იქნებ სიმთვრალის გამო ამოვიღე ხმალი, ღვინომ თუ ავბედობამ მომიყვანა თქვენთან, მეტი არაფერი ვიციო.

ვეზირი წამოდგა და მეფეს შეჰქადრა:

— თუ ნებას მომცემთ, ჰარამში შევალ, დედოფალსაც დავეკითხები.

მეფემ დასტური მისცა. ვეზირი შევიდა ჰარამში, დედოფალს ეახლა და მოახსენა:

— ჰე, შვილო ჩემო, ეს რა ესმით ყურთა ჩემთა შენ შესახებ! — შემდეგ განუმარტა გაოგნებულ დედოფალს, რომ მეფე ბახთიარის გამო შენზეც განრისხებულია, თუ მისი გულის მოგება გსურს, ისე მოიქეც, როგორც მე გირჩევო. დედოფალი დათანხმდა. ვეზირმა განაგრძო:

— რა მეფე გიხმობს, მოახსენე, ეს ქურდის შვილი რომ დაიახლოვე და გაათავხედე, იცი, რამდენჯერ მომიგზავნა კაცი, ჩემი უნდა გახდეო? თუ არ დამთანხმდები, მოვალ, შენ დაგიმორჩილებ, მეფეს თავს მოვკვეთ და მთელ სამეფო-საც დავეპატრონებიო. ასე რომ ეტყვი, მეფე ბახთიარს დასჯის, შენ კი გამართლდებიო.

დედოფალმა ეს რომ გაიგონა, შეყოყმანდა:

— ეს ცოდვა ჩემს თავზე როგორ ავიღო და სხვას ცილი როგორ დავწამოო?

ვეზირმა დაამშვიდა:

— მას უდანაშაულოთა სისხლი მრავლად დაუღვრია, ამდენად, მისი სისხლის დაღვრა ალალია, შენი ცოდვა განკითხვის დღეს ჩემს კისერზე იყოსო.

ერთი სიტყვით, დედოფალი დაყაბულდა.

ვეზირი მეფესთან სახედაღრეჯილი შემობრუნდა.

— რა შეიტყვეო? — ჰკითხა მეფემ.

— ნუ მკითხავ, მეფეო, — მიუგო ცბიერმა ვეზირმა, — თქმა არ ძალმიდსო.

მაშინ შაპმა დედოფალი იხმო და მან ისე, როგორც ვეზირმა დაარიგა, ყოველივე მოახსენა. მეფემ შენდობა სთხოვა დედოფალს.

— მართალი ხარ, ჩემი ბრალია, ეს უთვისტომო ავაზაკი რომ შინ შემოვიყ-

ვანე და დღეს ასეთი ღალატით გადამიხადაო.

შემდეგ ხელფეხშებორკილი პას-  
ხთიარი ციხეს გააგზავნა, რათა აღსას-  
რულის ჟამს ისეთი სამაგიერო მიეზღო,

სხვებისათვის სამაგალითო ყოფილიყო. ვეზირიც გამოპრუნდა და სულ იმას ფიქრობდა, სხვა რა ვიღონო, რათა ბახ-თარის სიკვდილი დავაჩეკარო.

## პარი მეორე

რა დილა გათენდა, მეფესთან მეო-  
რე ვეზირი მივიდა და რჩევა-დარიგება  
დაუწყო:

– მეფეო, რას შეგიკეტია ციხეში ის  
ქურდის ნაშიერი, აღმართე ხმალი შენი  
მის მოსაკლავად და სხვათა შესაშინებ-  
ლადო!

მეფის ბრძანებით ბახთიარი მოიყვანეს და ჯალათიც განემზადა, რათა მისი სიცოცხლის ხის ფესვი მიწიდან ამოეგლიკა. ბახთიარმა ენა ამოიდგა:

- დღეგრძელი იყოს ფადიშაპი! აპა, მოვედი იქ, სადაც სულს უნდა გავეყარო, რადგან უზენაეს მსაჯულს უბრძანებია, ვინც სიკვდილის წინ თავის უცოდველობას ვერ დაამტკიცებს, სისხლი უნდა დალვაროს! ღმერთმა იცის, მე ამ ცილისწამებაში უბრალო და მართალი ვარ, მაგრამ ჩემი საქმე იმ დიდგაჭრის თავგადასავალს ემსგავსება, რომელსაც ბედმა ზურგი შეაქცია, რამდენსაც არ ეცადა, საწადელს ვერ მიაღწია.

შაჰემა ბრძანა: როგორ იყო ეგ ამბა-  
ვიო?

ბახთიარმა შეაპი დალოცა და დაიწყო ამბავი.

როგორც გადამოგვცემენ, ქალაქ  
ბასრაში იყო ერთი დიდვაჭარი, ურიცხვი  
ქონების პატრონი. ბედად მას ჩარჩი  
უკულმა დაუტრიალდა, ნათელი დღე და-  
უბნელდა, ავი ეტლი ამობრნყინდა მისი  
ზეცის თაღზე. სულ მცირე ხანში ვაჭარს

მთელი ქონება შემოეფანტა, ვაჭრობაში სარგებლის ნაცვლად მხოლოდ ზარალს პოულობდა. მოხდა ისე, რომ იმ წელს პური მეტად გაძვირდა. დიდვაჭარბა იიფიქრა: მოგზაურობას ჩემთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ის არ აჯობებს, დარჩენილი ფულით ხორბალი ვიყიდო და, მომავალ წელს ფასი რომ დაედება, მით სარგებლი ვნახოო!

მართლაც, ვაჭარმა ერთი ბეღელი დაიქირავა, რაც თანხა ჰქონდა, ხორბალი იყიდა და იმის ლოდინში იყო, როდის გაძვირდება პური, მოგება მოვიხვეჭო. მაგრამ იმ წელს პურის მოსავალი უხვი მოვიდა, ხორბალი გაიაფდა. ვაჭარმა გადაწყვიტა, ისევ მომდევნო წლამდე მოვიცდი, ვინძლო გაძვირდესო. ავი ბედის წყალობით იმ წელს დიდი წვიმები მოვიდა, ბეღელში წყალი ჩავიდა, ხორბალი დასველდა და ჭია გაუჩნდა. დამპალ ხორბალს მყრალი სუნი აუვიდა. ხალხი შეწუხდა. დიდვაჭარი იძულებული გახდა, ბეღელი გაეწმინდა და ხორბალი გადაეყარა. ასე გაკოტრდა და გაღატაკდა სავსებით ჩვენი სოვლაგარი.

მაგრამ იგი სულით მხნე იყო. უქ-  
მად ყოფნით რა გამოვაო, — გაიფიქრა  
ვაჭარმა, სახლი გაყიდა და ერთ ქარა-  
ვანს აედევნა ბედის საძებნელად. გზამ  
ზღვაზე გაიყვანა იგი, გემში ჩაჯდა და  
სამი დღე და ღამე იარა. უცრად ქარიშ-  
ხალი ამოვარდა, გემი ჩაიძირა, ხალხი

დაიღუპა. დიდვაჭარი ერთ ფიცარს ჩაებლაუჭა. ქარი იმ ფიცარს უგზო-უკვლოდ აცურებდა და რის ვაივაგლახით ბოლოს ნაპირზე გამორიყა. მშიერ-ტიტ-ველი ვაჭარი უდაბნოს გაჰყვა. ერთი ფარსანგი რომ გაიარა, შორით სოფელი გამოჩნდა. მსწრაფლ გაეშურა იქით და რა მიაღწია, მშვენიერი წალკოტი იხილა, ხილით სავსე ბალებით დამშვენებული. იმ სოფელს ერთი მდიდარი და გულუხვი დეპუანი განაგებდა.

რა დაინახა დეპუანმა დიდვაჭარი, მიხვდა, რომ უცხო და ყარიბი ვინმე უნდა ყოფილიყო. ბრძანა სადილის მირთმევა და რა დანაყრდა, საუბარი გაუბა. დიდვაჭარმა წვრილად მოუთხრო თავს გარდასული. დეპუანს გული მოუკლა მისმა უბედობამ. მან თავით ფეხამდე შემოსა ვაჭარი, დაუყვავა და ანუგეშა: ნუ იდარდებ, ჩემთან დარჩი და კვლავ გაგამდიდრებო. ვაჭარმა მადლობის ხოტბა შეასხა თავის კეთილისმყოფელს. დეპუანმა დიდვაჭარი მოურავად დანიშნა, მოსავლის მოვლა-პატრონობა დაავალა და მოგების მეათედი წილი დაუდო. გახარებული ვაჭარი დიდის გულისყურით შეუდგა საქმის შესრულებას.

სულ მალე მოსავლის აღების დროც დადგა. ვაჭარმა იანგარიშა და ნახა, მისი მეათედი წილი საკმაოდ უხვი გამოვიდა. იფიქრა, მოდი, ჩემს წილს ახლავე ავიღებ. თუ დეპუანმა იგი მიბოძა, ისევ დავაბრუნებ, თუ არადა, კუთვნილი შემრჩებაო. იფიქრა და შეასრულა კიდეც: მოსავალი აიღო, მეათედი იანგარიშა, ხორბალი მოაგროვა და ერთ გამოქვაბულში შეინახა. შემთხვევით ამ გამოქვაბულს ქურდი წაადგა, ლამე იდროვა და მთელი ხორბალი გაზიდა.

როდესაც დეპუანმა ანგარიში ჩაბარა და ნუსხა ჩაათვალიერა, დიდად კმაყოფილმა მოურავის მეათედს კიდევ წაუმატა და ისე დაასაჩუქრა, დიდვაჭარი სინდისმა შეაწუხა და მოწინებით გა-

მოუტყდა ბატონს:

— არ მეგონა, ჩემს წილს თუ მომცემდი, თავად ავიღე და გადავმალე, ახლავე მოგართმევო.

დეპუანმა კაცი გააყოლა. მივიდნენ, მაგრამ გამოქვაბულში ერთი მარცვალიც კი აღარ დახვდათ. გაოცებულმა დიდვაჭარმა სინანულით თითზე იქინა. ეს ამბავი დეპუანმა შეიტყო, აღშფოთდა, მოურავზე გული აიყარა და სოფლიდან მისი გაძევება ბრძანა. რაც მანამდე ებოძებინათ ვაჭრისთვის, ისიც წაართვეს.

საცოდავი და ბეჩავი დიდვაჭარი კვლავ გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთი ზღვის ნაპირს მიაღწია. იქ მარგალიტის მაძიებელი მყვინთავები იხილა. ერთ-ერთმა მათგანმა იცნო ვაჭარი და გამოესაუბრა. ვაჭარმა თავისი ამბავი მოუთხრო, მყვინთავებს შეეცოდათ და უთხრეს:

— ახლა ზღვაში ჩავდივართ, რასაც ამ ჯერზე ღმერთი გვიბოძებს, შენ მოგცემთო!

ექვსივე მყვინთავი ზღვაში შეცურდა და თითომ თითო მარგალიტი ამოიტანა ისეთი, რომლის მსგავსი მეფის ხაზინაშიც კი არ მოიპოვებოდა. მისცეს მარგალიტები ვაჭარს და გულმხიარული გზას გაუყენეს.

ზღვას რომ საკმაოდ დასცილდა, უეცრად დიდვაჭარს რამდენიმე ქურდი დაემგზავრა. მათი შიშით ვაჭარმა სამი მარგალიტი პირში ჩაიდო და იქ დამალა. ქურდებს გუმანიც არ ჰქონდათ, ამ მათხოვარს, რომელიც მათ პურს ჭამდა, რაიმე თუ ექნებოდა. მცირე გზა რომ გაიარეს, დიდვაჭარმა რაღაცის თქმა მოისურვა და პირიდან ძვირფასი თვლები გადმოსცვივდა. გაოცებული ქურდები ჯერ მარგალიტებს ეცნენ, შემდეგ — ვაჭარს. იმდენი აჯანჯლარეს, ეგებ კიდევ დავაგდებინოთ ან ვათქმევინოთ რამეო, რომ საბრალო სოვდაგარს გული წაუვი-

და. ქურდებმა იგი იქვე გზაზე დააგდეს და თვით მიიმაღნენ.

ერთი საათი გავიდა. ვაჭარი გონს მოეგო. მაშინვე დანარჩენი სამი მარგალიტი მოისინჯა, ძონძებში გახვეული რომ ჰქონდა. რა იხილა ისინი ადგილზე, გამხიარულდა, ძალა მოიკრიბა და გზა განაგრძო. ბოლოს ერთ ქალაქს მიაღწია. აქ გადაწყვიტა ვაჭარმა, მოდი, მარგალიტებს გავყიდი და გავმდიდრდებიო. გავიდა ბაზარში, ოქრომჭედლის დუქანი მოძებნა და თავისი განძი ჯავარფურულების აჩვენა. ჯავარფურულების მარგალიტების დანახვაზე სულმა წასძლია, საცოდავ ვაჭარს საყელოში ხელი სტაცა და შეჰყვირა:

– ცხადია, მოპარული ნივთია! მიშველეთ, ამ კაცმა გამძარცვა! რა უყავი დანარჩინო?!

ამ ყვირილსა და განევ-გამოწევაზე ხალხი შეგრივდა. ორივე მოდავე ფადი-შაჰის მიჰვარეს. არ გაჭრა ვაჭრის ვაებამ, არაფერი ვიციო. ჯავარფურულები ამ-ტკიცებდა, ამ კაცმა სახელი გამიტება, თვალ-მარგალიტით სავსე ზანდუკი მომპარა და, თუ მეფის ნება იქნება, ამ სამი მარგალიტის გარდა დანარჩენებსაც მოვატანინებო. რადგან იმ ქალაქში მარგალიტებით მოვაჭრეს პატიოსან კაცად იცნობდნენ, მისი სიტყვა ირწმუნეს. შაჰის ბრძანებით, ხელფეხშეკრული ვაჭარი საპყრობილები ჩააგდეს.

გავიდა ორი წელი. შემთხვევით ამ ქალაქში მოხვდნენ სწორედ ის მყვინთავები, რომელთაც უბედური დიდვაჭარი მარგალიტებით დაასაჩუქრეს. მათ ქალაქის დათვალიერება მოისურვეს, დაირეს თავით ბოლომდე, შემდეგ თქვეს, მოდი, პატიმრებიც ვნახოთო. ექვსივე საპყრობილები შევიდა. უცებ კუთხეში მიყუჟულ დიდვაჭარს მოჰკრეს თვალი. საბრალოს ჯაჭვის მძიმე კირთი ჰქონდა აკიდებული. გაოცებულმა მყვინთავებმა

ამბავი ჰქითხეს. ყოველივე მოუთხრო დიდვაჭარმა. მისი საცოდაობით მყვინთავებს გული დაეწვათ და უთხრეს:

– ნუ ინაღვლი, ჩვენ გიშველითო.

მყვინთავები სასწრაფოდ გამოვიდნენ ციხიდან და მეფის სასახლეს მიაშურეს. მათი უფროსი შეთამამებული იყო ფადიშაჰთან, რადგან ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ. წარუდგნენ თუ არა შაჰის, მან მაშინვე მოახსენა დიდივაჭარის უბედობა: ის მარგალიტები ჩვენ მივეცით და ჯავარფურულები ცილი დასწამა. შაჰის ფირმანით დიდვაჭარი უმალ გაათავისუფლეს და აცახცახებული ჯავარფურულები მეფეს მიჰვარეს. მან რისხვით შეუძახა: რას ერჩოდი ამ მართალ კაცსო? ჯავარფურულებს ენა წაერთვა. მეფემ მისი დასჯა ბრძანა და საქვეყნოდ, ყველას გასაგონად გამოაცხადა:

– ვინც უცხოს და ყარიბს დაჩაგრავს, ასე დაემართებაო!

ამის შემდეგ დიდვაჭარს ჯავარფურულების მთელი ქონება უბოძეს. უფრო მეტიც მოხდა, მეფემ მას სასახლეში დარჩენა და თვისი სამსახური შესთავაზა, რადგანაც იფიქრა, ამ კაცს წუთისოფლის ავი და კარგი, ტკბილი და მწარე გაუსინჯავს და გამომადგებაო. ვაჭარი სასწრაფოდ აბანოში განბანეს, მდიდრულად შემოსეს და ხაზინა ჩააბარეს. დაინტ ვაჭარმა მეჭურჭლეთუხუცესობა.

მეფეს ერთი ვეზირი ჰყავდა. დიდვაჭარის ალზევებამ მას შური და მტრობა აღუძრა. მარჯვე დროს ეძებდა, რათა მეფესთან დაესმინა და შეერისხა მოცილე. ერთ დღეს ვაჭარი ხაზინაში იყო. იმ ხაზინის კედელს იქით მეფის ასულის მოსავენებელი ოთახი მდებარეობდა. ექვს თვეში ერთხელ მოინახულებდა ხოლმე შაჰი ასულს. იმხანად ოთახი ცარიელი იყო, რადგან მეფის ასული აგერ ერთი თვე იყო, სასეირნოდ ბრძანდებოდა. ბე-

დად, თაგვს სწორედ ამ ტიხარში დაედო სორო. ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, დიდ-ვაჭარი სალაროში ტრიალებდა, შემდეგ კედელზე ლურსმნის მიჭედება განიზრახა, რაგინდარას დავკიდებო. ქვა რომ დაპ-კრა, იქიდან, სადაც სორო იყო, ერთი აგური გადმოვარდა და მეორე ოთახი გამოჩნდა. შეშინებულმა ვაჭარმა ტალახი მოზილა და ხვრელის ამოლესვა დაიწყო.

სად იყო და სად არა, ვეზირმა გამოიარა, დაინახა, ხელმოსვრილი ვაჭარი ხვრელს ავსებდა. მაშინვე ფადიშაპთან მიირბინა და დაპეზლა: ხაზინადარმა კედელი გაარღვია, შენს ასულს ესაუბრებოდა, მე რომ დამინახა, შიშისაგან ხვრელის ამოშენება დაიწყოო. გაოცებულმა შაპმა ხაზინას მიმართა, ნახა, რომ ვაჭარს ხელები მართლაც ტალახით ჰქონდა მოსვრილი. ჩანს, ვეზირს მართალი უთქვამსო, გაიფიქრა მან და ჯალათს უბრძანა, ვაჭარს ორივე თვალი დასთხარეო.

შემდეგ შაპი ასულთან გაეშურა,

მაგრამ მის ოთახში კაციშვილი არ დახვდა. მეფეს მოახსენეს, უკვე რამდენი ხანია, თქვენი ასული ქალაქგარეთ გავიდა, ბალებში ნებივრობსო. მეფემ ხაზინა დაათვალიერა, თაგვის სორო იხილა და მიხვდა, რომ ვაჭარი სრულიად უდანაშაულო იყო. საშინლად შეწუხდა ფადიშაპი, ორპირი ვეზირი დასაჯა, უბედური დიდვაჭარი კი უხვად დააჯილდოვა, მაგრამ დაგვიანებულ სინანულს, აბა, რა ფასი ჰქონდა?!

\*\*\*

რა დაასრულა ეს ამბავი ბახთიარმა, დასძინა:

— თუ დიდებული ფადიშაპი არ აჩქარდება და განმიკითხავს, სანანებელი ალარ დაურჩება. ჯერ შეიცადეთ და ნუ დამსჯით, ეგებ ჩემი უცოდველობაც გამულავნდესო.

დადუმდა ბახთიარი. დღე მიიწურა. დაფიქრდა მეფე, მოეწონა ბახთიარის სიტყვები და ბრძანა, კვლავ ციხეში წაეყვანათ დაბორკილებული.

### კარი მესამე ჰელაბის მეფის ამბავი

მესამე დღეს ფადიშაპს მესამე ვეზირი ეახლა, თაყვანი სცა და მოახსენა:

— მეფეთ მეფეო, მეშინია, რომ ბახთიარის ამბავი ქვეყანას არ მოედოს. ამით ხომ ბოროტმოქმედებს წავახალისებთ, სხვა მეფეთაგან კი საყვედურსა და გულისწყრომას დავიმსახურებთ. ბახთიარის სიცოცხლე მხოლოდ ჩვენი სახელის გატეხის მიზეზია.

შაპმა უმალ ბრძანა ბახთიარის მოყვანა და ჯალათის მიერ სასჯელის ალსრულება.

როდესაც ბახთიარს სიკვდილის წინ თვალის ახვევა დაუპირეს, მან შეჰყვირა:

— ო, დიდებულო ხელმწიფე! კარგად მოგეხსენებათ, თქვენს წინაპრებს საპყრობილე მისთვის დაუწესებიათ, რომ დამნაშავეს მიუჩინონ იქ ადგილი. ხოლო, თუ იგი უცოდველია, მისი სიმართლე მცირე ხნის შემდეგ თავს იჩენს ხოლმე. საპყრობილეს მფლობელს აჩქარება არ მართებს, რადგან აჩქარების ნაყოფი ტანჯვა და სინანულია. განა ასე არ დაემართა ჰელაბის ხელმწიფეს, რომელმაც აჩქარებით სამეფო დაკარგა, გაუბედურდა და მტერიც გაახარა!

ფადიშაპმა ჰკითხა, ჰელაბის ხელმწიფე ვინ იყო და ან რატომ აჩქარდა.

ბახთიარი მეფის წინაშე დაეცა, მინას ემთხვია და მოახსენა:

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ჰა-ლაბის ხელმწიფე, მოსამართლე და მორ-ჭმული, ღარიბთა და უპოვართა გამკითხავი. კაციშვილს მისგან ავი არ ენახა. ხელმწიფეს ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ბეჭიადი, ზრდილი და განათლებული. ერთი ნაკლი ჰქონდა უფლისწულს, მეტად სულსწრაფი და აჩქარებული იყო, თუ რამ გულში ჩუვარდებოდა, დაუყოვნებლივ სურდა მისი ასრულება.

ერთხელ ბეჭიადი თავის ძმაბიჭებთნ დროს ატარებდა, ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს მოუთხრობდნენ. ერთმა მათგანმა თქვა:

– ამ ორიოდე წლის წინ ვაჭრობას მივდევდი, დიდაბლი ქონება დავაგროვე. ერთხელ დატვირთული ქარავნით რუმს მივმართე. ქალაქს რომ მივუახლოვდი, თავს მეკობრენი დამეხსნენ და ერთიანად გამძარცვეს. გაუბედურებულმა გზა გავაგრძელე. დამაღამდა. უცებ ფეხის ხმა შემომესმა. შევშინდი და ხეს ამოვეფარე. გავიდა ხანი და გაოცებულმა სიმღერა გავიგონე. შემდეგ მაშალებმა გაანათეს იქაურობა და მთვარეზე უფრო ელვარე სახის მსახურნი გამოჩნდნენ, მხევალნი საკმეველს აკმევდნენ, მთელ მინდორს სურნელი მოეფინა.

გაიარეს თუ არა, ტახტრევანიც გამოჩნდა, ქაფურის შანდლებით გაცისკროვნებული. ტახტრევანს კალთები აკეცილი ჰქონდა, შიგ ერთი ასული იჯდა, რომლის სილამაზის სხივი შანდლებს აფერმკრთალებდა. თვალთ დამიბნელდა, ცრემლი წამსკდა. გონს რომ მოვედი, იქ უკვე აღარავინ იყო.

უცნობი ასულის სილამაზემ ბეჭიადი ააფორიაქა.

ნადიმმა განაგრძო:

– მოსვენება დამეკარგა. იმ ღამეს, განთიადამდე, ქალაქის სანახებს მივაღ-

ნიე. იქ შევიტყვე ერთი რუმელისაგან, რომ ღამე თურმე კეისრის ასული მინახავს, რომელსაც ქალაქგარეთ კოშკი ჰქონდა და იქ გასართობად დაიარებოდა.

რა ეს ამბავი სრულად მოისმინა, გამიჯნურებული ბეჭიადი ვეზირთან მივიდა და უბრძანა:

– მიდი და მამაჩემს მოახსენე, შენ, ალბათ, შვილზე ხელი აგილია და აღარ გედარდება, თორემ აქამდე თანამეცხედრე რატომ არა ჰყავს, ბავშვი ხომ არ არის-თქო. თუ ჩემი სიკეთე სურს, ქორწინებაზე იფიქროს.

ვეზირმა თავი მდაბლად დაუკრა, მონა-მორჩილი ვარო, მეფეს სასახლეში ეახლა და ყოველივე დანაბარები შვილისა გადასცა.

მიხვდა მეფე, სიყვარულის ქამი რომ დაუდგა მის ვაჟს და ვეზირის პირით შეუთვალა: შემატყობინე, ვისი სურვილი გდაგვას, ეგ რთული საქმეა და ასე ადვილად არ მოგვარდებაო. რა ისმინა ვეზირისაგან მამის სიტყვები უფლისწულმა, კვლავ შეუთვალა: რუმის კეისარს ასული ჰყავს, სახელად ნეგარინი, სასწრაფოდ ელჩები გაუგზავნე მამამისს და ჩემთვის ის ითხოვეო. ვეზირი ისევ მეფესთან გაბრუნდა. ხელმწიფე დააფიქრა და შეაწუხა შვილის სურვილმა. კარგად იცოდა, რუმის კეისარი მას, ჰალაბის მეფეს, თავს არ გაუყადრებდა, მით უმეტეს, რომ ისინი რჯულითაც განსხვავდებოდნენ.

მაგრამ ბეჭიადს არაფრის გაგონება არ სურდა, ეს საქმე აუცილებლად უნდა მოხდესო. ხელმწიფეს გაგიუებით უყვარდა შვილი და სხვა რა გზა ჰქონდა, მიუგზავნა ელჩები რუმის კეისარს და ასული რძლად ითხოვა. როდესაც წარგზავნილები კეისარს ეახლნენ და ჰალაბის ხელმწიფის თხოვნა მოახსენეს, კეისარი განრისხდა:

— მაგას, ვგონებ, თვალში ვეპატარავები. ჩემი ასულის ქებინი, ას ორმოცდათი ათასი დინარი, გაიღოს ჯერ და ქალი მერე ითხოვოსო!

როდესაც ეს პირობა ჰალაბის ხელ-მნიფეს გადასცეს, მან ბეჭიადს უთხრა:

— ხომ გითხარი, კეისარი არ დაგვთანხმდება-მეთქი! შენ კი არ დამიჯერე.

ვაუმა მიუგო:

— კეისარი დაგვთანხმდა, მაგრამ ას ორმოცდათი დინარი უნდა გავუგზავნოთო.

მეფეს გაეცინა:

— მე ასეთი თანხა არ გამაჩინია, ხაზინაში სულ ათასი დინარი მაქვსო.

ვაუმა უთხრა:

— რაც გაგვაჩინია, გავყიდოთო.

გაყიდეს მონა-მხევლები და მთელი ქონება, ორმოცდათი ათასი დინარი დაუგროვდა მამა-შვილს. უფლისწულის დაუინებით მეფე იძულებული გახდა, სამეფოს ნაწილიც გაეყიდა, მოსახლეობა გაეძარცვა და კიდევ სამოცდათი ათასი დინარი მით მოეპოვებინა. ასოცი ათასი დინარი ელჩების ხელით კეისარს მიართვეს, დანარჩენს მალე მოგაწვდით, ოღონდ ქორწინების თანხმობა განაცხადეთო.

კეისარმა მართლაც წყალობა გაიღო, საჩუქარს დაყაბულდა და თანხმობაც შემოუთვალა. გახარებულმა ბეჭიადმა ახლა დარჩენილ თანხას დაუწყო დებნა, რათა ქორწილი დაეჩქარებინა. ხელმნიფე გაჯიუტდა:

— შენ გამო გავლატაკდი, ხალხს ვეღარ შევავიწროვებ, სამეფოს მთლად ვერ დავკარგავო.

ბეჭიადმა გადაწყვიტა, შენ სამეფოს უპატრონე, მე წავალ და ვიშვიო. ბევრს ემუდარა მამა, ერთი წელი მოიცადე, ქვეშევრდომნი წელს მოიმაგრებენ და ლალას ავკრეფთო, მაგრამ ვაუი ვერ დაითანხმა. ერთი წელი კი არა, არც ნა-

ხევარი, არც სამი დღე არ მოიცადა უფლისწულმა. განრისხდა ხელმნიფე: სადაც გსურს, იქ წაბრძანდიო!

ბეჭიადმა ორი ერთგული მონა თან გაიყოლა და გზას გაუდგა. შეიარაღებულმა ჭაბუკებმა ქარავნების ძარცვით განიზრახეს საჭირო თანხის შოვნა. ერთ დღეს ისინი დიდ და მდიდარ ქარავანს წააწყდნენ. ქარავანი რუმს მიემართებოდა. ქარავანბაში გავლენიანი კაცი იყო, კეისართან დაახლოებული, მისი მსახურნი განთქმული იყვნენ სიმამაცით, ამიტომაც ვერავინ ბედავდა მათზე თავდასხმას. როდესაც ბეჭადი და მისი მხლებულები ყიფინით ეძგერნენ ქარავანს, შეიარაღებული მოქარავნენი მედგრად დაუხვდნენ. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. სულ მალე მეკოპრენი შეკრეს და მძიმე ბორკილები დაადეს. ქარავანბაშიმ გადაწყვიტა, კეისარს უნდა მივგვარო ისინიო.

სამი დღე ისვენებდა ქარავანი ერთ სადგომში. ჭკვიანმა ქარავანბაშიმ შეიტყო, რომ ბეჭიადს თავს მეფური შარავანდედი ედგა, ამიტომ ჩაეკითხა:

— შვილო, ეს რა მოგივიდა, მითხარი შენი ამბავი სრულად და შეგინდობ, თუ არადა, კეისარს მიგვირი და ჩამოგახრჩობენო.

ბეჭიადს სხვა რა ჩარა ჰქონდა, ყოველივე უამბო. დიდვაჭარს გული მოულბო ბეჭიადის თავგადასავალმა და უთხრა:

— ნუ იდარდებ, მაგ ოცდაათ ათას დინარს მე დაგიმატებ, კეისართანაც მიგიყვან და ასულს ჩაგაბარებ, ოღონდ იმ პირობით, რომ გახელმნიფდები, ჩემს ვალს დამიბრუნებო.

გახარებულმა ბეჭიადმა მტკიცე ფიცით შეპფიცა.

მეორე დღეს ხელფეხსნილი ბეჭიადი მდიდრულად შემოსეს, მსახურებით გარშემორტყმულს ოცდაათი ათასი დინარი ჩაგაბარეს და დიდვაჭართან ერ-

თად კეისარს წარუდგინეს. ჯერ დიდვაჭარი ეახლა კეისარს, ფული გადასცა და ბეჭზადის ამბავი მოახსენა, შემდეგ უფლისწულიც შემოიყვანეს. კეისარს ჭაბუკი მოეწონა, გვერდით მოისვა და პეითხა:

- რა გსურს, რით გასიამოვნოო?
- ბეჭზადმა მოკრძალებით მიუგო:
- ამქვეყნად მხოლოდ ნეგარინზე ვოცნებობო.

კეისარმა დასტური ბრძანა, ოღონდ ათი დღე მოითმინე, ვიდრე საქორწილოდ მოვამზადებთო. ბეჭზადმა შეიცხადა, მოთმინების თავი სადა მაქვს, ერთ დღესაც ვერ მოვიცდიო.

კეისარმა თავისი პირობა აღარ გადათქვა, დაჰყვა ბეჭზადის ნებას და წალკოტში მეჯლისის განყობა ბრძანა. ბეჭზადი დიდებულთა თანხლებით ბალში გაიყვანეს. იქვე მახლობლად თაბხანეში მოახლენი ნეგარინს რთავდნენ და კაზ-მავდნენ. სულწასულმა უფლისწულმა კედელში ხვრელი მოძებნა და იქიდან დაუწყო ჭვრეტა თავის სატრფოს. უცრად პატარძალმა თვალი მოჰკრა, რომ ხვრელიდან ვიღაც იყურებოდა. მას უცხო მამაკაცი ეგონა და უბრძანა მოახლეს, რკინის მაკრატელი ჩაეცა თავხედისთვის თვალებში. ბეჭზადმა ერთი შეჰყვირა და უგონოდ დაეცა. ორივე თვალი ამოთხრილი ჰქონდა.

ბეჭზადის ყვირილზე ხალხი შეგროვდა. რა თვალდათხრილი ბეჭზადი

იხილეს, მიწაზე საცოდავად რომ გორავდა, შეიქნა გლოვა და ტირილი. ლხინი ჭირად შეიცვალა. ეს ამბავი კეისარს მოახსენეს. მან შეიცოდა საბრალო ბეჭზადი, მაგრამ შემდეგ დაასკვნა:

- რაც მოუვიდა ამ ჭაბუკს, თავისივე აჩქარებისა და სულწასულობის ბრალია. ახლა კი უსინათლო სიძე მე არ გამომადგებაო!

ბეჭზადი სამშობლოში გაისტუმრეს. რა იხილეს ბრძანა უფლისწული, ზარი და გლოვა ატყდა ჰალაბის სამეფოში, მაგრამ რას იზამდნენ? სამეფო სხვას მისცეს, ბეჭზადმა კი დარჩენილი დღეები ტანჯვა-ვაებაში გაატარა.

\*\*\*

ბახთიარმა დაასრულა არაკი და დასძინა:

- ბეჭზადს ერთი დღე რომ მოეთმინა, ასულსაც მას მისცემდნენ, სამეფოსაც არ დაკარგავდა და ამდენ ჭირვარამსაც არ ნახავდა. ახლა თუ ფადიშაჲი ჩემს მოკვლას არ იჩქარებს და ციხის კარების გაღებას სამართლიანად მიიჩნევს, ჩემი უდანაშაულობა სულ მაღლე გამუღავნდება. ხოლო თუ მოვკვდი, გვიანდა იქნება სინანული და გულისტკივილსაც სარგებელი აღარ ექნება.

მეფეს მოეწონა ბახთიარის სიტყვები, კვლავ გადაიფიქრა მისი დასჯა და საპყრობილები გაგზავნა.

## პარი მეოთხე აბუ-საბირის ამბავი

ირიფრაუა თუ არა, მეოთხე ვეზირი ეახლა შაჲს და მოახსენა:

- დღეგრძელი იყოს მეფეთ მეფე! მოთმინება მეფეთ მოსაწონი და საქება-

რი თვისებაა, რადგან ქვეყანას მშვიდობით წარმართავს მხოლოდ დინჯი და დაკვირვებული ხელმწიფე. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და საზ-

ღვარგადასული მოთმინება შეიძლება სირცხვილის მიზეზი შეიქნას. წყალი ხომ წყაროა სიწმინდისა და შვებისა, თუ ზედმეტს დალევ, ზიანს მოგიტანს. ვში-შობ, ამდენს რომ უთმენ იმ ავაზაკის შვილს, სამეფოს რაიმე არ დაუშავოსო.

შაჰმა ბრძანა, ბახთიარი გამოეყვანათ და სიკედილით დაესაჯათ. კვლავ ამოიდგა ენა ბახთიარმა:

— გაგიხანგრძლივდეს უამი სიცოცხლისა, მეფეო! უმჯობესია, ნუ იჩქარებ მსჯავრის გამოტანისას. აჩქარებას სინანული მოსდევს ხშირად და მოუთმენლობას — დამცირება. მოთმინებითა დამეფო მოიპოვების და უბედურება განიდევნების. ისევე, როგორც შეემთხვა აბუ-საბირს, რომელმაც ტახტი და სამეფო მოიპოვა.

მეფე აზადბახთმა ჰქითხა: აბუ-საბირი ვინ იყო ან ეგ ამბავი როგორ მოხდა?

ბახთიარმა დაიწყო:

ასე მოგვითხრობენ მეზღაპრენი, რომ ოდესლაც ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად აბუ-საბირი. ორი რამ გააჩნდა მას მხოლოდ: დიდი ოჯახი და მოთმინება. სხვა არაფერი. მაგრამ სილარიბე მას არ აწუხებდა, ცხოვრობდა ტკბილად და უზრუნველად. სოფლის მცხოვრები ხშირად მიმართავდნენ რჩევისათვის ამ პატიოსან დერვიშს.

ერთხელ სოფელს მეფის გზირმა ჩამოუარა ხარკის ასაკრეფად. მან უწყალოდ ააწიოკა დიდი და პატარა, მოინდომა დადგენილ თანხაზე მეტის აღება და შავ დღეში ჩააგდო ხალხი. სხვა გზა აღარ დარჩა, შეიყარა რამდენიმე ჭაბუკი, თავს დაესხა გზირს, მოკლა და გაიქცა. სოფლელები აბუ-საბირთან მივიდნენ, მეფესთან წამოგვეუვი, ყველაფერი მოვახსენოთ, ეგების ჩვენი სიღატაკის გამო ეს შეცოდება შეგვინდოსო. აბუ-საბირმა შორს დაიჭირა:

— მე მოთმინების ღვინო დამილევია

და მაგ ამბავში არ გავრეულვარო.

აბუ-საბირის იმედი რომ გადაუწყდათ, აღარავინ წავიდა მეფესთან.

გზირის ამბავმა, როგორც იყო, მეფის ყურამდე მიაღწია. მან თავისი მონები გაგზავნა და სოფლელებს თუ რამ ებადათ, სულ წაართვა. ამ უბედურებას მეორე დაერთო: ლომმა დაიბუდა სოფლის სანახებში და მუსრი გაავლო კაცსა თუ პირუტყვს. მისი შიშით ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა, ხვნასა და თესვას თავი დაანება. კვლავ აბუ-საბირს მიმართეს სოფლელებმა:

— გვიშველე, შიშილისა და ლომის შიშით აყრა და სხვაგან გადასახლება გადავწყვიტეთ, შენ რას იტყვიო?

აბუ-საბირმა იგივე პასუხი გასცა:

— მოთმინების გარდა, მე სხვა ხელობა არ გამაჩნია, მაგ სიტყვებს კი ნუ გამაგონებთო!

იმედგადანყვეტილი ხალხი ისევ თავის სახლებს დაუბრუნდა.

მოხდა ისე, რომ მეფე იმ სოფლის მახლობლად ნადირობდა. სოფლის მცხოვრები ეახლნენ მას და ყოველივე მოახსენეს:

— ჯერ იყო და თქვენმა გზირმა დაგვაქცია, თავზეხელალებულმა ბიჭებმა იგი მოკლეს და გაიქცნენ, ჩვენ კი გვაზღვევინეს და აგვანიოკეს. ახლა აგერ სამი წელია, ლომმა დაგვიკარგა მოსვენება, სახნავად ვერ გამოვსულვართ გარეთ, შვილები და საქონელი გაგვიულიტაო.

მეფეს შეეცოდა ისინი და უბრძანა:

— აქამდე რად არ შემატყობინეთ თქვენი უდანაშაულობა, არ დაგსჯიდით, ან ლომის ამბავი რად არ გამაგებინეთ, დაგიცავდითო.

სოფლელებმა აბუ-საბირი დაასმინეს მეფესთან:

— ჩვენს სოფელში ერთი კაცია, მოთმინების მეტი არაფერი იცის. ჩვენ მოვდიოდით თქვენთან და მან არ გვირჩიაო.

განრისხდა მეფე და ბრძანა აბუ-საბირის სოფლიდან გაძევება, შემდეგ გაზავნა ორმოცდათი ვაჟუაცი და ლომი დააჭერინა.

მოკვეთილი აბუ-საბირი და მისი ცოლ-შვილი გზას გაუდგა. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, უეცრად ქურდებს გადაეყარნენ. საცოდავებს არაფერი გააჩნდათ. ქურდებმა იფიქრეს, შვილები მაინც წავგვაროთ, მონებად გავყიდოთო. იფიქრეს და აასრულეს კიდეც, მოსტაცეს აბუ-საბირს ვაჟები. საცოდავი მამა გამწარებული კვნესოდა: ვაი, რა დავიდაგე, მაგრამ უნდა მოვითმინო, იქნებ მოთმინებამ აავსოს ჩემი დავსებული სანთელიო.

ერთი სიტყვით, მთელი ღამე ორივემ შიმშილსა და გლოვაში გაატარა. დილით ერთი სოფელი გამოჩნდა, აბუ-საბირმა ცოლი შორიახლო დამალა, თვით კი სოფელს მიმართა, სადმე საჭმელს მაინც ვიშმვიო. აბუ-საბირის წასვლა და ავაზაკის გამოჩენა ერთი იყო. რა იხილა ქურდმა ლამაზი ქალი, თანაც მიხვდა, რომ ის აქაური არ იყო, ხელში ჩაგდება განიზრახა. მან ერთი მაგრად შეუყვირა, შეაშინა, დაავლო ქალსა და მის ბარგს ხელი და წაათრია. ცოლმა ისღა მოახერხა, რომ თითოთ ქვიშაზე ორიოდე სიტყვით დაუწერა ქმარს, რაც გარდახდა.

გავიდა ხანი. დაბრუნდა აბუ-საბირი და ცოლი ვერსად ნახა. ბოლოს მისი ნაწერი წაიკითხა, ტირილი აუვარდა და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო, შენ დაიფარე ის სუსტი არსება, მე კი მოთმენის ძალა მომეციო!

გაუდგა გზას აბუ-საბირი და მიადგა ქალაქს, სადაც ერთი ბოროტი ფადიშაპი მეფობდა. იმუამად ფადიშაპი კოშკს აგებდა, ვისაც ნახავდა, ყველას იჭერდა და მშენებლობაზე აგზავნიდა. აბუ-საბირსაც ეს დღე ეწია, შეიპყრეს, მძიმე ტვირთი აპკიდეს და კოშკის კიბეს შეუ-

ყენეს. წელი მოსწყდა საცოდავ აბუ-საბირს, მაგრამ მოთმინების გზას დაადგა.

მოხდა ისე, რომ იმ დღეს მეფე პირადად მობრძანდა მშენებლობაზე. შემთხვევით მან ყური მოჰკრა აბუ-საბირისა და ერთი კაცის საუბარს. აბუ-საბირმა ჰკითხა თავისი ბედის მოზიარეს:

— აქ კაცს თუ განიკითხავს ვინმეო? იმ კაცმა მიუგო:

— სამი თვეა, აქა ვარ, ცოლ-შვილის არაფერი ვიცი და ერთხელაც არ გამიკითხეს, ერთი ღამით არ გამიშვეს შინო.

აბუ-საბირმა დაამშვიდა:

— მოითმინე, დიდებულ ღმერთს უყვარს მომთმენი ხალხი, მალე გიხსნის ამ უბედურებისაგანო.

ყოველივე ეს გაიგონა ფადიშაპმა.

ცოტა ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ დასუსტებული აბუ-საბირი კიბიდან გადმოვარდა და კინაღამ ხელ-ფეხი მოიტეხა. ფადიშაპი განურისხდა:

— ეი, ყარიბო, რას თვალთმაქცობ! განა არ ვიცი, კიბიდან განგებ გადმოვარდი, მუშაობა არ გინდა, სხვებსაც აქეზებდი, მოითმინეთ, თქვენც გეშველებათო.

ფადიშაპმა ბრძანა აბუ-საბირის გაჯოხვა და ციხეში ჩაგდება. აბუ-საბირმა მუხლებზე დაიყრდნო თავი და ღმერთს შეაცემდა იმედით.

ღამით მოულოდნელად ბოროტ მეფეს მუცელი ასტკივდა და მეორე დღეს გარდაიცვალა. რადგან მას მემკვიდრე არ დარჩა, ქალაქის მოსახლეობა შეიკრიბა და მის სიკვდილსა და ახალი მეფის არჩევაზე ბჭობდა. მათ დაასკვნეს, ალბათ, მეფე ჩაგრულთა ვედრებამ მოკლა, ციხეში უნდა მივიდეთ, პატიმრებს სამი კითხვა დავუსვათ, ვინც სწორად უპასუხებს, მეფედ ის ავირჩიოთო. მართლაც ასე მოიქცნენ. აბუ-საბირის პასუხი ყველას მოეწონა. იგი ციხიდან გამოიყვანეს, აბანოში განბანეს, სამეფო სა-

მოსით შემოსეს, ცხენზე შესვეს და სა-  
სახლეში მიიყვანეს. გამეფდა აბუ-საბი-  
რი, ყველა მორჩილად მსახურებდა მას.  
მანაც ისე წაიყვანა საქმე, რომ ხალხი  
დიდად კმაყოფილი იყო. ბოროტებამ და-  
ტოვა ის ქალაქი და მისი სამართალი  
საქვეყნოდ გაისმა.

ერთხელ სასახლეში ორი მოდავე  
მოვიდა და სამართალი ითხოვა. ერთი  
ვაჭარი იყო, მეორე კი ის ავაზაკი, რო-  
მელმაც აბუ-საბირს შვილები წაართვა.  
აბუ-საბირმა მაშინვე იცნო იგი, მაგრამ  
არ შეიმჩნია, ვნახოთ, რას იტყვიანო. ვა-  
ჭარმა მოახსენა:

— ამ კაცმა ორი მონა მომყიდა,  
ისინი კი არ მემორჩილებიან, ჩვენ მონე-  
ბი არა ვართ, ამან მოგვიტაცაო. ახლა  
თქვენი უბრწყინვალესობის წინაშე მო-  
ვიყვანე, უბრძანეთ, მონების საფასური  
უკან დამიბრუნოსო.

აბუ-საბირი ქურდს მიუბრუნდა,  
შენ რას იტყვიო?! ქურდმა თავი იმარ-  
თლა: ეს კაცი მონებს ცუდად ექცეოდა,  
ამიტომ იგონებენ თავისუფლებასო.

მაშინ მეფემ ბრძანა, რათა ის მო-  
ნები მოეყვანათ. აბუ-საბირმა მაშინვე  
იცნო შვილები, მათ კი ის ვერ იცნეს და  
შიშისაგან ტირილი დაიწყეს. აბუ-საბირ-  
მა მათ ვინაობა ჰქითხა, შემდეგ კი ჰა-  
რამში შეიყვანა. ვაჭარს მისი ბრძანებით  
ხაზინიდან მისცეს კუთვნილი თანხა,  
ქურდი კი საპყრობილები შეაგდეს.

გავიდა რამდენიმე დღე და ამჯე-  
რად ქალი და კაცი მოადგნენ სასახლეს  
და სამართალი ითხოვეს. ქალი აბუ-სა-  
ბირის ცოლი იყო, კაცი კი ის ავაზაკი,  
რომელმაც იგი გაიტაცა. კაცი ჩიოდა,

ჩემი ცოლი არ მემორჩილებაო.

აბუ-საბირის შეკითხვაზე, ქმარს  
რად არ უჯერებო, ქალმა უპასუხა:

— ეს ჩემი ქმარი არ არის, ძალით  
წამომიყვანა და მე ჩემს ნამდვილ ქმარს  
აბუ-საბირს ვერ ვუდალატებო.

აბუ-საბირმა ქალი სასახლეში შეიყ-  
ვანა, ქურდი კი შეიპყრო.

შემდეგ მეფემ იხმო მთელი ქალა-  
ქის მოსახლეობა, დიდნი და მცირენი.  
გამოიყვანეს საპყრობილედან ქურდები  
და მოუთხრო ყველას აბუ-საბირმა თავს  
გარდასული:

— მხოლოდ მოთმინება ავირჩიე  
ჩემს იარაღად და მაღალმა ღმერთმა  
წყალობის დღე გამითხნაო! — შვილები  
დედ-მამას გადაეხვივნენ. ქურდები ძელ-  
ზე ჩამოკიდეს. აბუ-საბირი დიდხანს მე-  
ფობდა სვებედნიერი, ხოლო მისი სიკ-  
ვდილის შემდეგ ტახტზე მისი მემკვიდ-  
რენი ავიდნენ.

\*\*\*

ბახთიარმა დაასრულა არაკი და  
დასძინა:

— მხოლოდ მოთმინებით მოიპოვა  
აბუ-საბირმა ტახტი და სამეფო. ნამდვი-  
ლად ვიცი, მალე შეიტყობ ჩემს უცოდ-  
ველობასო.

აზადბახთი კარგ გუნებაზე დადგა  
და ბახთიარი აღარ დასაჯა, კვლავ საპ-  
ყრობილები გაგზავნა.

## პარი მესუთე იემენის შაჰის ამბავი

მეხუთე დღეს მეფეს მეხუთე ვეზი-  
რი ეახლა და მოახსენა:

— ვშიშობ, ავაზაკი ჩვენს სამეფო-  
ში თავს მშვენივრად გრძნობენ, რადგან

მეფე იმდენად გულჩვილია, ბახთიარიც კი ვერ დაუსჯია და მაღე სამეფოსაც დაკარგავსო.

აზადბახთმა მაშინვე იხმო ჯალათი და ბახთიარიც მოაყვანინა. ბახთიარმა ენა ამოიდგა და ამეტყველდა:

– დღეგრძელო მეფეო, თუ რამდენიმე დღესაც არ აჰყვები ცილისმნამებლებს და არ მომკლავ, გავმართლდები და მით დიდ სიხარულს მოგგვრი, ისევე, როგორც იემენის შაპმა გაიხარა, როდესაც თავის მონას შეუნდო.

მეფემ ჰკითხა: ეგ როგორდა მოხდაო? ბახთიარმა დაიწყო:

ასე მოგვითხრობენ და გადმოგვცემენ, რომ იემენის სამეფოში იყო ერთი ბოროტი ფადიშაპი, რისხვა მსახურთა და ახლობელთა. იგი უხვად ღვრიდა უდანაშაულოთა სისხლს. შაპს ერთი მონა ჰყავდა, სახელად აბრაჰე; ზანგთა მეფის შვილი იყო, მონბაში შემთხვევით ჩავარდნილიყო და ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. შაპს მეტად უყვარდა აბრაჰე და საჭურველმტვირთველად ჰყავდა.

ერთ დღეს იემენის შაპი სანადიროდ გაემგზავრა. უეცრად ქურციკი წამოუხტა. შაპი მას ცხენით გამოეკიდა და ისარი სტყორცნა. ასცდა შაპის ნასროლი. უკან აბრაჰე მოჰყვებოდა, მანაც ჰკრა ისარი ქურციკს, მაგრამ საბედისნეროდ მისმა ისარმა შაპს ყური წააგლივა. იფეთქა სისხლმა. გამნარებულმა შაპმა მონის სიკვდილი ბრძანა. აბრაჰე შეევედრა:

– შაპმა ხომ იცის, ამ ცოდვაში ბრალი არა მაქვს. ისარი ქურციკს ვტყორცნე. თუ შაპი ამ დანაშაულს შემინდობს, თვით მიიღებს ცოდვათა შენდობას და მაღალი ღმერთის მფარველობასა და წყალობასაო.

რა ისმინა მეფემ ღვთის წყალობა, შეცოდებათა შენდობის იმედით აპატია

აბრაჰეს უნებლიერ მარცხი და სასახლეში დაბრუნდა.

ახლა ზანგთა მეფის ამბავი ისმინეთ. მას შემდეგ, რაც შვილი დაკარგა, ზანგთა მეფეს მისი ძებნა არ შეუწყვეტია. შიკრიკები ჰყავდა ყოველ მხარეს დაგზავნილი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, სწორედ იმ ხანებში, როდესაც აბრაჰეს ნადირობისას მარცხი შეემთხვა, ზანგთა მეფემ შეიტყო მისი ადგილსამყოფელი. მან იხმო ვეზირი და ეთათბირა, თუ როგორ დაეხსნა ვაჟი იემენის შაპის მონობისაგან. ვეზირმა ურჩია:

– მათავარი ის არის, იემენის შაპმა არ გაიგოს აბრაჰეს ვინაობა, თორემ საქმე გართულდება. უმჯობესია, ვინმე ვაჭარი მივუგზავნოთ და მან ფარულად გამოაპაროს თქვენი შვილი იემენიდან.

ეს რჩევა მეფეს მეტად მოეწონა. მისი ბრძანებით იხმეს ერთი გამოცდილი ვაჭარი, უხვად დატვირთეს საქონლით, აუხსნეს დავალება და გზას გაუყენეს. რა ვაჭარი იემენს ჩავიდა, მოძებნა აბრაჰე და მამის დანაბარები გადასცა. ვაჟი სიხარულით ცას ეწია. იმავე ღამეს აბრაჰე ვაჭართან ერთად ფარულად გაიქა და სწრაფი ჭენებით სულ მაღე სამშობლოს მიაღწია. ვაჟის მშვენებით გახარებულმა ზანგთა მეფემ ურიცხვი საბოძვარი გასცა.

მეორე დღეს იემენის შაპმა აბრაჰე მოიკითხა, მაგრამ მონა ვერსად აღმოჩინეს. გულნატკენმა შაპმა გასამხიარულებლად ზღვაში გასეირნება ისურვა. მეზღვაურებმა გემი გააწყვეს, შაპი და მისი მხლებლები ზედ ავიდნენ, ღვინით დატვირთულ სუფრას მიუსხდნენ და ლხინი დაიწყეს. უეცრად დღე ჩამობნელდა, ამოვარდა სასტიკი ქარი, ტალღა ტალღას ასკდებოდა. ქარმა გემი გაიტაცა, უზარმაზარ ტალღას შეახეთქა. გაისმა საშინელი ლანალუნის ხმა და გემი ნამსხვრევებად იქცა. იემენის შაპმა

ძლივს მოასწორო და ერთ ფიცარს მაგრად ჩაებლაუჭა.

ხუთი დღე და ხუთი ღამე ათრია ღელვაშ ფიცარი და ბოლოს ნაპირზე გამორიყა. ხალხი შემოესია ღონენართმეულ შაჰს, რომელსაც ხმის ამოღების თავიც არ ჰქონდა. საცოდავს წყლულები შეუხვიეს და მცირეოდენი ერთო პირში ჩასხეს, რათა ყელი დარბილებოდა. როგორც იქნა, შაჰმა ძლივს იყითხა, სად ვიმყოფებიო. უთხრეს, რომ ეს ზანგთა ქვეყანაა და სატახტო ქალაქამდე ხუთი ფარსანგიაო. შაჰი ტაატით გაუყვა გზას.

ქალაქს რომ მიაღწია, უკვე საღამო იყო. ბაზრის კარი დაკეტილი დახვდა, ბინა ვერსად დაიდო. ბოლოს ერთი აივნის ქვეშ მოკალათდა და ძილს მიეცა. თურმე ის სახლი ერთ დიდვაჭარს ეკუთვნოდა. იმ ღამეს ქურდები შეიპარნენ, აივანზე მძინარე ვაჭარს და მსახურებს ყელი გამოსჭრეს და სახლი გაძარცვეს. აივნიდან ჩამოწვეთილმა სისხლმა სამოსი შეუსვარა იემენის შაჰს, მაგრამ მან ეს ძილში ვერ შეიტყო.

უეცრად ატყდა წივილ-კივილი, დილამ შუქი მოჰვინა საზარელ მკვლელობას. როდესაც სისხლში ამოსვრილი შაჰი წამოხტა, იგი უმალ შეიპყრეს, როგორც ვაჭრის მკვლელი და მეფესთან წაიყვანეს. ზანგთა მეფემ უბრძანა:

— ჰეი, ყარიბო, სხვა ჩემზე სუსტი ვერავინ ნახე, აქ რომ გაბედე სისხლის დაღვრა? ჩქარა გამოტყდი, ქონებას რა უყავი, ან შენი მეგობრები რა იქნენო?

შაჰმა აუხსნა:

— უბედური ვაჭარი ვარ, გემი ზღვაში ჩამეძირა, უგზო-უკვლოდ ვეხე-ტებოდი და ამ აივნის ქვეშ ჩამეძინა. ახლა კი შემიპყრეს, გინდა თუ არა, ქურდი ხარო.

მეფემ შენიშნა:

— ტანისამოსი სისხლიანი რადა გაქვსო? — არ ვიციო, მიუგო შაჰმა. განრისხდა ზანგთა მეფე და მისი

სიკვდილი ბრძანა. იემენის შაჰი შეევედრა:

— მეფეო, ნუ იჩქარი ჩემს სიკვდილს, ერთხელაც იქნება, დარწმუნდები, რა უდანაშაულო ვარო.

დიდებულებმაც ურჩიეს მეფეს მოცდა, რადგან, ღმერთმა ნუ ქნას, ეს რომ მოვკლათ, მისი თანამზრახველნიც გაგვექცევიან და ვეღარც ნაქურდალს მივაკვლევთო. მაშინვე საპყრობილეში უკრეს თავი უცოდველ შაჰს.

ციხის მახლობლად ერთი მინდორი იყო, შუაში წყარო ჩამოუდიოდა. პატიმრები ყოველდღე იქ სეირნობდნენ და ხელ-პირს იბანდნენ. ასეთი წესი იყო: კვირაში ერთხელ მეფე მობრძანდებოდა და საჩივრებს იმ მინდორში განიხილავდა. დიდი და მცირე თავს იყრიდა ხოლმე პატიმართა სასეირნო ადგილას.

ერთ დღეს მეფე წესისამებრ მინდორს გავიდა. აბრაჰამ თან ახლდა. გამოიყვანეს პატიმრები. ვერც აბრაჰამ და ვერც იემენის შაჰმა ერთმანეთი ვერ იცნეს. უეცრად ერთი ყვავი მოფრინდა და კედელზე ჩამოჯდა. იემენის შაჰმა რაღაც ძვალი აიღო და ჩაიფიქრა: თუ ამ ყვავს ჩამოვაგდებ, ციხიდან თავს დავიხსნიო. სტყორცნა, მაგრამ ყვავს ასცდა ძვალი და აბრაჰამ ყურში მოხვდა. უფლისწული ცხენიდან გადმოვარდა.

ატყდა აურზაური. დამნაშავე პატიმარი შეიპყრეს და მეფეს მიჰვარეს. აბრაჰამ შეჰერები:

— ძალლო, ჩიოდი, სხვამ იქურდა, მე უდანაშაულო ვარო. ახლა ხომ გამოჩნდა შენი სიცრუე!

უბრძანეს ჯალათს, მისთვის ყელი გამოეჭრა. იემენის შაჰმა ხმა ალიმალლა:

— მოსამართლე მეფეო, სწორად განსაჯე, განა ყურს ყელი შეესაბამება? ყურის წილ ყური მომჭერითო.

მეფემ უსმინა მას, მაგრამ როცა ჯალათმა ბრძანების შესრულება დაპირა, ალმოჩნდა, რომ პატიმარს მხოლოდ

ერთი ყური ება. გაოცდა მეფე: ეს ადრეც ქურდობდა, ალბათ, ერთი ყური უკვე გაატანა ქარსო. აბრაჟემ კი დაუმატა:

– თუ გსურს, რომ შეგინდო, მართალი გვითხარ, რა შეგემთხვაო?

იემენის შაპმა ყოველივე წვრილად მოახსენა:

– დღეგრძელი იყავ, მეფეო, და უნყოდე, რომ მე იემენის შაპი ვარ. ერთი მონა მყავდა, აბრაჟე ერქვა, ნადირობისას ისარი ქურციკს სტყორცნა, შემთხვევით მე მომხვდა და ყური მომკვეთა. პატიება მთხოვა და შევუნდე, რადგან მიყვარდა. შემდეგ ის მონა დამეკარგა. ერთხელ გემით ვსეირნობდი, ვლხინობდი. ქარიშხალმა გემი ჩამიძირა, მე ერთ ფიცარს შევრჩი. ტალღამ გამომრიყა და ამ ქალაქს მოვალნიე. ერთი აივნის ქვეშ ჩამეძინა, მერე ცილი დამწამეს და ციხეში მოვხვდი. ბედუკულმართობის გამო ძვალი ვისროლე და ასეთ ცოდვაში ჩავდექიო.

ზანგთა მეფემ რა ეს მოისმინა, თვალი აუცრემლდა. შემდეგ აბრაჟეს მიუბრუნდა:

– აბა, ამ კაცს კარგად დააკვირდი, ხომ არ გეცნობაო?

რა დაკვირდა, იცნო აბრაჟემ და

ფერხთ ჩაუვარდა იემენის შაპს. შემდეგ ორივემ შენდობა ითხოვეს ერთმანეთისაგან. სასწრაფოდ შესვეს იემენის შაპი ცხენზე და აბანოში გააგზავნეს, შემდეგ მდიდრულად შემოსეს და მეფის სასახლეში მიიწვიეს. ზანგთა მეფემ იგი უხვად დააჯილდოვა მონებით, მხევლებითა და ცხენებით.

ორი თვე სტუმრად ჰავდათ იემენის შაპი და აბრაჟე დღედაღამ ემსახურებოდა მას. ამასობაში ვაჭრის მკვლელი ქურდები იპოვეს. ზანგთა მეფემ ათას-გვარი პატივითა და დიდალი ლაშქრით სტუმარი სამშობლოში გაამგზავრა. აბრაჟემ რამდენსამე გადასავალზე გააცილა იგი. შაპი მშვიდობით ჩავიდა იემენს და ტახტზე აპრანდა.

\*\*\*

ბახთიარმა დაასკვნა:

– იემენის შაპს რომ აბრაჟესათვის შეცოდება არ შეენდო, საბოლოოდ ბედს ვერ ეწეოდა. ვიცი, ბოლოს ჩემი უდანაშაულობაც გაირკვევა და ესოდენი ჭირი ლხინად შემეცვლებაო!

მეფეს მოეწონა ბახთიარის სიტყვა და გამხიარულდა. ბახთიარი კვლავ საპყრობილეში წაიყვანეს.

## პარი მეექვსე მეფე დადგარის ამბავი

მექვსე დღეს მეექვსე ვეზირი ეახლა აზადბახთს, მუხლი მოიყარა და მოახსენა:

– მეფეო, ვინც კი შენამდე ყოფილა, მტრის გარჩევა სცოდნია და არც მისი დასჯა დაუყოვნებია. მტერი, რაგინდ სუსტი იყოს, მაინც საშიშად და მძლავრად მიაჩინათ. და მტრობა ამ ქურდის შვილზე უფრო აშკარად ვის გაუმჟღავნებია? მისი საპატიმროში მო-

თავსება საკმარისი არაა, იგი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა.

მეფემ ბრძანა ბახთიარის მოყვანა. ჯალათმა ხმალი ამოიწვდინა.

ამ დროს ამეტყველდა ბახთიარი:

– მეფეო, მიმძიმს ხმის ამოლება, მაგრამ ასე უდანაშაულოდ რომ მოვკვდე, არ მინდა, რადგან ჩემი სისხლი ჩემსავე კისერზე იქნება. თანაც, თუ აჩქარებით მომკლავ, ვინძლო მერე არ ინანო, რო-

გორც მეფე დადგარმა ინანა ქამგარის სიკვდილი. მე არც გაქცევის თავი მაქვს და არც წინააღმდეგობის ძალა. როცა გინდა, მაშინ მომკლავ, მაგრამ მკვდარს კი ვეღარ გამაცოცხლებ. ბოლო უამს დანანებას სარგებელი არა აქვსო.

აზადბახთმა ჰკითხა: მეფე დადგარის არაკი რომელიაო? ბახთიარმა დაინტერ:

როგორც მოგვითხრობენ, იყო ერთი მეფე, სახელად დადგარი. მას ორი ვეზიონი ჰკითხდა, ერთს ერქვა ქამგარი, მეორეს – ქარდარი. ქამგარს ერთი ასული ჰკითხდა, გაზაფხულის სადარი. ერთხელ მეფე დადგარი სანადიროდ გაემგზავრა, ქამგარი თან გაიყოლა, ქარდარი კი თავის ნაცვლად დატოვა სასახლეში.

ერთ დღეს ქარდარი რაღაც საქმის გამო ქამგარის სახლში მოხვდა. მოულოდნელად ბალში მან თვალი მოჰკრა მშვენიერ ასულს, რომელიც პერანგის ამარა ჩრდილში ნებივრობდა. რა ქარდარმა მისი მშვენება იხილა, გულში სიყვარულის ცეცხლმა იფეთქა და წამსვე გრძნობა დაჰკარგა. გონს რომ მოეგო, გარეთ გამოვიდა დაფიქრებული, სულ იმის ცდაში იყო, როგორ აესრულებინა გულისწადილი.

ქარდარმა კარგად იცოდა, რომ ამაყი ქამგარი მას ქალს არ გაატანდა. უმჯობესია, ფიქრობდა იგი, მეფე რომ დაბრუნდება, მის წინაშე შევაქებ ასულის სილამაზეს. მეფე უთუოდ მოიხიბლება და შეირთავს კიდეც. შემდეგ, დრო რომ გაივლის, ასულს რაიმე ცილს დავნამებ. რა მეფე მის დასჯას განიზრახავს, შევეხვენები, მიბოძოს მისი თავი და ამრიგად მივაღწევ მიზანსო.

მართლაც, მეფე რომ დაბრუნდა, ქარდარი წინ მიეგება. მეფემ ქალაქის ამბები იკითხა. ქარდარმა მოახსენა:

– მეფის დღეგრძელებით, ყოველივე რიგზეა, ოღონდ ერთი ისეთი რამ ვნახე, რაც არც მენახა და არც მსმენო-

და მანამდეო.

მეფე გაოცდა, ასეთი რა იყო? ვეზიორმა ასულის ამბავი ამცნო და გარეგნობა აუწერა. მეფეს უნახავად შეუყვარდა ვეზიორის მშვენიერი ასული. მან სასწრაფოდ იხმო ქამგარი, თავისი სურვილი შეატყობინა, თანაც დასძინა:

– ამას იმიტომაც მოგახსენებ, რომ ჩემის სიძეობით შენი ღირსება ამაღლდება, ჩემს შემდეგ სამეფოს შენ გაუდღებიო.

ქამგარმა მოახსენა:

– დიდო მეფეო, მე მრავალი ასული მყავს და ყველა სიხარულით ინატრებს თქვენს მონობას, მაგრამ, თქვენ რომ ბრძანებთ, ის უკვე სრულწლოვანია და ჩემი მორჩილების ჩრდილიდან გამოსული. თუ ნებას მომცემთ, გადავცემ ყოველივეს, მივიღებ მის თანხმობას და შემდეგ იმსახურეთ თქვენი მონა-მორჩილიო.

მეფე დათანხმდა.

რა ქამგარმა მეფის დანაბარები თავის ასულს გადასცა, ქალი უარზე დადგა:

– რა მაქვს მეფესთან საერთო, მე მხოლოდ მალალ ლმერთს ვემორჩილები. არ იცი, ბრძენთ რა უთქვამთ: მეფეთა სამსახური მდინარეა აბობოქრებული და ცეცხლია აბრიალებულიო.

ქამგარი დაფიქრდა: რაიმე უნდა მოვიფიქროთ, პირდაპირ უარი რომ მიიღოს, ჩემს სისხლს დალვრის მეფეო. ასულმა ურჩია:

– ამჟამად უმჯობესია, მეფეს ჩვენი თანხმობა გადასცე და რამდენიმე დღე გამოითხოვე მოსამზადებლად. ამასობაში ფარულად უნდა გავიპაროთ და ამ სამეფოდან გადავიკარგოთ.

მაშინვე ეახლა მეფეს ქამგარი და მონიწებით შეჰკადრა:

– ჩემი ასული ბედნიერი იქნება, თუ შენს მონად იმსახურებ, ოღონდ ათი დღე უნდა გვადროვოო.

მეფე სიხარულით დათანხმდა. ქამ-გარმა თავისი საქმე მოაგვარა და იმავ ლამით გაიპარნენ ის და ასული მისი. მე-ორე დღეს მეფემ რომ ეს შეიტყო, ორა-სი მსახური დაადევნა გაქცეულებს. მდევრებმა მდინარის პირას იპოვეს ისი-ნი, მაგრად შებოჭეს და მეფეს მიჰვა-რეს.

— სად გარბოდი, შე უბედურო! — შეჰერირა განრისხებულმა მეფემ, დაჲ-კრა კვერთხი ვეზირს და სული გააფ-რთხობინა. შემდეგ ვეზირის ასულს მი-უბრუნდა, მაგრამ მისმა სილამაზემ გუ-ლი დაუტყვევა. აღარ დასაჯა და სასახ-ლეში გაგზავნა. ასულს თავისი მოახლე-ნი თან ჰყავდა, გარდა ერთი მსახური ბიჭისა. ამ მსახურმა წერილი მისწერა ასულს, მეფეს შემავედრე, მეც შენს თავს მაახლოსო. მეფემ შეიწყნარა ასუ-ლის თხოვნა და ის შინაყმაც მიჰვარეს მას სასახლეში. ასული დღედაღამ ლოც-ვაში იყო, ღმერთს ევედრებოდა შეველას.

ქარდარს უკვე მოსვენება და მოთ-მინება დაეკარგა, მაგრამ უეცრად მეფის მტრებმა წამოყვეს თავი. მეფემ სასწრა-ფოდ შეყარა ლაშქარი, ქვეყანა ქარდარს ჩააბარა და საომრად გაემართა. ქარდა-რის ფიქრს მხოლოდ ასულის დარდი ღრღნიდა. იგი ხელსაყრელ უასს უცდი-და. ერთხელ ბანზე გამოსულმა ქარდარ-მა ქვემოთ აივანზე წამოწოლილ ასულს მოჰკრა თვალი. მან კენჭი სტყორცნა ქალიშვილს. ასულმა აიხედა, მიესალმა ვეზირს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ქარდარმა დრო იხელთა და გული გადაუხსნა ლამაზმანს:

— რა ხანია, შენის ტრფობით ვიდა-გები, ყოველ წუთს შენზე ვოცნებობ, როდის გამომიწვდი ხელს? თუ გსურს, ერთად გავიქცეთ ამ ქვეყნიდან, ქონება იმდენი მაქვს, ორივეს გვეყოფა და არა-ფერს მოგაკლებ. თუ არადა, მეფეს მოვ-წამლავ, ტახტზე შენ აგიყვანო.

ასულმა აღშფოთებით აღსავსე პა-სუხი გასცა:

— უსირცხვილოვ, შენს კეთილის-მყოფელს ღალატით უხდი სამაგიეროს? მერე მე რა პასუხი უნდა გავცე ღმერთს, შენ რომ დაგთანხმდე!

ქარდარი გაოცდა: მეფემ მამა მო-გიყლა და კიდევ მას იცავო?

ასულმა მიუგო:

— შენ მეფის აღზრდილი და ნაწყა-ლობევი ხარ, მაგრამ არ უფასებ, რა გა-საკვირია, თუ ვერც მეფემ დააფასა ერ-თგული სამსახური მამაჩემისაო?

ქარდარი მიხვდა, რომ ასულს ვერ დაიყოლიებდა. მას შეეშინდა, ვაითუ ასულმა ყოველივე მეფეს მოახსენოს, სიკვდილი არ ამცდება და რაიმე უნდა ვიღონოო. ბოლოს გადაწყვიტა, დაეს-წრო და თვით დაესმინა ასული მეფის წინაშე. ერთი სიტყვით, ვეზირი ამ ფიქ-რში იყო, რომ დიდის ზარ-ზეიმით დაბ-რუნდა გამარჯვებული და ძლევამოსილი მეფე. ქარდარი სხვა დიდებულებთან ერთად წინ მიეგება, მორჩილებით მიწას ემთხვია და შორიახლო გაჲყვა თავის მბრძანებელს.

ვეზირი ქვეყნის ამბებს მოახსენებ-და მეფეს, მერე ფრთხილად შეაპარა:

— სვებედნიერო შაჰო, დიდი და მცირენი შენი მონა-მორჩილნი არიან, მაგრამ ერთი ისეთი რამ გავიგე, სათ-ქმელად მიმძიმს და თქვენს შეშფოთებას ვერიდებიო.

მეფემ უბრძანა:

— ახლავე მითხარ ყოველივე, ნუ მოგერიდებაო!

ქარდარმა მოახსენა:

— დღეგრძელი იყოს მეფის დიდბუ-ნებოვნება! წათქვამია, როდესაც გველს მოკლავ, მისი წინილაც მიაყოლეო...

ერთ დღეს ჰარამის კართან ვიჯექი. საუბრის ხმა მომესმა, ორნი კამათობ-დნენ. ყური რომ მივუგდე, ვიცანი, ერთი

ქამგარის ასული იყო, მეორე – მისი მსახური ბიჭი. ასული მსახურს უსაყვედურებდა: მაოცებს შენი საქმე, ძლივს დავითანხმე მეფე და აქ შემოგიყვანე, შენ კი გამირბიხარ და მე უნდა გეძებო. ხომ იცი, ბავშვობიდან მიყვარხარ და მამაჩემიც შენს ამბავს გადაჰყვა. ახლა იმას ვცდილობ, როგორმე მეფე მოვწამლო და შენ შეგირთო, ჩემო თვალის ჩინზე უფრო ძვირფასომ! – მეტის მოსმენა აღარ შემეძლო, წამოვედი და ამ ბოლმამ ლამის დამახრჩოსო.

რა მეფემ ვეზირისაგან ეს გაიგონა, სიბრაზისაგან აცახცახდა, ფერი წართვა და გაშმაგებული შევარდა სასახლეში. ხალხი მიიფანტ-მოიფანტა. მეფემ მსახური ბიჭი შემოაყვანინა და ერთის დარტყმით წელამდე ორად გაკვეთა. შემდეგ ასულს მიუბრუნდა:

– ეს შენა ხარ, ჩემი სიკვდილი რომ გადაგიწყვეტია და მსახური ამოგირჩევია?

ქალმა ხმის ამოღება სცადა, მაგრამ მეფის ღრიალმა გააწყვეტინა: ახლავე მსახურის კვალს გაგაყოლებო. ბრძანა, ისიც ორად გაეკვეთათ.

ეჯიბი შეევედრა:

– უწყი, მეფეო, ქალის მოკვლა სააუგო საქმეა, თავს ნუ შეირცხვენ! ის აჯობებს, ხელ-ფეხი შევუკრათ, აქლემს ავკიდოთ და უდაბნოში გავუშვათ. ფიქრი ნუ გაქვს, წამებით ამოხდება სულიო.

მეფეს რჩევა მოეწონა. ერთი სიტყვით, აქლემი უდაბნოს გზას გაუდგა. გავიდა რამდენიმე დღე. ასულს საშინლად მოსწყურდა და ღმერთს შესთხოვა:

– ღმერთო დიდებულო, შენ ხომ იცი, მე უბედურს ცოდვა არ მიმიდლვის. თუ სასიკვდილოდ გამიმეტე, რამდენიმე წვეთი წყალი მარგუნე, რათა პირი გავისველო და კიდევ ერთხელ ვახსენო მხოლოდ შენი სახელიო.

რა ასულმა ღოცვა დაასრულა, მაშინვე მისი აქლემი დაწვა და იმ ადგი-

ლას წყარო ამოჩუხჩუხდა. ასულს ბორკილები დასცვივდა და საცოდავი ხარბად დაეწაფა წყალს. შემდეგ ასული განიბანა და ღოცვად დადგა. წყაროს ნაპირებზე ბალახი ბიბინებდა. აქლემი დანაყრდა, შემდეგ კი ისე წამოიმართა, რომ მისი ჩრდილი ქალს დასცემოდა.

მოხდა ისე, რომ სამეფო მწყემსა აქლემები დაჰკარგოდა და იმ არემარეში დაეძებდა. შემთხვევით მან ასულის აქლემს მოჰკრა თვალი, თავისი ეგონა და მისკენ გამოეშურა. წყარო რომ ნახა მწყემსმა, მიხვდა, სასწაული ასულის წყალობით უნდა მომხდარიყო, თორემ აქ წყაროს რა უნდოდა. მაშინვე გაიფიქრა, მოვიცდი, ვიდრე ღოცვას დაამთავრებს და შემდეგ ვთხოვ, ეგებ ჩემი აქლემებიც მაპოვნინოსო.

ასულმა ღოცვა დაასრულა და მწყემსს მიესალმა. მოხუცმა მწყემსმა მას მამა-შვილობა შესთავაზა. ქალი დათანხმდა. მწყემსი მიხვდა, რომ ასული მშიერი იყო და პურში გამოხვეული ქათმის ნახევარი გაუწოდა. ასული რომ დანაყრდა, მწყემსმა სთხოვა, ერთი ყათარი აქლემებისა დავკარგე, მეფის შიშისაგან სული მელევა, ვეძებ და ვერ მიპოვია. ღმერთს შენ შეევედრე, იქნებ გისმინოს და მომაძებნინოსო. ასულმა ცას შეხედა და ხელები აღაპყრო: ღმერთო, აქლემები ამ საცოდავისა არ არის, იგი სხვას ემსახურება, წყალობა ჰყავ და აქლემები გამოაჩინეო.

ასულს ჯერ ღოცვა დაასრულებული არ ჰქონდა, რომ შორით აქლემთა ქარავანი გამოჩნდა. მწყემსი ის იყო, უნდა გაჰკიდებოდა ქარავანს, რომ აქლემები თვითონ გამოემართნენ მათკენ. გახარებულმა მოხუცმა ღმერთს მადლობა შესწირა და ასულს მიუბრუნდა:

– რა გინდა ამ უდაბნოში, სადაც მრავლად დაძრნიან საზარელი მხეცები. წამოდი ჩემთან, კუთხეს მიგიჩენ, მოგივლი და გიპატრონებო.

ქალი მაშინვე დათანხმდა. მწყემსმა ასული თავის აქლემზე შესვა, ქარავანი გაამწკრივა და ქალაქისკენ დაიძრა. ძილისპირული ნამაზის შემდეგ სახლს მიაღწიეს. ქალი მთელ დროს ლვთისმოსაობაში ატარებდა. ერთ დღეს მწყემსი მეფეს ეახლა და სხვა ამბებთან ერთად ასულის თავგადასავალიც მოახსენა. ისიც დასძინა, ამჟამად ჩემთან არისო. მეფეს გულმა უგრძნო და ტურფა ასულის ნახვა ისურვა.

მწყემსი და მეფე ქალის სადგომთან შეჩერდნენ, ვიდრე ის ლოცვას დაასრულებდა. ქალი გამოვიდა, მეფემ უმაღიცნო ქამგარის ასული, გადაეხვია და პატიება სთხოვა. ასულმა მიუკო:

ყოველივეს დავივიწყებ იმ პირობით, თუ ამ ოთახში დაიმალები და, როდესაც ქარდარს მოვიწვევ, მის ნაუბარს მოისმენ და ჩემს უცოდველობაში დარწმუნდებიო.

მეფე დაჰჰყვა მის ნება-სურვილს.

ქალმა მაშინვე უბრძანა მწყემსს:

– წადი ქარდართან და მოახსენე, ქამგარის ასული ჩემთან არის და შენი ნახვა სურს-თქო.

მცირე ხანში მობრუნდა შიკრიკი და მზაკვარი ვეზირიც თან მოჰყვა. ქარდარმა საყვედურით აავსო ასული:

– ო, ქვეყნის სულო და გულო! აკი გეუბნებოდი, მეფემ მამაშენს რა უყო, შენ რას გიზამს-მეთქი! არ გერჩია, დაჰყოლოდი ჩემს რჩევას, გავქცეულიყავით ერთად, ანდა მეფე მოგვენამლა? შენ არ

მისმინე, აქაოდა, სირცხვილიაო, ჩვენი მწყალობელიაო. ხედავ, უმანკოსა და უცოდველს რა დღე გაყარა? დაკარგვის შემდეგ ათი მსახური დაგადევნე, ვერსად გიპოვეს. ახლა ტანჯვა-წამება ლხინით უნდა შეგიცვალო. ოლონდ ჩემი გახდი, შენი მონა-მორჩილი და არშიყი ვიქნები სიკვდილამდე. იმდენი ქონება მაქვს, ჩიტის რძეს არ მოგაკლებო.

ის იყო, ვეზირი ასულს ფეხებში ჩავარდნას უპირებდა, რომ თმენადაკარგული მეფე გამოვარდა სამალავიდან და დაშნის ერთი დაკვრით თავი წააგდებინა მოლალატეს. ასული დიდის ზარ-ზეიმით სასახლეში წაიყვანეს. ბევრს ნანობდა მეფე, რატომ მოვკალი ერთგული ვეზირი ქამგარიო, თვალს ვერ უსწორებდა მის ასულს, მაგრამ ნაგვიანებ სინანულს, აპა, რა სარგებლობა აქვს!

\*\*\*

ბახთიარმა ამბავი დაასრულა და შემდეგ დაუმატა:

– მეფეს რომ მოეთმინა და ქამგარი არ მოეკლა, თანაც ქარდარის შეგონებით ასული უდაბნოში არ გაეძევებინა, ამ სირცხვილსა და სინდისის ქენჯნას გადარჩებოდა. შენც, მეფეო, ჩემ სიკვდილს თუ არ დააჩქარებ და კვლავ ციხეში მამყოფებ, მალე დარწმუნდები, რა უდანაშაულო ვარო!

აზადბახთის ბრძანებით ბახთიარი საპყრობილეში წაიყვანეს.

## კარი მეშვიდე ერაყის მეფისა და ჰაბაშის შაჰის ამბავი

გათენდა დილა და მეშვიდე ვეზირი ეახლა მეფეს:

– მეფეო, ველარ ვუძლებ ამდენ საყვედურს, კაცი და ქალი, შინ თუ გარეთ ბახიარზე ლაპარაკობს.

აზადბახთს სიბრაზისაგან ფერი წაუვიდა და დედოფალს მიუპრუნდა:

– რას იტყვი, მოვკლათ ბახთიარიო?

დედოფალმა დასტური ბრძანა. მო-

იყვანეს ბახთიარი, ჯალათი მზად იყო განაჩენის აღასასრულებლად. კვლავ ამოიდგა ენა ბახთიარმა:

— დღეგრძელი იყავ, მეფე! მე უცოდველი, ვიდრე ცოცხალი ვარ, ყოველ წამს შეგიძლია მომქლა, თუ მოისურვებ. მაგრამ, თუ მოვკვდი, ვეღარ გამაცოცხლებო.

მეფე განრისხდა:

— როგორ თუ უცოდველი, დედოფალიც მემორმება, რომ შენ სწორედ სიკვდილის ღირსი ხარო!

ბახთიარმა შეჰქადრა:

— ქალს როგორ დაეჯერება, საკუთარი მიზნისთვის რას არ იტყვის, რას არ ჩაიდენს! არა გსმენია, ერაყის მეფემ როგორ მიათხოვა ქალიშვილი ჰაბაშის შაპს, მერე, შაპმა ცოლზე გული რომ აიყარა, ქალმა მზაკვრობით და მოხერხებით სიკვდილიც აიცილა და შაპის გული ისევ მოინადირა? თუ მეფე ისურვებს, მცირეოდენს მოვახსენებ ქალთაცხოვრებისა და ეშმაკობის შესახებ.

აზადბახთმა ნება დართო და ბახთიარმა დაიწყო ამბავი:

მოგვითხრობენ, რომ ჰაბაშის ქვეყანაში იყო ერთი შაპი, ლაშქარმრავალი, მდიდარი და დოვლათიანი. მტერი არსით უჩნდა, ლაშქარი უქმად იყო და შიმშილობდა. რადგან შაპის სიძუნწეს ბოლო არ უჩანდა, მოლაშქრეებმა ვეზირს მიმართეს, გვიშველე რამეო. ვეზირს შეცოდა ისინი და შეჰპირდა:

— თქვენ წყნარად იყავით, მე ვიცი თქვენი ხსნის გზა. ისეთი რამ უნდა ვიღონო, რომ შაპს თქვენი თავი დასჭირდეს და რაც გერგებათ, გადაჭარბებით მიღებთო.

მოლაშქრეებმა ვეზირს მადლობა მოახსენეს და გაბრუნდნენ.

ვეზირმა კარგად იცოდა, რომ შაპილამაზი ქალების ტრფიალი იყო. იფიქრა: ერაყის მეფეს მშვენებით განთქმული ასული ჰყავს, მოდი, შევაქებ მის სი-

ტურფეს შაპის თანდასწრებით, იქნებ შეუყვარდეს და ელჩები მიუგზავნოსო. ერაყის მეფეს გაგიჟებით უყვარს თავისი ქალიშვილი და, ალბათ, ვერ შეელევა. შაპი განრისხდება, ტრფობა გაუასკეცდება და ერაყის დალაშქვრას მოისურვებს, ჯარის გულის მოსაგებად კი უხვად გასცემს ოქროსა და ვერცხლსო.

ეს რომ მოიფიქრა და გადაწყვიტა, ვეზირი შაპს ეახლა, ხან მთისა თქვა, ხან — ბარის, ბოლოს კი სიტყვას ერაყის მეფის ასულის სილამაზეც მოაყოლა. შაპს უმალ ტრფობის ცეცხლი მოედო და გახელდა:

— ჰე, ვეზირო, მირჩიე რამე, თორემ გულს თმენის ძალა არა აქვს და თვალს — ლოდინისაო. ვეზირმა ის უთხრა, რაც გადაეწყვიტა. სასწრაფოდ გაგზავნეს ერაყში გამოცდილი და მჭევრმეტყველი ელჩი.

რა ეჩმა ერაყს მიაღწია და შაპის დანაბარები გადასცა ერაყის მეფეს, იგი საშინლად აღელდა:

— ჰაბაშის შაპს გადაეცით, ქალს არ გავატან და შეურაცხყოფას ნუღარ მაყენებსო!

როდესაც ჰაბაშის შაპმა ამგვარი პასუხი მიიღო, განრისხდა და ფიცი დადო, ისეთ დიდ ლაშქარს მივუსევ ერაყს, მინასთან გავასწორებო! მან სასწრაფოდ გახსნა ხაზინის კარი და ურიცხვი ქონება დაურიგა ქვეშევრდომებსა და მოლაშქრეებს. ლომგული რაინდები საომრად შეიკაზმნენ და ერაყს მიმართეს. ერაყის მეფემ თავისი ლაშქარი შეაგება მტერს და გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. ერაყელები დამარცხდნენ.

ჰაბაშელები წინ მიინევდნენ და ზედიზედ ამარცხებდნენ ერაყის მეფის მიერ გამოგზავნილ ახალ-ახალ რაზმებს. სასონარკვეთილი მეფე ვეზირს დაეთათბირა. ვეზირმა ურჩია:

— განა ღირს, ქალის გულისთვის ამდენი სისხლი დავლვაროთ! ბოლოს და

ბოლოს ყოველმა უნდა ნახოს თავისი ტოლი და სწორი. უმჯობესია, მალემ-სრბოლი ვაფრინოთ შაჰთან, დავეზავოთ და ასული მივცეთ, ისიც ხომ ქვეყნის გამგებელია.

მეფეს თუმც ასული სულზე მეტად უყვარდა, სხვა გზა არ ჰქონდა, დაჲყვა ვეზირის რჩევას და ელჩები მიუგზავნა მოწინააღმდეგეს. დაზავების შემდეგ სანდო პირებმა ჰაბაშის შაჰს მეფის ასული მიჰვარეს, რათა ჰაბაშში წაეყვანა და თავისი წეს-კანონების მიხედვით ცოლად შეერთო. ასეც მოხდა. ტკბილად და უზრუნველად ატარებდნენ დროს შაჰი და ერაყის მეფის ასული.

მაგრამ ასულს თურმე ადრე ჰყოლოდა ქმარი, რომლისგანაც ერთი ვაჟი შესძენოდა. შემთხვევით ეს ამბავი შეიტყო ჰაბაშის შაჰმა, გული ბოლმით აევსო, ბრძანა ვაჟის მოკვლა, ცოლს კი ზურგი შეაქცია. საცოდავი ქალი დღედაღამ კანკალებდა ჰარამის კუთხეში და ცხელი ცრემლით დასტიროდა სასიკვდილოდ განწირულ შვილს.

შაჰს ერთი დედობილი ჰყავდა, ჭკვიანი და გამოცდილი მოხუცი, რომელსაც იგი უგონებდა და რომლის სიტყვასაც არასოდეს გადადიოდა. ერთხელ დედობილი შეესწრო მტირალ ასულს, მისი საცოდაობით გული დაეწვა და ჰკითხა:

- დედაშვილობას, რა დარდს შეუპყრიხარ, მითხარი, ნუ გეშინია ჩემი და ნუ დამიმალავ ნურაფერს, იქნებ რამე გიშველოო. დედოფალმა ირწმუნა მისი ფიცი და გული გადაუხსნა:

- დედაჩემო, ერთი ვაჟი მყავდა, უცოდველი სასიკვდილოდ გავწირე და შაჰის რისხვა დავიმსახურე.

შემდეგ ყოველივე უამბო, როგორ მოუყვანეს მალულად შვილი მამის სახლიდან, როგორ შეიტყო ეს შაჰმა და როგორ ბრძანა მისი მოკვლა.

რა დაასრულა თხრობა, უსაზღვრო სევდისაგან დედოფალმა საყელო გაიგლიჯა და უგონოდ დაეცა. დედობილმა ვარდის წყალი აპკურა ქალს და გონს მოიყვანა. ქალმა განაგრძო:

- შვილი მომიკლეს და ისიც კი არ ძალმიძს, ცრემლით დავიტირო. ოჰ, ნეტავ შაჰის გული მაინც მომიბრუნდებოდეს როგორმეო!

მოხუცს გული მოუკლა მისმა უბე-დურებამ და ნუგეში სცა:

- ნუ ინაღვლი, ამ ჭირისაგან მე დაგიხსნი, ოღონდ რასაც გეტყვი, უნდა შეასრულოო.

დედოფალი დათანხმდა. დედობილმა გაანდო მას თავისი განზრახვა:

- საღამოს, ვიდრე შაჰი ჰარამში შემოვა, დაასწარი და თავი მოიმძინარე. როდესაც ის დარწმუნდება, რომ გძინავს, გულზე რალაცას დაგადებს და იტყვის: „ამ წერილის მადლითა და ძალით, რაც გულში გაქვს, თქვიო“. შენ იმწამსვე ენა გაშალე და ყველაფერი ისე იღაპარაკე, როგორც ახლა მომიყევი, მისხალი არ დააკლო, რადგან ცუდს აქ ვერაფერს ვხედავო.

ქალმა მიუგო, ბატონი ბრძანდებიო.

დედოფალი დარბაზში შევიდა. შაჰი განმარტოებულიყო და ფიქრს მისცემოდა. გამზრდელმა ჰკითხა:

- შვილო, რა განუხებს, მარტო რად ზიხარო?

შაჰმა ამოიოხრა:

- გულს ის მიკლავს, ქალი ერაყიდან მოვიყვანე, თავი ვანაცვალე, ქონება შევწირე და სამაგიეროდ მისი ღალატი მოვისმინე. შვილი რომ მოვუკალ, იმ დღიდან მოსვენება დავკარგე, ვერ გამირკვევია, ვინ უფრო შესცოდა და სულ ამ ფიქრში ვარო.

მოხუცმა ქალმა უთხრა შაჰს:

- ქვეყნის მპრძანებელო! მე სოლე-იმან მოციქულის თილისმა მაქვს, ბერ-

ძნული ასოებით დაწერილი. თუ გსურს, ეგ დარდი გადაიყარო, შენი ეჭვები გაფანტო და სინამდვილე შეიტყო, უნდა დაელოდო, როცა შენი ეჭვის საგანი დაიძინებს. შემდეგ ფრთხილად უნდა მიეპარო, თილისმა მკერდზე დაადო და უთხრა: „ამ თილისმის მადლითა და ღვთის სახელით მძინარემ ენა ამოიდგასო“. თუ გულში რამ საიდუმლო ექნება, ყველაფერს იტყვის წვრილად. როდესაც გამოილვიძებს, თავისი ნათქვამი აღარ ემახსოვრება და სიმართლე გამოირკვევა. თუ შენი ნება იქნება, თილისმას მოგართმევ და ერაყის მეფის ასული იმით გამოსცადეო.

მეფე გამხიარულდა:

— დედაზე უფრო ძვირფასი იქნები, ეს გამოცანა რომ ამომახსნევინოო.

დედობილი სწრაფად გაეშურა შინისაკენ, იქ ქალალდის ნახევი აიღო, გაუგებრად რაღაც დააჩხაპნა, ძაფით შეკრა და ცვილით შეგლისა. შემდეგ მოუტანა ეს თილისმა შაჰს და უთხრა:

— განიბანე, ახალი სამოსით შეიმოსე და დაელოდე, როდესაც ყველა დაიძინებსო.

შუალამისას, როდესაც დედოფალს თითქოს ჩაეძინა, მეფე ჩუმად მივიდა მასთან, ქალალდი გულზე დაადო და ის წარმოთქვა, რაც გამზრდელმა ასწავლა. დედოფალმა ყველაფერი გაიგო. ის იყო მეფემ დაასრულა თავის სიტყვები, რომ ენა ამოიდგა და სრული სიმართლე მოახსენა შაჰს, რაც თავს გარდასვლოდა. რა შაჰმა ეს ამბავი მოისმინა, ატირდა, მეუღლე გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა. დედოფალმა თითქოს ახლა გამოიღვიძა. შაჰმა, რაც მისგან მოისმინა, განუმეორა, თან უსაყვედურა:

— სულო ჩემო, რატომ არაფერი თქვი და არ განმარტე შენი საიდუმლოება? რად არ მითხარი, რომ ეგ ვაჟი შენი შვილი იყო, მეც ვიშვილებდი მას და აღარაფერი შემანუხებდაო. ერთი სიტ-

ყვით, ბევრი იგლოვეს და ივაგლახეს, მთელ ლამეს დაკარგულ მემკვიდრეს დასტიროდნენ.

რა დილა გათენდა, შაჰმა იხმო ის ეჯიბი, რომელსაც დედოფლის ვაჟის მოკვლა უბრძანა და ჰკითხა:

— სად დაკრძალე ის საცოდავი ბიჭი? უნდა მივიდეთ, დავიტიროთ და მის სულს შენდობა ვთხოვოთ. ის იყო, თურმე, ჩვენი წალკოტის ვარდი და ხეივნის საროო.

ეჯიბი მუხლებზე დაეცა და შენდობა ითხოვა:

— ნუ განრისხდები, შაჰინშაჰო, ის ვაჟი ცოცხალია. იმ დღეს, შენ რომ მისი მოკვლა მიბრძანე, გულმა მიგრძნო, უდანაშაულო რომ იყო, შევხედე, სახეზე ნათელი გადასდიოდა, შემიყვარდა და შინ მივიყვანეო.

რა შაჰმა ეს სასიხარულო ცნობა შეიტყო, გვირგვინი მოიგლიჯა, ხალათი შემოიძარცვა და ეჯიბი დააჯილდოვა სახელდახელოდ, ჯოჯოხეთიდან დამიხსენიო. დედოფალიც ფერხთ ჩაუვარდა ბედნიერებისაგან გულშემოყრილი. შემდეგ ეჯიბი სასწრაფოდ ცხენზე შესვეს და ვაჟის მოსაყვანად გაგზავნეს. შაჰმა გულში ჩაიკრა შვილობილი, დედა ფეხებს უკოცნიდა, ყველანი ტიროდნენ და იცინოდნენ. გახარებულმა მშობლებმა ღმერთს მადლობა შესწირეს, გასცეს უანგარიშო ოქრო-ვერცხლი და ცხოვრობდნენ ტკბილად, სვებედნიერად.

\*\*\*

ბახთიარმა დაასრულა ამბავი:

— ასეთი მოხერხებულნი და ეშმაკნი არიან ქალები, მეფეო. ხომ ნახე, იმ დედობილმა რაც მოიმოქმედა. ეჯიბსაც ვაჟის მოკვლა რომ არ დაეყოვნებინა, ჯილდოს და პატივს ვერ მიიღებდა, ხოლო მეფე-დედოფალს სინანულის ტკივილი მოუღებდა ბოლოს. თუ შენც ასევე

არ იჩქარებ ჩემს მოკვლას და არ დაღვრი ჩემს სისხლს, ერთ მშვენიერ დღეს დარწმუნდები, რა უცოდველი ვარ. ხოლო თუ მომკლავ, სინანული არ აგცდე-

ბაო.

რა ბახთიარი დადუმდა, მეფემ ბრძანა, უკვე გვიან არისო, და იგი კვლავ საპყრობილები წაიყვანეს.

## პარი მერვე მარგალიტებით მოვაჭრის ამბავი

მერვე დღეს მერვე ვეზირი ეახლა აზადბახთს და მოახსენა:

— დღეგრძელი იყავ, მეფეო! პრძენ-თაგან გამიგონია, სამეფო ხე არის და მისი ფესვები — სიმკაცრეო. თუ მეფე ბახთიარს მკაცრად არ დასჯის, ვშიშობ, მის სამეფოს ფესვი გაუხმება და წეს-რიგს ვეღარ დაამყარებსო.

მეფე დაეთანხმა და ბახთიარის მოყვანა ბრძანა. ჯალათი უკვე მზად იყო. ბახთიარმა მეფეს შეჰქადრა:

— დღეგრძელი იყოს შენი სიცოცხლე! ჩემი საქმე მშვიდად განსაჯე და ნუ აჩქარდები. სულ მალე იჩენს თავს მარადისი და ჭეშმარიტი ბედკეთილობა! თუ ისულსწრაფებ, ნაყოფად დარდსა და ტკივილს მოიწევ, ისე, როგორც ერთ მარგალიტებით მოვაჭრეს მოუვიდაო.

მეფემ ჰკითხა: მარგალიტებით მოვაჭრე ვინ იყო ან რა მოუვიდაო?

ბახთიარმა დაიწყო:

ძველისძველ დავთრებში ჩაუწერიათ და ხალხს გადმოუცია, რომ იყო ერთი მარგალიტებით მოვაჭრე კაცი ანუ ჯავარფურუში. იგი უზომოდ მდიდარი იყო, ლამაზი და კდემამოსილი ცოლი ჰყავდა. ქალი დაორსულდა. უეცრად იმ ქვეყნის მეფემ იხმო თავის კარზე ჯავარფურუში, რათა მარგალიტები დაეხარისხებინა და შეეფასებინა. ხოჯას სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა წასულიყო. რა გაემზადა, ცოლს დაუბარა:

— ჩემო ქალბატონო, კეთილი ცოც-

ვით მომიგონებდე! თუ მაღალი ღმერთი ვაჟს მიბოძებს, მას რუზბეჲი დაარქვი, თუ ასულს — რაც გსურდესო.

ეს თქვა, დაემშვიდობა ცოლს და გზას გაუდგა. რა მივიდა მეფესთან, ისე მოხდენილად აღასრულა ლოცვა-კურთხევის წესი, რომ მეფეს ესიამოვნა, მოისვა ჯავარფურუში გვერდით და ზანდუკები მოატანინა. ჯავარფურუშმა მარგალიტების გადარჩევა დაიწყო, თან მეფეს ტკბილად ესაუბრებოდა. ძალიან მოიხიბლა მეფე.

ასე გავიდა ერთი წელი. ჯავარფურუშის მეუღლეს ტყუპი ვაჟი შეეძინა, იტყოდი, ორი მთვარე ამობრწყინდა აღმოსავლეთითო. ერთს რუზბეჲი დაარქვეს, მეორეს — ბეჲრუზი. როდესაც მარგალიტებით მოვაჭრემ ეს ბედნიერება შეიტყო, მეფისგან წასვლის ნებართვა ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. გავიდა კიდევ რვა წელი. ვაჟები წამოიზარდნენ, წერა-კითხვა ისწავლეს და მამას ცრემლნარევი წერილი მისწერეს, შენი ნახვა გვენატრებაო. ჯავარფურუშმა წერილი მიართვა მეფეს, შვილების მდგომარეობა აუწერა, მაგრამ გაშვებაზე მაინც ვერ დაითანხმა. ოღონდ მეფემ მას ქონება უბოძა და ნება დართო, შვილები აქ მოიყვანე და ყველანი ჩემს კარზე იყავითო.

სხვა რა ჩარა ჰქონდა მარგალიტებით მოვაჭრეს, მისწერა საპასუხო წერილი თავის ოჯახს, თქვენ უნდა მოხვიდეთ ჩემთანო. როდესაც მისმა ცოლმა

ეს წერილი მიიღო, გაყიდა ყველაფერი და გზას დაადგა. შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ ზღვის ნაპირს მიადგნენ. ნამაზის უამი იყო. დედამ გადაწყვიტა, აქ გაეთიათ ლამე. ბარგი გადმოიღეს. რუზბეჭი და ბეჭრუზი ზღვის ნაპირს გაუყვნენ, ცოტას ვითამაშებთო.

მოხდა ისე, რომ ვაჭარმა შეიტყო ცოლ-შვილის გამომგზავრება და მათ შესახვედრად გამოეშურა. ზღვას რომ მიაღწია, მან განბანვა მოისურვა, ტანისამოსი ერთ ადგილს შეინახა და წყალში შევიდა. რა გამოვიდა, ჩაიცვა და წამოვიდა. შემთხვევით ერთი ქისა ოქრო დაუვარდა. ერთგან შეისვენა, მოშივდა და სუფრა გამალა. ჯერ პირველი ლუკმაც არ ჩაედო, რომ უცებ ვაჭარმა იტაცა ხელი და ნახა, ქისა ოქრო დაჰკარგვია. სწრაფად მიბრუნდა იქ, სადაც იბანავა, ბევრი ეძება, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

ამასობაში ძმებმა სირბილითა და ყიუინით აიკლეს ზღვის ნაპირი. შემთხვევით მარგალიტებით მოვაჭრეს წააწყდნენ. მან ბიჭებს შეუძახა: აქ ქისა ოქრო იყო, სად წაიღეთო? ძმებმა გაიოცეს, ჩვენ არაფერი ვიცითო. განრისხებულმა ვაჭარმა ბავშვები ზღვაში ისროლა და ძებნა განაგრძო.

დაბნელდა. შვილებს რომ შეაგვიანდათ, დედამ დაუძახა: ბიჭებო! უკვე გვიანაა, ჩქარა მობრუნდითო. არავინ გაეხმიანა. გაიგონა და იცნო ჯავარფურუშმა მისი ხმა, ცოლს შეეგება და საჩქაროდ შვილები მოიკითხა. ქალმა მიუგო:

— კარგა ხანის, ზღვისკენ წავიდნენ სათამაშოდ.

ვაჭარმა ეს რომ გაიგონა, ოხვრა ალმოხდა, ტანსაცმელი შემოიგლიჯა და აყვირდა:

— ვაიმე, ჩემი შვილები წყალში გადამიყრიაო!

შემდეგ ყოველივე ცოლს უამბო.

ცოლ-ქმარი ატირდა და აქვითინდა. მოიარეს მთელი სანაპირო, მაგრამ შვი-

ლების კვალსაც ვერ მიაგნეს. როცა იმედი გადაუწყდათ, წაიშინეს თავში ხელი უბედურმა მშობლებმა და გრძნობა დაკარგეს. მეორე დღეს გადაწყვიტეს: ამ ორგულ ქვეყანაში რაღა გაგვახარებს, მოდი, უდაბნოს შევეფაროთ, ვნახოთ, საწუთოს უამთა სვლა რას მოგვიტანსო. ეს თქვეს და გულდაკოდილნი, სვედამხობილნი, ფეხათრეულნი, ცრემლდაფრეულნი გზას დაადგნენ.

ჯავარფურუშმი და მისი ცოლი დარწმუნებულნი იყვნენ შვილების დაღუპვაში, მაგრამ მოწყალე ლმერთმა გადაარჩინა ბიჭები, წყალმა მხოლოდ დააცილა ძმები ერთმანეთს. მოხდა ისე, რომ იმხანად ერთი მეფე ნადირობდა ზღვის ნაპირზე. უეცრად მან ტალღებს შორის მოტივტივე ბეჭრუზის მოჰკრა თვალი. როდესაც მსახურებმა ბავშვი ნაპირზე გამოიყვანეს, საცოდავს ვარდისფერი სახე ზაფრანასავით გაყვითლებოდა. მეფის შეკითხვას, აქ საიდან მოხვდიო, ბიჭმა უპასუხა:

— ორნი ძმანი ვიყავით, ნაპირზე ვთამაშობდით, ვიღაც კაცმა წყალში გვისროლა და ტალღამ მე აქეთ წამომილო, სხვა არაფერი ვიციო.

მეფე უშვილო იყო, მოეწონა ბეჭრუზი, იშვილა და შინ წამოიყვანა. ქვეშევრდომნი მოწინებით შეეგებნენ უფლისნულს. უეცრად მეფე ავად გახდა, ბეჭრუზი თავის მემკვიდრედ დასვა და გარდაიცვალა. გამეფდა ბეჭრუზი და თავისი სამართლიანობით ყველას ლოცვა-კურთხევა დაიმსახურა. მის სახელი მთელ ქვეყანას მოედო.

ხოლო რუზბეჭი, რომელიც ტალღამ სხვა მხარეს გამორიყა ნაპირზე, ქურდებმა იპოვეს. მათ გადაწყვიტეს, მოდი, წავიყვანოთ და მონად გავყიდოთო. ბიჭითან წამოიყვანეს თავის სადგომში, მოუარეს და ტანჯვის ჭრილობები მოუშუშეს.

ახლა ძველ სიტყვას დავუბრუნდეთ.. ჯავარფურუშმი და მისი ცოლი ერთ

ქალაქს მიადგნენ. ქალაქი მშვენიერი იყო, მორთული და მოკაზმული. მოეწონა ცოლ-ქმარს ეს ადგილი, იფიქრეს: ხეტი-ალს ჩვენთვის სარგებლობა არ მოუტანია, სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, მოდი, აქ გავატაროთ ღვთის მორჩილებასა და ლოცვაშიო. მართლაც, იყიდეს სახლი და ამ ქალაქში დაეფუძნენ. ერთ დღეს ვაჭარმა თქვა: მონა გვჭირდება, რომ გვემსახუროსო, – და ბაზრისაკენ გაეშურა მსახურის საყიდლად.

მოხდა ისე, რომ სწორედ იმ დღეს ქურდებს რუზბეჭი ბაზარში გამოეყვანათ გასაყიდად. ვაჭარმა ის რომ ნახა, ვერ იცნო, მაგრამ გულმა გაუწია მისკენ, იყიდა და შინ წამოიყვანა. როცა დაბრუნდა, ცოლს დაუძახა:

– მოდი, ნახე, მსახური მოგიყვანე, საქმეში დაგეხმარებაო.

ცოლი ოთახიდან გამოვიდა, რუზბეჭის შეხედა, ერთი იკივლა და გული წაუვიდა. გაოცებულმა ქმარმა ვარდის წყალი აპკურა და ძლივს მოაბრუნა, შემდეგ ჰქითხა:

– რა მოხდა, გრძნობა რატომ დაკარგეო?

ცოლმა მიუგო:

– ეს შენი ნაყიდი მონა ჩვენი შვილი რუზბეჭიაო.

სამივენი აცრემლებულნი ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, თან ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

რუზბეჭიმა უამბო მშობლებს, რაც თავს გადახდა. მამამ შვილს მარგალიტებით ვაჭრობა შეასწავლა და სულ მალე რუზბეჭიმა შორს გაითქვა სახელი თავისი ოსტატობით. გავიდა დრო, რუზბეჭი გამდიდრდა, მრავალი მარგალიტი შეიძინა და ერთ დღეს მამას უთხრა:

– მარგალიტების ყიდვა მიადვილდება, აქ ყოფნა მომწყინდა. ამბობენ, მავან ქალაქში ერთი სამართლიანი, ბრძენი მეფე ცხოვრობსო. თუ ნებას მომცემ,

მარგალიტებს მას მივყიდი და სხვა საქონელს აქეთ წამოვილებო.

მამამ ნება დართო. ოღონდ სთხოვა, მალე დაბრუნდი, ნუ დაიგვიანებო. რუზბეჭი გზას გაუდგა და მიაღწია იმ ქვეყანას, სადაც, ღვთის განგებით, მისი ძმა ბეჭრუზი მეფობდა. რუზბეჭმა, ცხადია, არაფერი იცოდა. მან მეფეს დიდალი ძლვენი შეუგზავნა. მეფემ იგი თავისთან იხმო. ძმებმა ვერ იცნეს ერთმანეთი. ბეჭრუზმა მოისვა ვაჭარი გვერდით, მოეწონა მისი ქცევა და მეტად შეიყვარა. რუზბეჭმა მიართვა მას თავისი მარგალიტები. მეფემ ისინი ერთიანად შეისყიდა და იმდენი ოქრო მისცა, რომ ვაჭარმა დიდი მოგება ნახა.

მეფე და ახალგაზრდა ჯავარფურუში ისე შეეთვისნენ ერთმანეთს, დღედალამ ერთად იყვნენ ძმებივით ლხინსა თუ ჭირში. უეცრად მეფეს მტერი გამოუჩნდა. მან ლაშქარი შეაგება, თვითონ კი რუზბეჭთან ერთობოდა. ერთხელ მეფეს მეტი დალევა მოუვიდა, კისერი მოსწყდა და ჩაეძინა. ნადიმთაგან არავინ იყო რუზბეჭის გარდა. მან გადაწყვიტა, მეფეს მცველად მე ვეყოლებიო, ამოიღო ხმალი და ბეჭრუზის სასტუმალთან დადგა.

რა გათენდა, რამდენიმე მოლაშქრე მეფესთან შემოვიდა. ნახეს, ხმალამოწვდილი რუზბეჭი თავს ადგა მეფეს. იყვირეს მსახურებმა და რუზბეჭი შეიძყრეს. როდესაც მეფემ გაიღვიძა და იკითხა, რა ამბავიაო, უპასუხეს:

– ამ კაცმა ხმალი ამოიღო და მეფის მოკვლა განიზრახა, ცოტა რომ დაგვეგვიანა, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდაო.

მეფეს რუზბეჭის დასჯა სურდა, მაგრამ დილა იყო, ცისკრის ნამაზის უამი. ლოცვის შემდეგ კი მას მოახსენეს, რომ ურიცხვი მტერი წინ მოიწევს და, თვით მეფე თუ არ ჩაუდგება სათავეში

ლაშქარს, გამარჯვება გაძნელდებაო.

მეფემ გადაწყვიტა, მოვიცილებ ამ შინაურ მტერს და ისე წავალ საომრადო. მოვიდა ჯალათი, რუზბეჭს თვალები აუხვია და ხმალი ამოინვდინა, მაგრამ ამ დროს მეფემ გაიფიქრა: ეს ამბავი გამოსარკვევია, ცოდვა არ დავიდო, ცოცხალი კაცის მოკვლა ყოველთვის შეიძლება. უმჯობესია, იგი საპყრობილები გავგზავნო. რუზბეჭი ციხეში ჩაგდეს. მეფე ამხედრდა და საომრად გაეშურა. მტრებმა რომ იხილეს, იარაღი დაყარეს და პატიება ითხოვეს. მეფემ შეუნდო ყველას და ქალაქში დაბრუნდა. გაიმართა დიდი ლხინი და მეჯლისი. ლხინსა და დროსტარებაში მეფეს რუზბეჭი სულ მთლად გადავიწყდა.

გავიდა ორი წელი. რუზბეჭი ციხეში იტანჯებოდა, მამამისი კი – თავის სახლში. ბოლოს მამამ იმ ქალაქის ბაზრის კაცებსა და ზარაფებს წერილი მისწერა. მალე პასუხიც მიიღო: შენი შვილი აგერ ორი წელია, საპყრობილებიაო. ამ წერილმა მშობლებს ძველი ჭრილობები განუახლა. გამნარებულებმა გადაწყვიტეს, თვით ხლებოდნენ მეფეს და შვილი დაეხსნათ. ათასი ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით აიყარნენ მოხუცები, გადაიარეს მთა და ველი, კლდე და უდაბნო და ძლივს ჩააღწიეს იმ ქალაქს, სადაც მათი შვილი იტანჯებოდა.

ქალაქს რომ ჩავიდნენ, ტკივილით ალსავსე წერილი შეადგინეს ჯავარფურუშმა და მისმა მეუღლებ და მეფეს გაუგზავნეს. წერილში აღწერილი იყო მთელი მათი სვეგამნარებული ცხოვრება: „უწყოდეს მაღალმა ხელმწიფემ, ერთი პატარა და ბედისაგან დაჩაგრული ხალხი ვართ, არც დღისით ვიცით სიმშვიდე, არც ღამით. რამდენი წელია, ასე ვიტანჯებით. ორი ვაჟი გვყავდა, რუზბეჭი და ბეპრუზი. ზეცის განგებამ ორივე ზღვაში გადაისროლა. დიდი გლოვისა და ზარის შემდეგ ჭეშმარიტმა ღმერთმა რუზ-

ბეჭი დაგვიბრუნა, ჭრილობას მაღამო მოუვლინა. თქვენი დიდებისა და სამართლიანობის ხმა რომ გაისმა, რუზბეჭმა ისურვა, ფეხთა მტვერი დაეკოცნა მეფეთმეფისა და თქვენკენ გამოეშურა. ახლა შევიტყვეთ, ციხეში ჩაგიგდიათ, გაგიუებულებმა დავყარეთ ყველაფერი და მოვედით მოიმედენი. შეგვიწყალე, დაგვიბრუნე შვილი, მეფეო!“

როდესაც ბეპრუზის ეს წერილი წაუკითხეს, გაოგნებულმა იმის თქმალა მოახერხა: ნამდვილად სიზმარში ვარო. გაშალა ბარათი, კითხულობდა და ტიროდა მოთქმით: უეჭველია, ესენი ჩემი მშობლები არიან, ის, კი, ციხეში რომ ჩავამწყვდიე, ჩემი ძმაა!

ბრძანა მეფემ სასწრაფოდ დედ-მამის მოყვანა. რა შემოვიდნენ, დედა იცნო, ტახტიდან ძირს ჩამოიჭრა და ფერხთ ჩაუვარდა, გორავდა და თმებს იგლეჯდა, ვიდრე მათ არ წამოაყენეს. შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ. ბეპრუზმა მშობლები ტახტზე დასვა, თვით კი მონიწებით გვერდით მიუჯდა. ცოტა ხანში რუზბეჭი მოიყვანეს და მისი მიზეზით სხვა პატიმრებიც გაათავისუფლეს. ბეპრუზმა ძმას ნახევარი სამეფო მისცა, ორივენი მშობლებს ემსახურებოდნენ და ყველანი ცხოვრობდნენ ტკილად და ნებიერად.

\*\*\*

ბახთიარმა დაასკვნა:

– ჯავარფურუშმი, ვაჟების მამა, რომ არ აჩქარებულიყო და შვილები წყალში არ გადაეგდო, ამდენს არ იწვალებდა. ხოლო ბეპრუზის რომ არ მოეთმინა და ძმა მოეკლა, მშობლების წინაშე სირცევილი მოუღებდა ბოლოს. ამგვარადვე, ჩემს სიკვდილს თუ არ დააყოვნებს მეფე, უცოდველობა რომ გაირკვევა ჩემი, სამაგალითო და საარაკო დარჩება ხალხშიო.

კმაყოფილმა აზადბახთმა ბახთიარი საპყრობილები გააბრუნა.

**პარი მეცხრე  
აბუ-თამამის ამბავი**

ირიჟურავა თუ არა, მეცხრე ვეზირი ეახლა მეფეს და მოახსენა:

— მეფემ არც უწყის, ალბათ, რომ ამბოხებამ იჩინა თავი ბახთიარის გამო, რომელსაც ასე გულდასმით უგდებს ყურს. ხალხი დრტვინავს, ჩვენც მეზღლაპრეობა უნდა ვისწავლოთ და შეცოდებას შეგვინდობენო. მეფეო, ამ სახელგატეხილ ბახთიართან საუბარი არ შეგვერის.

მეფემ ბრძანა ბახთიარის თრევით მოყვანა. ჯალათიც გამოჩნდა.

ბახთიარმა კრძალვით შეჰქადრა აზადბახთს:

— მეფეო, ორი დღეც შემინდე და შემინახე, ვიდრე მაღალი ღმერთი ამ წყვდიადში სინათლის სხივს არ შემოანათებს. დუშმანთა გუნდი ამიმხედრდა და შურის კოცონი ააგიზგიზა. შური ხომ ისეთი ცეცხლია, რასაც მოედება, ყველაფერს მოსპობს. შურით იყო, უდანაშაულო აბუ-თამამი მოშურნებმა და მაბეზღლარებმა სიცოცხლეს რომ გამოასალმეს. როცა შეიტყო მისი სიმართლე, ინანა მეფემ, რად მოვკალიო, მაგრამ რა სარგებელი ჰქონდა ამ სინანულს?! თუ დამრთავ ნებას, მოგახსენებ აბუ-თამამისა და მისი მოშურნების არაკს, რადგან, მე რომ მოვკვდე, ჩემი ნათქვამი მაინც დარჩეს ამა ქვეყნადო.

მეფემ ბრძანა, აბუ-თამამი ვინ იყო, ან შურმა რა კვალი დააჩნია მის სიცოცხლესო?

ბახთიარმა დაიწყო:

ღმერთმა დაამხოს თქვენი მოშურნე! გადმოგვცემენ, რომ იყო ერთი მდიდარი და მორჯმული კაცი, სახელად აბუ-თამამი. ცხოვრობდა იგი ერთ ქალაქში, რომელსაც ბოროტი და სისხლისმსმელი შაჰი განაგებდა. ისეთი

ხარბი და ვერცხლისმოყვარული იყო შაჰი, ერთი დინარისათვის დაუნდობლად კაცს მოკლავდა და მის ქონებას მიიტაცებდა. მისი შიშით აბუ-თამამს სახლში მაძლრად პური ვერ ეჭამა.

ბოლოს ვეღარ აიტანა აბუ-თამამმა, რაც ებადა, გაყიდა და ფარულად გადაიხვენა იმ ქალაქიდან. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ალანის ქალაქს მიაღწია. კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა: ქალაქი იყო აშენებული და დამშვენებული, ბალებში ჩაფლული, გარს მდინარეები ჩაუდიოდა. იმ ქალაქს ერთი ემირი მართავდა, ჭაბუკი ზრდილი, სამართლიანი, ქვეშევრდომთა მფარველი. მოენონა აბუ-თამამს ეს ადგილი, შეიძინა სახლი და ფართოდ გაუღლო სტუმრობის კარი დიდსა თუ მცირეს. ქალაქის მკვიდრს, ვინც მასთან სტუმრად მოხვდებოდა, ჯილდოს გარეშე არ უშვებდა, უხვად ასაჩუქრებდა.

მის სახლში უცხოსა და ღარიბს ასევე გულგახსნილად იღებდნენ, დააპურებდნენ, შემოსავდნენ და გზას ისე გაუყენებდნენ. ეს არ იკმარა აბუ-თამამმა, ხიდები, მეჩეთები და ხანაგები ააგო ქალაქში. ბოლოს მისმა ამბავმა ემირის ყურამდე მიაღწია. მან ეჯიბი მიუგზავნა აბუ-თამამს, გავიგე, ჩვენს ქალაქში დასახლდი, ღარიბ ხალხს ეხმარები და ქველმოქმედებას ეწევი, მობრძანდი სასახლეში, ხილვა მსურს შენიო.

აბუ-თამამმა რა ისმინა ემირის ხასთაგან დანაბარები, მინას ემთხვია და თქვა: მორჩილი ვარო. მაშინ ღირსეული ძლვენით ხელდამშვენებული აბუ-თამამი ემირს ეახლა, მინას აკოცა, სამსახურად დადგა და ხოტბა შეასხა მბრძანებელს. ემირს მოენონა აბუ-თამამის ქცევა, ტახტზე მოისვა, დაუყვავა და ხშირი

სტუმრობა შესთავაზა სამეგობროდ. გა-ხარებული აბუ-თამამი შინ გამობრუნდა.

ამის შემდეგ აბუ-თამამი თითქმის ყოველდღე აკითხავდა ემირს, მათი მე-გობრობა სულ უფრო მტკიცდებოდა და მალე ემირმა ისე შეიყვარა აბუ-თამამი, რომ მის გარდა არავის ეთათბირებოდა. ემირის ორ ვეზირს შური აღეძრა და გა-დაწყვიტეს: რადგან ემირი ამ უცხოელის მეტს ყურს არავის უგდებს, რაიმე უნდა ვიღონოთ და ჩვენი შემარცხვენელი ამ ქვეყნიდან გავაძევოთო.

უფროსმა ვეზირმა თქვა: ჩვენი ემი-რი ქალების მოყვარულია. თურქესტანის შაჰს ერთი ასული ჰყავს, მეტად ლამაზი და გულწარმტაცი. ასული შაჰს ისე უყ-ვარს, თვალს ვერ აცილებს და ვერ ელე-ვა. თუ ვინმე ხელისმაძიებელი ქალის სათხოვრად ელჩს მიუგზავნის, მაშინვე მოკლავს, ქალს არ ვათხოვებ და არც გავათხოვებო. ყველაფერს აჯობებს, მი-ვიდეთ ემირთან და ქალი შევაქოთ. მას უმაღლ ტრფობის ალი მოედება. ვურჩი-ოთ, ელჩად აბუ-თამამი მიუგზავნოს თურქესტანის შაჰს. გაემგზავრება აბუ-თამამი ელჩად და ვეღარც დაბრუნდე-ბათ.

ვეზირებმა მოითათბირეს და ასე დაასკვნეს. ემირის სასახლეს მიმართეს და იქ ენა ათასგვარად დაატკბეს და მო-ქარგეს თურქესტანელი ასულის ქებაში. ემირს უნახავად შეუყვარდა ასული და მისი ნდომით სული ყელში მოებჯინა. ჰკითხა ვეზირებს, თქვენ რას მირჩევთო. მათ უთხრეს:

– თურქესტანის შაჰს ელჩი უნდა მივუგზავნოთ და ასული ვთხოვოთო.

ემირს რჩევა მოწონა, ოღონდ და-ფიქრდა, ვინ გავგზავნოო. ერთხმად ურ-ჩიეს:

– აბუ-თამამზე უკეთესი არავინ იქ-ნებაო.

ემირმა აბუ-თამამი იხმო, დიდი პა-ტივი სცა და უბრძანა:

– ძმად მიმაჩნიხარ, ერთი სურვილი მკლავს, უნდა დამეხმარო და შემასრუ-ლებინოო. აბუ-თამამმა მოუსმინა და მოახსენა:

– თქვენი ყმა ვარ და რასაც შევ-ძლებ, აღვასრულებო.

შემდეგ სასახლიდან გამოვიდა, სამ-გზავროდ მოემზადა და თურქესტანის გზას დაადგა.

რა აბუ-თამამმა თურქესტანს მიაღ-ნია, შაჰმა ეჯიბნი შეაგება და გულმხია-რულად მიინვია სასახლეში. აბუ-თამამმა ელჩობის მიზანი მოახსენა. თურქესტა-ნის შაჰმა თქვა:

– ეს ქორწინება ჩემთვის საბეჭნიე-რო იქნებოდა, მაგრამ ვშიშობ, ჩემი ასუ-ლი არ შეჰქერის ალანის მეფეს. შებ-რძანდი ჰარამში, ნახე ასული, მოისმინე მისი სიტყვა-პასუხი და, თუ საკადრისად მიიჩნევ, რაღა მეთქმისო.

აბუ-თამამმა შეჰქადრა შაჰს:

– განა წესია, ჩემმა თვალმა სადე-დოფლოს მშვენება იხილოს, ან ჩემმა ყურმა მისი სიტყვა ისმინოს? დედოფა-ლი ალანის მეფის შესაფერი რომ არ ყო-ფილიყო, აქ ელჩად არ გამომაგზავნი-დაო.

რა აბუ-თამამმა სიტყვა დაასრულა, თურქესტანის შაჰმა იგი გულში ჩაიკრა და უთხრა:

– როგორ შამარცხვინე, გევდრები, მაპატიეო!

აბუ-თამამი გაოცდა:

– მეფეთმეფეო, ჰატივისა და ალერსის მეტი არაფერი მინახავს. ეს წყალობაა და რასა ბრძანებთო?

შაჰმა აუხსნა:

– შენი მოკვლა მსურდა. ვინც კი ელჩს მიგზავნიდა ქალის სათხოვრად, ყველას ასე ვეუბნებოდი, მოდით ჰარამ-ში, საპატარძლო შეამონმეთ-თქო. თუ ელჩი ჰარამისკენ გასწევდა, ნათელი იყო ჩემთვის, რომ უგონო და უზრდელი კა-ცია. ხოლო იმ მეფესთან. რომელსაც

სულელი და უწესო ელჩი ჰყავს, აბა, რა უნდა გვქონდეს საერთო? ელჩებს კი თავს ვკვეთდი. შენი მოკვლაც მინდოდა, მაგრამ ეგოდენი პატიოსნება და კდემე-მოსილება რომ ვიხილე შენში, დავ-რნმუნდი, ასულს თქვენ მოგცემდითო.

თურქესტანის შაჰმა ამ წესით ოთხასი ელჩი გამოასალმა სიცოცხლეს. აბუ-თამამის გონებისა და პატიოსნების წყალობით მისი ემირის სარკეც გაბრნებუნდა. შაჰმა მაშინვე ბრძანა ასულის გამზადება, აბუ თამამს კი სამეფო ხალათი უბოძა. ორიოდე დღის შემდეგ სრული მზითევით, ლამაზი მხევლებითა და მოხდენილი მსახურებით დამშვენებულ ასულთან ერთად აბუ-თამამი ალანის მეფისაკენ გამოემართა.

ქალაქს რომ მოაღწიეს, ემირი სიხარულით ცას ეწია, ვეზირები კი ბოლმამ დაახრჩო. რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ლხინი, ზეიმი და ქორწილი. ასული უფრო მშვენიერი აღმოჩნდა, ვიდრე ემირს სმენდა და მოელოდა. ბედნიერმა სიძემ აბუ-თამამი ძვირფასი სამოსით დაასაჩუქრა. დედოფალიც სულ მის ქებაში იყო: მამაჩემი სხვას არავის გაატანდა ჩემს თავს, ხოლო აბუ-თამამის ერთგულება რომ იხილა, ემირის ღირსებაც ირწმუნაო.

ვეზირებს მოსვენება დაეკარგათ: ჩვენი მიზეზით აბუ-თამამი უფრო დიდ ბედს ეწია. ახლა რაიმე უნდა ვიღონოთ და ემირთან შევარცხვინოთ, იქნებ მაშინ გადაიკარგოსო. ბევრი იფიქრეს ვეზირებმა და მოიგონეს: მეფეს ორი მონა ჰყავს, მოვისყიდოთ და ვასწავლოთ, როდესაც ემირი ძილს დააპირებს, ერთმანეთში საუბარი გააბან და აბუ-თამამს ცილი დასწამონ, თითქოს აბუ-თამამმა არ დააფასა ემირის წყალობა, ჰარამში ღალატობს მას და ტრაბახობს, თურქესტანელი ასული აქ ჩემი ტროფობით წამოვიდაო. ემირი რომ ამას მოისმენს, აბუ-

თამამს გააძევებს ქალაქიდანო.

ვეზირებმა მონებს ხუთასი დინარი მისცეს და ამგვარად დაარიგეს. მონები მოტყუვდნენ და დათანხმდნენ. რა დალამდა, ემირი დასაძინებლად გაემზადა. მონები მის ფერხთით მოკალათდნენ და საუბარი გააძეს. ემირმა ყველაფერი გაიგონა, წამოხტა და ბრძანა აბუ-თამამის მოყვანა. როდესაც აბუ-თამამი შემოვიდა, ემირმა უთხრა:

– ერთი რამ გამიძნელდა, უნდა გკითხო და მიპასუხეო.

აბუ-თამამმა მიუგო:

– თუ შევძლებ, ბატონი ბრძანდებიო.

ემირმა უბრძანა:

– თუ პატრონი თავის მსახურს აქებს და ადიდებს, ყველაში გამორჩეული ჰყავს, ხოლო ის მსახური ამას არ აფასებს და ჰარამში ღალატობს, რისი ღირსიაო?

აბუ-თამამმა მოახსენა;

სიკვდილისო!

ემირმა მაშინვე ხანჯალი იშიშვლა, აბუ-თამამს თავი წააცალა და მისი სისხლი ღვარად ადინა. შემდეგ ბრძანა გვამის ჭაში ჩაგდება. რამდენიმე დღე ემირს არავისი ნახვა არ სურდა.

რა შეიტყვეს ვეზირებმა, რაც მოხდა, დიდად გაიხარეს. დამწუხრებული ემირი სასახლეში განმარტოვდა, არც ჭამდა, არც ეძინა, სულ იმას ფიქრობდა, ვაითუ უცოდველი იყო და ისე მოვკალი აბუ-თამამიო. ერთხელ შემთხვევით მონების ოთახს წაადგა. მონები სწორედ აბუ-თამამის უდანაშაულობაზე საუბრობდნენ. ემირმა ეს რომ გაიგონა, აცახცახდა, მონები იხმო და უბრძანა:

– ახლავე თქვით, რომელმა ძალლმა გასწავლათ ეს სიცრუე, მე ყველაფერი გავიგონეო!

შეშინებულმა მონებმა წვრილად მოახსენეს ყველაფერი, როგორც იყო.

ემირმა ორივე მოაკვლევინა. ვეზირებიც მათ კვალს გაუყენა, ბევრს იგლოვდა და ნანობდა აბუ-თამამის სიკვდილს, მაგრამ რაღა სარგებლობა ჰქონდა ამ ნაგვიანევ სინანულს?

\*\*\*

ბახთიარმა დაასრულა ამბავი და დასძინა:

— ვისაც შური კბილს დაადგამს, ასე დაემართება, როგორც აბუ-თამამს მოუვიდა. თუ მეფე არ დააჩქარებს ჩემს სიკვდილს, იქნებ ასცდეს ნაგვიანევი სინანული, რადგან ჩემი უცოდველობა სულ მალე გამოჩნდება.

მეფემ ბრძანა, რომ ბახთიარი კვლავ საპყრობილები წაეყვანათ.

### პარი მეათე ჰეჯაზის მეფის ამბავი

მეათე დღეს მეათე ვეზირი მივიდა მეფესთან და მოახსენა:

— მეფეო, ნება დამრთე, დედოფალს ვეახლო და ერთი შეკითხვა მივცე.

მეფემ დასტური უბოძა. ვეზირი ჰარამში შევიდა და დედოფალს მიმართა:

— ქალბატონო, ნუთუ არ გამცირებს, ყველგან რომ შენზე ჭორაობდენ. რად არ სთხოვ მეფეს, რომ მოკლას ბახთიარი და შენს სახელს სიწმინდე დაუბრუნოსო.

როდესაც მეფე ჰარამში ესტუმრა დედოფალს, მან საყვედურით აავსო ქმარი და აყვირდა:

— რად არ დასაჯე ის ქურდის შვილი, მეტს ვერ ავიტან დამცირებასო.

მეფემ ბრძანა: დღეს მის საქმეს ბოლოს მოვუღებო. მოიყვანეს ბახთიარი. როდესაც ჯალათი გამოჩნდა, მეფემ ბახთიარს ჰკითხა:

— რა ბევრს ჩიოდი, უდანაშაულო ვარ და გამოჩნდება. რომ არ გამოჩნდა? აქამდე შეგიბრალე და ახლა კი კმარა, ამოინურა ჩემი წყალობის ფიალა.

ბახთიარი ატირდა:

— რამდენს ვეცადე, უდანაშაულოდ არ მინდოდა სიკვდილი, მაგრამ ჩანს, ასეთი ყოფილა მაღალი ღვთის ნება. ბედისწერას წინ ვინ აღუდგება, ჰეჯაზის

მეფემაც მოინდომა უბედურების არიდება, მაგრამ ვერ შეძლო.

აზადბახთმა ჰკითხა: ჰეჯაზის მეფე ვინ იყო და ბედი როგორ მოექცაო?

ბახთიარმა დაიწყო ამბავი:

იყო ჰეჯაზში ერთი მდიდარი და სახელოვანი მეფე, ყველაფრით სრული, ხაზინა სავსე ჰქონდა და ქვეყანა მისი მონა-მორჩილი იყო. ერთი დარდი ანუ-ხებდა მეფეს — შვილი არ ჰყავდა. მეფე დღესა და ლამეს ლოცვაში ასწორებდა, ლმერთს მემკვიდრეს ევედრებოდა. ბოლოს გახსნა სალაროს კარი და ურიცხვი საქონელი გასცა.

უსმინა ლმერთმა. მოხდა ისე, რომ ერთი მისი მოახლე დაორსულდა. სიხარულით ცას ენია მეფე. გავიდა ცხრა თვე. ერთ ლამეს მეფეს სიზმარში გამოეცხადა ერთი მოხუცი და უთხრა:

— რადგან ლმერთს შვილი სთხოვე, შეგეძინება, ოლონდ, ბედის განგებით, შვილი წელი რომ შეუსრულდება, ბიჭს ლომი დაგიგლეჯს. თუ ლომს გადაურჩა, მაშინ შენივე მემკვიდრე მოგილებს ბოლოსო. ეს თქვა, წერილი მისცა და გაქრა.

მეფეს გაეღვიძა, ნახა, ხელთ წერილი უპყრია. ბარათი წაიკითხა. იქ იგივე ეწერა, რაც მოხუცმა უთხრა. მეფემ ვე-

ზირი იხმო და რჩევა ჰქონდა. ვეზირმა უთხრა:

– ეს სიზმარი ზეცის ხმა არის და ასევე მოხდება.

მეფემ პრძანა:

– ისე ვიღონებ, არც ლომს შევაჭმევინებ ჩემს შვილს და არც თავს მოვაკვლევინებო.

ვეზირმა კვლავ გაიმეორა:

– შეუძლებელია, მეფეო, კაცი ბედის განგებას ვერ შეცვლის, უარესი არ დაგემართოსო.

მეფე განრისხდა:

– მე თუ ბედს დავამარცხებ, იცოდე, შენ მოგკლავო.

ვეზირი დათანხმდა.

მეორე დღეს მეფეს ულამაზესი ვაჟი შეეძინა. მეფემ იმავე დღეს მთის კალთაზე ორმა ორმო ამოთხარა და მასში შვილი ჩასვა ძიძასთან ერთად. კვირაში ერთხელ მიდიოდა მათ სანახავად და ყველაფერი მიჰქონდა, რაც კი საჭირო იყო. გავიდა შვიდი წელი. ერთხელ ძიძამ შესჩივლა მეფეს:

– შენი ვაჟი უკვე გაიზარდა, ამოგვიყვანე, ქვეყანას შევხედოთ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო.

მეფემ მიუგო: მოვა დრო და ამოგიყვანთო.

მოხდა ისე, რომ ერთხელ ლომი მელას მისდევდა დასაჭერად. მელა იმჯურლმულს გადაევლო, ლომი კი ქვას დაეტაკა და ორმოში ჩავარდა. გამწარებულმა ლომმა მეფის ვაჟს მკლავში წაავლო კბილი და ზევით ისროლა. სისხლსა და მტვერში ამოსვრილი ბიჭი ძირს დაგორდა, ლომმა ძიძა შეჭამა და ორმოდან ამოხტა. ბედად, მეფის მალემსრბოლი იქვე ნადირობდა. ნახა, მთის ძირში სისხლში ამოსვრილი ბიჭი აგდია, წვერზე კი ლომი წამომდგარა. მიხვდა მონადირე, ბიჭი ლომის მსხვერპლი რომ იყო, წამოიყვანა შინ, უმკურნალა და მოარჩი-

ნა. გავიდა ხანი. ბიჭს ცამეტი წელი შეუსრულდა. მამობილმა შეასწავლა მას ნადირობის წესი და რიგი.

ახლა მეფის ამბავს დავუბრუნდეთ. სწორედ იმ დროს, ლომმა ძიძა რომ შეჭამა, მეორე დილით მეფე მივიდა შვილის სანახავად, მაგრამ არავინ დახვდა. იფიქრა, ძიძა სულ იმას ამბობდა, ამომიყვანეთო. ალბათ, ამოვიდა და ჩემი შიშით გადაიკარგაო. შიკრიკები აფრინა ყოველ მხარეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს.

რა ცამეტი წელი შეუსრულდა ბიჭს, მალემსრბოლმა იგი თან წაიყვანა სასახლეში ხელზე მოსამსახურედ. მეფეს გულში ჩაუვარდა ბიჭი და მალემსრბოლს უბრძანა, მაჩუქეო. ეწყინა მალემსრბოლს, მაგრამ სხვა რა ჩარაჟონდა? მეფემ ბიჭს მდიდრულად ჩააცვა და საჭურველმტვირთავად დანიშნა.

გავიდა დრო. ერთხელ მეფეს მტერი გამოუჩნდა. მეფე მედგრად დახვდა. ურიცხვი ლაშქარი შეეტაკა ერთიმეორეს. უწყალოდ სცემდნენ და გამეტებით იბრძოდნენ მოლაშქრენი. მტერმა იმდღავრა. ჰეჯაზის მეფის მოლაშქრეთაგან ნაწილმა პირი იბრუნა. მეფე უეცრად მტრის ალყაში აღმოჩნდა, თავგადადებით იბრძოდა და ხოცავდა მტერს. აირია ყველაფერი, კაცი კაცს ვეღარ სცნობდა.

საჭურველობრივი ფაბუკიც მედგრად იბრძოდა, ორომტრიალში მეფე დაიკარგა. უეცრად ნახა, მტრის რიგებში ვიღაც ვეფხვივით ბრუნავდა. იფიქრა, მტერიაო, დაჲკრა ხმალი ფაბუკმა და ხელი მოჰკვეთა. მეფემ შეხედა მას, იცნო და შეუძახა:

– ვაი, ბედერულო, რა დაგიშავეო!

ჭაბუკმა მიუგო:

– თავად ბედერულო, არ გეყო, ამდენი ხალხი რომ ამოწყვიტეო! – მან ვერ იცნო, მეფე თუ იყო მისი.

როდესაც მეფეს ხელი მოჰკვეთეს, ძალა წაერთვა, ძლივს მიაღწია თავისიანებთან. დაღამდა, მოწინააღმდეგენი გაიყარნენ. ჰეჯაზის მეფე სასახლეში მიიყვანეს. მეორე დღეს ხარკის გაღებით მოგვარდა საქმე და მტერი გაბრუნდა. მეფემ ბრძანა, რომ საჭურველთმტვირთველი შეეკრათ და საპყრობილები შეეკეტა. რამდენსაც არ ყვიროდა საცოდავი, ბრძლი არა მაქსო, ვერაფერს გახდა.

მაგრამ სიკვდილს უკვე გაეშალა სარეცელი მეფისათვის. რა იგრძნო უამი აღსასრულისა, მეფემ იხმო ვეზირი, რომელიც მას ერთ დროს შეეკამათა და თქვა:

– პირობის თანახმად, უნდა მოვკლათ იგი, რადგან არც ლომმა დაგლიჯა ჩემი ვაჟი და არც მე ვკვდები შვილის ხელით განგმირული. შვილი ძიძამ წაიყვანა. მე აღვასრულე ჩემი ფიცი, დავამარცხე ბედი და ახლა ვეზირი უნდა მოვკლაო. ხოლო ამის შემდეგ თუ მოვკვდები, არაფერიაო.

ვეზირი მოიყვანეს. მეფე მიუბრუნდა:

– დადგა შენი სიკვდილის უამი, რადგან ბედი უკუვაქციე და წინასწარ-მეტყველება არ ამისრულდაო.

ვეზირმა მიუგო:

– ეგების ძიძამ შენი შვილი მტრის ბანაკში მიიყვანა. უხმეთ იმ ჭაბუკს და გავარკვიოთ. თუ გავმტყუნდები, მომკალითო.

მეფე დათანხმდა და ბრძანა, ჭაბუკი შემოეყვანათ.

როდესაც ხელფეხშებორკილი პატი-მარი შემოათრიეს, მეფემ ჰკითხა:

მამაშენი ვინ იყო?

ჭაბუკმა უპასუხა:

– მამა არ მახსოვს, დედა კი მყავ-და, ჭაში მზრდიდა და ხშირად მეუბნე-ბოდა, მამაშენი ფადიშაპიაო. მე თვითონ მამა არ მინახავს. ერთხელ ლომი ჩამო-იჭრა ჩვენს ჯურლმულში და გამდვინვა-

რებულმა ზემოთ ამომტყორცნა. მეფის მალემსრბოლმა გადამარჩინა, წერა-კითხვა მასწავლა და ვემსახურებოდი ერთგულად, ვიდრე აქ, სასახლეში არ მოვხვდიო.

ეს რომ მოისმინა, მეფეს თმები ყალყზე დაუდგა. მაშინვე უხმო მალემსრბოლს და უბრძანა, ეს ვაჟი სად ნახეო?

მალემსრბოლმა მორჩილად მოახსენა:

– იგი ერთი მთის ძირას ვიპოვე, ლომისაგან დაშავებული ეგდო. შინ მივიყვანე, მოვუარე, რაც შემეძლო, მოვარჩინე, მაგრამ ლომის ჭანგთა ნაჭრილობევი ახლაც ეტყობაო. ადგა და ჭაბუკს გვერდი მოუშეიშვლა. ყველამ დაინახა საშინელი ნაკვალევი.

მიხვდა ჰეჯაზის ხელმწიფე, რომ ეს ჭაბუკი მისი შვილი იყო. დასვა იგი ტახტზე, თავს გვირგვინი დაჰხურა და ქვეშევრდომებმა დღეგრძელობა უსურვეს უფლისწულს. მეფემ შენდობა სთხოვა ვეზირს, ცოდვები მოინანია, ანდერძი შეადგინა და სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

\*\*\*

ბახთიარმა არაკი დაასრულა და სიტყვა გააგრძელა:

– ჰეჯაზის მეფის მსგავსად მრავალნი ცდილობენ ბედის შეტრიალებას, მაგრამ ამაოდ. მეც ბედს უნდა დავემორჩილოო.

ბახთიარი დადუმდა. აზადბახთს მისი ციხეში გაგზავნა სურდა, მაგრამ ვეზირები აყვირდნენ, თუ ბახთიარს კვლავ ციხეში მოათავსებ, ჩვენ აქ აღარ დავდგებითო!

მეფეს გზა დაებნა, შეყოყმანდა, შემდეგ ბრძანა:

– არ შემიძლია, ჩემი თვალით ვუყურო ამ ჭაბუკის სიკვდილს, წაიყვანეთ და თქვენ დასაჯეთო!

ვეზირებმა გამოათრიეს ბახთიარი

სასახლიდან და წაათრიეს მოედნისაკენ, სადაც დამნაშავეებს თავს ჰკვეთდნენ ხოლმე. უხმეს ყოველი მხრიდან დიდსა თუ მცირეს.

მოხდა ისე, რომ შემთხვევით სწორედ იმ დღეს ფაროხსავარი ბაზარს გამოსულიყო და მოედანზე ისვენებდა (ფაროხსავარი, თუ გახსოვთ, ის ქურდი იყო, ბახთიარი რომ გამოზარდა, ტყვედ ჩავარდა და შემდეგ მეფემ გაათავისუფლა). რა იხილა ფაროხსავარმა სასიკვდილოდ განწირული ბახთიარი, უმაღ მეფესთან გაიქცა და მოახსენა:

– მეფეთმეფეო, ეგ ჭაბუკი ჩემი შვილი არ არის, ერთხელ უდაბნოში ჭის პირას ვიპოვე, ეს კაბა, მე რომ მაცვია, სასთუმლად ედო. ღმერთმა იცის, ვისი შვილიაო.

მეფე გაოცდა:

– ხომ არ გაგიუდი, სხვა რა ნიშანი იციო?!

ფაროხსავარმა მიუგო:

– აი, ეს ათი მარგალიტი, მკლავზე რომ მაპიაო.

გამოიღო სახელოდან მძივი და მეფეს მიართვა. ჭეშმარიტებამ თვალი მოსჭრა აზადბახთს, ატირდა და აყვირდა:

– ბახთიარი ჩემი შვილი ყოფილა, საჩქაროდ მომეც ეგ კაბა, დედოფალს უნდა შევუგზავნო, იცნობს თუ არაო.

ფაროხსავარმა ტანთ გაიხადა. როდესაც მეფემ კაბა დედოფალს აჩვენა, ვისიაო? – დედოფალმა თქვა:

– ვგონებ, ჩვენი შვილისა უნდა იყოსო!

მეფემ უთხრა:

– გინდა შვილის ნახვაო?!

ქალი აქვითინდა.

აზადბახთი სასახლიდან გამოვიდა.

მისი ბრძანებით ვეზირები შეიპყრეს. მეფემ თვით ახსნა ბორკილები ბახთიარს, თან ცრემლებს ღვრიდა. ბახთიარი გაოგნებული იდგა, ვერ მიმხვდარიყო, რახდებოდა. შემდეგ აზადბახთმა მას სამეფო სამოსი ჩააცვა, თავისი გვირგვინი დაადგა, დედოფალთან მიიყვანა და უთხრა:

– აი, ეს არის ჩვენი შვილი, ჭის პირას რომ დავტოვეთო.

ეს რომ დედამ ისმინა, მკერდიდან რძე წამოუვიდა და კაბა დაუსველა.

ატირებული მშობლები შვილს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, თან მაღალ ღმერთს მადლობას სწირავდნენ, შენი თავი რომ დაგვიპრუნაო. ბახთიარი დედას მიუბრუნდა:

– მე ხომ ბრალი არ მიმიძლოდა. ცილი რად დამწამეო?

დედოფალმა ვეზირზე ანიშნა, ამან მასწავლაო.

ვეზირებს თავი მოჰკვეთეს.

აზადბახთმა ტახტი და სამეფო ბახთიარს დაულოცა. მის მეფობაში მათხოვარიც კი შეძლებულ კაცად იქცა. ქვეშევრდომნი ლოცვა-კურთხევას უთვლიდნენ სამართლიან ხელმწიფეს. ხოლო ეს ამბავი ბახთიარისა იადგრად დარჩა, რათა სხვა მეფეებმა უდანაშაულო და მართალი ხალხის სისხლი განუჯელად არ დაღვარონ.

## სარჩევი

**რედაქციისგან.....5**

### **მხატვრული ლიტერატურა**

#### **ახალი სპარსული ანუ კლასიკური პოეზია**

ფირდოსი, ირანული ეპოსი (როსთამის შვიდი თავგადასავალი).....	9
ესაბი, აბუ ალი იბნ-სინა, აფზალ ედ-დინ ხაყანი,	
ჯელალ ედ-დინ რუმი, სააღი .....	12
სადრიდინ აინი, ბუხარა.....	17

#### **ლიტერატურული პროზა**

მანი, ხვასთუვანივთი .....	21
მარზპან-ნამე.....	22
სადეպ ჰედაიათი, დაშ-აქოლი .....	23

### **ირანული ფოლკლორი**

#### **სპარსული ხალხური პოეზიიდან**

დუგეითეპი .....	35
პერმუხა, პრძოლეპის მნახველი .....	37

#### **ხალხური პროზა**

ტაჯიკური ზღაპრეპი .....	44
ლაქი და ფაქი .....	46
ხელგამრჯე ცოლი .....	49
სიკათის გარიეგელი .....	52
დევონაჰუსანი .....	53
ორი შეიხი და დეპუანი .....	60
მეპრუპონუ .....	61
ანეკდოტეპი (ლათიფა)	
შენიშვნები ტაჯიკური ზღაპრეპისთვის .....	70

#### **ხალხური დასთანი**

გახტიარ-ნამე .....	71
--------------------	----

**ყდაზე: თენგიზ მირზაშვილი.  
ალექსანდრე გვასარიას პორტრეტი.**

ტირაჟი 80 (ოთხმოცი) ცალი

რედაქტორი: 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი: 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com



**გამომცემლობა „ენივალსალი“**  
თბილისი, 0186, ა. აოლიტაოვისაძის №4. ტ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



9 772346641005